საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (556)
21 - 27 ოქტომბერი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## სიყალბის ფაბრიკა




14

## საქართველოსთვის გადმოგდებული გამოხრული ძვალი

2




რუსეთთან, რომელიც მთავარ მტრად გამოვაცხადეთ, სავაჭრო ბრუნვა მილიარდებს აღწევს, «სტრატეგიულ პარტნიორთან» კი 40 მილიონს ვერ სცდება

## არ ვიცით, რა გვინდა, არ ვიცით, საით მივდივართ



4

## ფიურერის ვაკანტური თანამდებობა

6-7





ვიქტორ ცაავა:

5

## არის საფრთხე, რომ არჩევნებში მონაწილეთა მაჩვენებელი ძალიან დაბალი იქნება. ეს არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს და ქვეყანაში არეულობის მიზეზიც შეიძლება გახდეს



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

3

## დასავლეთი დაინტერესებულია, კავკასია გადაიქცეს ზესახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონად

## გიორგი ვაშაძე წინასაარჩევნოდ სხვისი იდეა მიითვისა

8





## დარჩება თუ არა ტრამპი თეთრ სახლში?

11



## კაჩინსკი: პოლონეთი მაშინ უფრო თავისუფალი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა, ვიდრე დღეს, როცა ევროკავშირშია

11



ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მეგობარი და პარტნიორი გქვია, თუ ზესახელმწიფოს სტატუსზე გაქვს პრეტენზია, კეთილი ინებე და, 100 თუ არა, 50-მილიონდოლარიანი პირდაპირი ინვესტიცია მაინც განახორციელე, ცალკე ეკონომიკამ ცოტა მაინც რომ მოითქვას სული და ცალკე ხალხს დაანახვო, მის გვერდით რომ ხარ, მაგრამ არა, არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ და, რა თქმა უნდა, არც აშშ-მა, არ მოისურვა ამის გაკეთება. არ გამოჩნდა არავინ, ვინც საქართველოს ხელს შეაშველებდა. ამ მომენტში კი ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ ხმაში გაჰკივიან: რუსულ კომპანიებს სურთ ინვესტიციების განხორციელება და არ დავუშვებთო.**

# საქართველოსთვის გადმოგდებული გამოხრული ძვალი

**სტრატეგიული პარტნიორობა და მეგობრობის ხელის გაწოდება მხოლოდ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობასა და ჩამოწერილი იარაღის შესყიდვას არ ნიშნავს. მეგობარმა და პარტნიორმა, წესითა და რიგით, ეკონომიკურად ისეთი ურთიერთობა უნდა ააწყოს, რომ სახელმწიფოს, რომლის ეკონომიკაც მყიფეა და რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ინტერვენცია ვალუტის კურსზე მოქმედებს, პროდუქტის გაყიდვაში დაეხმაროს, მით უმეტეს, როცა ამბობს, რომ ეს პროდუქტი კარგია...**

## რუსეთთან, რომელიც მთავარ მტრად გამოვაცხადეთ, სავაჭრო ბრუნვა მილიარდებს აღწევს, «სტრატეგიულ პარტნიორთან» კი 40 მილიონს ვერ სცდება

მიმდინარე წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით ამერიკაში 40,164 მილიონი დოლარის პროდუქცია გავყიდეთ — ყველაფერი ცოტ-ცოტა. ექსპორტში 2,335 მილიონით ღვინოები ლიდერობს, მეორე ადგილზე 1,389 მილიონი დოლარით მინერალური წყლებია... სამაგიეროდ, ამერიკიდან შემოტანილი პროდუქტის ოდენობამ 345 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ჩვენ თითქმის ცხრაჯერ მეტი ვიყიდეთ, რაც ამერიკის ეკონომიკას აშკარად წაადგებოდა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ 345 მილიონი შტატებისთვის ცოტა თანხაა, გაამრავლეთ ეს რიცხვი, სულ ცოტა, 30-ზე, რადგან ჩვენი დარი ქვეყანა ამერიკას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ბევრი ჰყავს და მიხვდებით, რომ მშვენიერი რაოდენობა გამოდის.

ამის პასუხად დასავლეთის მოამაგე პოლიტიკოსები თუ ექსპერტები ამბობენ, რომ არ გვაქვს იმ ხარისხის პროდუქცია, რომელიც ამერიკულ სტანდარტებს დააკმაყოფილებს. იმაზე თუ გიფიქრიათ, ბატონებო, რომ ეს სტანდარტები განვითარებულმა და მძლავრმა ქვეყნებმა სწორედ იმისთვის დააწესეს, საქართველოს მსგავსი სახელმწიფოებისთვის რომ ეთქვათ: გვინდა ეკონომიკური ურთიერთობა, მაგრამ რა ვქნათ, სტანდარტებში ვერ ჯდებითო. სწორედ ამ სტანდარტებით აქვთ მათ ერთმანეთთან ყიდვა-გაყიდვა და დიდ ბიზნესში პატარა ქვეყნებს ცხვირს არ აყოფინებენ.

ჰოდა, იმ ფონზე, **როცა ყველაფერი ერთად აღებული, რაც შტატებში გავიტანეთ, 40 მილიონი დოლარია, შარშან რუსეთში გაყიდული მხოლოდ ღვინის ოდენობამ 133 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ამას დაუმატეთ მინერალური წყლები, წვენები, ხილი და ვნახავთ, რომ რუსეთთან სავაჭრო ბრუნვა მილიარდ დოლარს სცდება. არც იქიდან შემოგვაქვს ნაკლები ოდენობის პროდუქტი. ჩრდილოელ მეზობელთან, რომელიც მთავარ მტრად გვყავს გამოცხადებული, სავაჭრო ბრუნვა მილიარდებს აღწევს, „სტრატეგიულ პარტნიორსა“ და „მეგობართან“ კი 40 მილიონს ვერ სცდება.**

ციფრები არასდროს ტყუიანო და აგერ, ბატონებო, მხოლოდ ციფრებს მოგახსენებთ და თანაც როგორს — ოფიციალური სტრუქტურების მიერ აღიარებულსა და დაწერილს. რატომღაც, ისე გამოგვდის, რომ **მხოლოდ ფურცელზე ვართ სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები, ხოლო, როცა საქმე ეკონომიკურ ინტერესებს ეხება, უცხოები ვხდებით. დღემდე არავის აუხსნია, ათეული მილიონი დოლარი რატომ გადავიხადეთ „ჯაველინებში“ და, საერთოდ, რისთვის ვიყიდეთ ეს იარაღი. თანაც, იმის ფონზე, რომ თვითონ ამერიკა, რომელმაც ხელი ჩვენზე დაიცალა, აცხადებს: „ჯაველინები“ უკვე გუშინდელი დღეა და შეიარაღება წინ სხვა მიმართულებით მიდისო.** გამოდის, „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ ბანალურად ხელი მოითბო ჩვენზე. ისე, ჩვენ გარდა, „ჯაველინები“ უკრაინას და აფრიკის რამდენიმე ქვეყანასაც აყიდინეს. ეს ყველაფერი დაახლოებით იმას ჰგავს, მაცივარში დიდი ხნის შენახული პროდუქტის გადაყრა რომ გენანება და ძაღლს რომ დაუყრი, გაძღებაო. **სწორედ გამოხრულ ძვლებზე ვართ ამდენი წელი და არ გვინდა, მეათედ გამოხრულ ძვალს შევეშვათ, ისევ იმას ვუკირკიტებთ, იქნებ სადმე შერჩენილ ხორცის ნამცეცს გავკრათ კბილი.** საყოველთაო პანდემიამ და ქვეყნის ჩაკეტვამ ეკონომიკას ძალიან დაარტყა. მართალია, თავიდან შეფარვით, მაგრამ ახლა უკვე საჯაროდ დაიწყეს საუბარი, რომ პანდემიამ საქართველო რამდენიმე მილიარდით დააზარალა და იმ პირობებში, როცა 2-3 ათეული მილიონი დოლარი ლარის კურსის გაუფასურებას აჩერებს, მილიარდიანი ზარალი რას გვიქადის, ადვილი წარმოსადგენია. არადა, ამ მომენტში, **თუ მეგობარი და პარტნიორი გქვია, თუ ზესახელმწიფოს სტატუსზე გაქვს პრეტენზია, კეთილი ინებე და, 100 თუ არა, 50-მილიონდოლარიანი პირდაპირი ინვესტიცია მაინც განახორციელე, ცალკე ეკონომიკამ ცოტა მაინც რომ მოითქვას სული და ცალკე ხალხს დაანახვო, მის გვერდით რომ ხარ, მაგრამ არა, არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ და, რა თქმა უნდა, არც აშშ-მა, არ მოისურვა ამის გაკეთება. არ გამოჩნდა არავინ, ვინც საქართველოს ხელს შეაშველებდა. ამ მომენტში ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ ხმაში გაჰკივიან: რუსულ კომპანიებს სურთ ინვესტიციების განხორციელება და არ დავუშვებთო.** გამოდის, ჩვენთვის ფულს სუნი აქვს, დანარჩენი მსოფლიოსთვის — არა და ამიტომაცაა, დანარჩენი მსოფლიო ადამიანურად რომ ცხოვრობს, ჩვენ კი — **გამოხრული ძვლის იმედად.**

საქართველოში დასავლეთის მომხრეებს ისიც უხაროდათ, რუსეთში კორონავირუსის მზარდი სტატისტიკა რომ იყო. მაშინ იმაზე არავინ ფიქრობდა, რომ რუსეთის ფედერაციაში ლამის მილიონზე მეტი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს და, თუ სიკვდილიანობის მაჩვენებელი გაიზრდებოდა, ეს ქართველებსაც შეეხებოდა. შემდეგ კი ისე მოხდა, რომ რუსეთმა შეძლო პანდემიის მართვა, ვაქცინაც შექმნა და ძალიან მშვიდად გადააგორა ეკონომიკური კრიზისიც. უფრო მეტიც, იქ ახლა იმაზე მშვიდი სიტუაციაა ამ მიმართულებით, ვიდრე ჩვენთან. ჩვენ ის ეტაპი გვაქვს გასავლელი, რომელიც რუსეთმა უკვე გაიარა და კარგი იქნება, თუ გამოცდილებას გავიზიარებთ, მაგრამ არა, **„მტრისგან“ გამოცდილების გაზიარებაც არ გვინდა.** რუსეთში რომ ვაქცინა შექმნეს (კიდევ ორს ჩაუშვებენ მალე წარმოებაში), ეს ჩვენთან ცალყბად აღნიშნეს და მერე ატყდა ათასი ჯურის ვითომ ექსპერტის გნიასი, მათი ვაქცინა არ ვარგაო. არადა, რამდენიმე ათეული ქვეყანა უკვე რიგში დგას, რომ რუსული ვაქცინა იყიდოს. მერე ჯანმომ დადებითი შეფასება მისცა რუსულ წამალს და ამის შემდეგ ჩვენთან საერთოდ აღარ ახსენებენ, რომ კორონავირუსის ვაქცინა უკვე არსებობს, მაინცდამაინც გამყრელიძის „გილიადის“ წამალს ელოდებიან, რომ მასში 100 დოლარი გადაიხადონ. არადა, რუსული ვაქცინა სულ რაღაც 10 დოლარამდე ღირს. პუტინმა ოფიციალურად განაცხადა: ყველას მივაწვდით, ვინც მოითხოვსო. უკრაინელებმაც კი სთხოვეს და მათაც აძლევენ, ჩვენებს კი პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე მხოლოდ ტელევიზორიდან გვმოძღვრავენ.




**რუსეთში რომ ვაქცინა შექმნეს (კიდევ ორს ჩაუშვებენ მალე წარმოებაში), ეს ჩვენთან ცალყბად აღნიშნეს და მერე ატყდა ათასი ჯურის ვითომ ექსპერტის გნიასი, მათი ვაქცინა არ ვარგაო. არადა, რამდენიმე ათეული ქვეყანა უკვე რიგში დგას, რომ რუსული ვაქცინა იყიდოს. მერე ჯანმომ დადებითი შეფასება მისცა რუსულ წამალს და ამის შემდეგ ჩვენთან საერთოდ აღარ ახსენებენ, რომ კორონავირუსის ვაქცინა უკვე არსებობს, მაინცდამაინც გამყრელიძის «გილიადის» წამალს ელოდებიან, რომ მასში 100 დოლარი გადაიხადონ. არადა, რუსული ვაქცინა სულ რაღაც 10 დოლარამდე ღირს. პუტინმა ოფიციალურად განაცხადა, ყველას მივაწვდით, ვინც მოითხოვსო. უკრაინელებმაც კი სთხოვეს და მათაც აძლევენ, ჩვენებს კი პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვაზე მხოლოდ ტელევიზორიდან გვმოძღვრავენ**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის შეიცვლება მიდგომა და პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. დღეს არსებულ ვითარებაზე უკეთესის პერსპექტივას არც მომავალი არჩევნები გვპირდება. **არ ჩანს ისეთი ძალა, რომელიც იყვირებს არსებული პრობლემების შესახებ, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს და, რაც მთავარია, რომელსაც გამარჯვების შესაძლებლობას მისცემს დასავლეთი. ჰო, სწორედ დასავლეთი, რადგან დასავლელი ელჩები წერენ იმ პროცენტებს, რომლებსაც არჩევნების შედეგები უნდა დაერქვას და ამბობენ, რომ სხვა შემთხვევაში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარებულად არ ჩაითვლება. ე.ი., მოსახლეობა, მთელი ერი, თუ არ დაეთანხმება დასავლელთა მოსაზრებას, გამოდის, არჩევნებს გაყალბებულად გამოგვიცხადებენ. ჩვენ არჩევანის უფლებასაც გვართმევენ, ხოლო, თავისუფლება დიდი ხნის წინათ რომ წაგვართვეს, კარგად მოგეხსენებათ.**

წლევანდელი რთველი მშვიდ ვითარებაში ჩატარდა. სახელმწიფომ წინასაარჩევნოდ ყურძენზე სუბსიდიაც გაიმეტა, ქარხნებიც აიძულა, რომ ყურძენი იმ ოდენობით მიეღოთ, რამდენსაც ხალხი მიუტანდა. ჰოდა, ქარხნების მეპატრონეები ამბობენ, რუსეთი რომ არა, წლევანდელ მოსავალს ვინ ჩივის, შარშანდელი და შარშანწინდელიც ოხრად დაგვრჩებოდაო. **მეღვინეებიც აღიარებენ, რომ მთავარი ბაზარი რუსეთია და ყველაზე მეტად სწორედ ჩრდილოელი მეზობლის იმედი აქვთ, მაგრამ ხმამაღლა ამაზე ვერავინ საუბრობს, იმიტომ, რომ ეს ქვეყნის ღალატში ჩაეთვლება. ქვეყნის ღალატში ჩაეთვლებათ ის, რომ ასობით ადამიანი ჰყავთ დასაქმებული, რომ ბიზნესს აკეთებენ, რომ კარგ პროდუქციას ქმნიან და ეს პროდუქცია რუსეთში გააქვთ.** იგივე ხდება მინერალურ წყლებზეც. და რა მოხდება, რუსეთმა „ბორჯომზე“ უარი რომ თქვას და კომპანიას რამდენიმემილიონიანი ზარალი მიადგეს?

ცივილიზებული სამყარო თანხმდება, რომ ეკონომიკური ურთიერთობები მთავარია და ამიტომ ქვეყნებს ამ მიმართულებით ცივილური ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ეს იმასაც გულისხმობს, რომ უაზროდ არ უნდა აკრიტიკონ ერთმანეთი და მაღალი ტრიბუნიდან არ უნდა იყვირონ ის, რაც კონკრეტული ქვეყნის ლიდერს არ მოეწონება. არაერთხელ ავფეთქდით იმ ნაღმზე, რომელიც დაგვიგეს. ამის მიუხედავად, სწორედ იმ დანაღმულ ველზე განვაგრძობთ სიარულს და გარანტორიც არავინ არის, რომ აღარ ავფეთქდებით. ვეღარ გადაიტანს ამას ქვეყანა, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ვირუსის სახით უზარმაზარი საფრთხე გვემუქრება.

**არჩევნებამდე 10 დღე დარჩა და არჩევნებს აუცილებლად ჩაატარებენ. შესაბამისად, ამ ათ დღეში, სულ ცოტა, 10 ათასი ინფიცირებული დაგვემატება და ამ დროს... ოპოზიცია ხალხმრავალ შეხვედრებს არ ერიდება, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი ყველასა და ყველაფერზე მეტია, თუნდაც ადამიანების გვამებზე გადავლით.**

**ბესო ბარბაქაძე**

**„უნდა დასრულდეს მავნე პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც სრული ანომალიაა, რომ პოლიტიკურ დონეზე რუსეთი კვლავ საფრთხობელაა, ხოლო ეკონომიკურ დონეზე — ჩვენი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. აი, ამ არანორმალური მიდგომების შედეგია ის, რომ დღეს დეზორიენტირებული ვართ მსოფლიო მასშტაბით და, ფაქტობრივად, ვერანაირ წარმატებას ვერ ვაღწევთ ვერც ეკონომიკურ, ვერც პოლიტიკურ და ვერც სხვა მიმართულებით. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ მავნე პოლიტიკის შედეგად ერთი რეალური მოკავშირეც კი არ გვყავს“.**

დეპუტატობის კანდიდატი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: დასავლეთი დაინტერესებულია, კავკასია გადაიქცეს ზესახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონად

## «დარწმუნებული ვარ, რომ 31 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის ამომრჩეველი გააკეთებს სწორ არჩევანს»

**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და ყოფილმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში წინა ხელისუფლების ცხრაწლიან პერიოდზე ისაუბრა და განაცხადა, რომ სააკაშვილი, როგორც რეჟიმის მთავარი შემოქმედი, თავის პოლიტიკურ გარემოცვასთან ერთად, „რუსული სპეცოპერაციის ნაყოფია“. მისი თქმით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წლების განმავლობაში არაერთი ქმედებით დაამტკიცა, რომ კრემლის პოლიტიკის გამტარებელია, ხოლო თვითონ სააკაშვილი ხელისუფლებაში „პრიმაკოვის გარანტიით“ მოვიდა: „სააკაშვილი მოვიდა პრიმაკოვის გარანტიით, მისი ბიძა ცნობილია, როგორც „კა-გე-ბე“-ს პოლკოვნიკი და იარაღის „ბარიგა“, არ მოვერიდები ამის თქმას. ეს ხალხი ებრძვის ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხს, მეგობრებო. არჩევანი არის ჩვენს ხალხზე. ჩვენ ან ავირჩევთ პატრიოტიზმს, ან ავირჩევთ ღალატს“.**

ღარიბაშვილის განმარტებით, სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს თითქმის ყველა სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის ის ობიექტები, რომლებიც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას უზრუნველყოფდა, რუსულ კომპანიებს გადასცემოდა. მინისტრმა ჩამოთვალა კონკრეტული ობიექტები, რომლებიც რუსების ხელში ომის შემდეგ გადავიდა და დასძინა, რომ ეს ყველაფერი კრემლის მხრიდან საქართველოს სრული ეკონომიკურ-პოლიტიკური ანექსიის მცდელობის ხელშეწყობას ემსახურებოდა. შეგახსენებთ, რომ კრემლის აგენტობა და რუსული პოლიტიკის გატარება თუ მსახურება ერთ-ერთია იმ უმძიმეს ბრალდებებს შორის, რომლებსაც „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად უყენებენ ერთმანეთს. ამ ბრალდებით ორივე პარტია ერთმანეთის დისკრედიტაციას ცდილობს, თუმცა ბოლო პერიოდში ჩატარებული ყველა სოციოლოგიური კვლევა ცხადყოფს, რომ მოსახლეობაში რუსეთთან პირდაპირი დიალოგისა და ურთიერთობის ნორმალიზების მომხრეების რაოდენობა მატულობს...

**რას ემსახურება დღეს პროპაგანდა, რომ თურმე სააკაშვილის ცხრაწლიანი რეჟიმი რუსული პროექტი იყო და რამდენად მართებულია თავდაცვის მინისტრის შეფასება, რომ სააკაშვილი „პრიმაკოვის გარანტიით მოვიდა“ — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში სააკაშვილს რუსული სპეცოპერაციის ნაყოფი უწოდა და განაცხადა, რომ თავის დროზე იგი ხელისუფლების სათავეში „პრიმაკოვის გარანტიით მოვიდა“. ბოლო პერიოდში მსგავსი ბრალდებები ხშირად ისმის ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. როგორ ფიქრობთ, რეალურია ეს შეფასებები? ხომ არ ფიქრობთ, რომ მსგავსი რიტორიკა, რომელიც აშკარად შეიცავს ანტირუსული განწყობის ელემენტებს, კიდევ უფრო გაართულებს ისედაც დაძაბულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს?**

— ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ამ თემით სპეკულირება, ერთმანეთისთვის რუსეთის აგენტობის დაბრალებას ვგულისხმობ, არახალია. ეს უკვე ერთგვარ პრაქტიკადაც იქცა. მეტიც, ზოგიერთი პარტია, მაგალითად, „ნაცმოძრაობა“ და ნაწილობრივ „ოცნებაც“ ხშირად თავიანთ წინასაარჩევნო კამპანიას ამაზე აგებენ, ერთმანეთისგან რაღაც საფრთხობელას ქმნიან და ჰგონიათ, რომ ამით მათი პოლიტიკური შანსი მატულობს, მაგრამ არის ფაქტები, რომლებიც ცხადყოფს, ვინ ვინ არის რეალურად — ვინ ვისი აგენტია, ვინ ვისი გარანტიით მოვიდა და ა.შ. ახლა უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ **ევგენი პრიმაკოვის** ფიგურაზე, რომელსაც რატომღაც სააკაშვილის გარანტორობას მიაწერენ. დავიწყოთ იმით, რომ **პრიმაკოვი ითვლება დიპლომატიის მსოფლიო დონის მეტრად, ეს აღიარებული ფაქტია და მის სახელს უკავშირდება რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, ხელახალი აღზევება საერთაშორისო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე.** ქართულ რეალურ პოლიტიკაში მის როლს გავიხსენებდი ორი მნიშვნელოვანი ფაქტით, რომლებზეც დღეს რატომღაც ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას: **პირველი** — ეს იყო 1997 წელს, როდესაც პრიმაკოვის ინიციატივით თბილისში ჩამოვიდა **ვლადისლავ არძინბა** და, ფაქტობრივად, ყველაფერი შეთანხმდა ედუარდ შევარდნაძესთან მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, იმხანად, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო საქართველოსთან აფხაზეთის ინტეგრაციის საკითხი და კონკრეტული პოლიტიკური ფორმულაც არსებობდა საერთო სახელმწიფოში ჩვენი ცხოვრების, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი ჩაიშალა. მიზეზი ყველამ ვიცით — **ეს იყო ამერიკული მხარის უშუალო ჩარევა და წინააღმდეგობა, რომელმაც ითამაშა გადამწყვეტი როლი.** რაც შეეხება მეორე ფაქტს, რომელიც ასევე ცხადყოფს, რომ პრიმაკოვის, როგორც დიპლომატის, როლი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში იყო მხოლოდ დადებითი, ეს არის 2004 წელს უკვე **სერგეი შამბას** ჩამოყვანა თბილისში, რაც ასევე იყო შანსი ქართული მხარისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ამერიკელები ჩაერივნენ და მოლაპარაკებები ჩაშალეს — **სააკაშვილმა, ვაშინგტონის მკაცრი მითითებით, უკან დაიხია... მორჩა, პროცესი ჩაიშალა. აი ამის შემდეგ იწყება მკვეთრად ანტირუსული კამპანია და, რაც დრო გადის, რეფორმატორებად წოდებული ნაციონალები — ბოკერიები, ადეიშვილები, რამიშვილები და სხვანი — ანტირუსული რიტორიკით გამოირჩევიან.**

**— ე.ი., ის განცხადება, რომ სააკაშვილი „პრიმაკოვის გარანტიით მოვიდა“, პრაქტიკულად, საფუძველს მოკლებულია?**

— ერთადერთი რამის თქმა შემიძლია დანამდვილებით: **თუ საუბარია იმაზე, რომ 2004 წელს მიხეილ სააკაშვილს ევგენი პრიმაკოვის მხრიდან ჰქონდა გარკვეული მხარდაჭერა, ეს მხარდაჭერა სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ სააკაშვილს უნდა დაეწყო მოლაპარაკებები აფხაზებთან. ეს იყო პოზიტიური პროცესი ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის, მაგრამ სააკაშვილმა ეს არ და ვერ გააკეთა გასაგები მიზეზების გამო — ის, უბრალოდ, სხვა პოლიტიკური ორბიტის ინტერესებს წარმოადგენდა.** რაც შეეხება პრიმაკოვის გარანტორობას, ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად **ირაკლი ღარიბაშვილისადმი,** ვერანაირ ლოგიკას ვერ ვხედავ იმ მოსაზრებაში, რომ თურმე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი თავის დროზე სათავეში პრიმაკოვის გარანტიით მოვიდა. როგორ შეიძლებოდა, ძალა, რომელიც ფინანსდებოდა სოროსის ფონდიდან და დასავლეთის ანტირუსულ პოლიტიკურ ხაზს ატარებდა, რაღაცით დაკავშირებული ყოფილიყო კრემლის ერთ-ერთ გავლენიან ფიგურასთან?!

**— დასაწყისში თქვით, რომ ქართულ პოლიტიკაში ერთგვარ პრაქტიკად იქცა ამა თუ იმ ძალებს შორის ერთმანეთისთვის რუსეთის აგენტის იარლიყის მიწებება. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში სულ უფრო იზრდება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრეთა რაოდენობა, ადეკვატურია მსგავსი მეთოდებით ბრძოლა პოლიტიკურ ოპონენტებთან? ეს კიდევ ერთხელ ხომ არ ცხადყოფს ხელისუფლების სრულ შეუსაბამობას საზოგადოების ინტერესებთან?**

— საქმე ის არის, რომ დღევანდელი ხელისუფლებისა და მისი მოკავშირე პოლიტიკური ძალების ქმედება მიუთითებს მათ კუთვნილებაზე დასავლელი პატრონების მიმართ. ეს მონური და მარიონეტული დამოკიდებულება უკვე ძალიან აშკარაა.

რაც შეეხება საფრთხეებს, რომლებსაც ჩვენთვის შეიძლება ქმნიდეს ეს მავნე მიდგომები, ვფიქრობ, **იმ პირობებში, როცა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის ქვეშ მყოფი რეგიონი, ფაქტობრივად, დაუცველია და, საქართველოს რა ელის ხვალ-ზეგ, კაცმა არ იცის, რუსეთის როლის სრული იგნორირება ამ პროცესებში ჩვენთვის თვითმკვლელობის ტოლფასია.** ეს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს ესმის, იმიტომ, რომ დღევანდელ ვითარებაში რუსეთი ერთადერთი ბალანსპარტნიორია რეგიონში, თუ ძალთა უპირატესობა აშკარად გადაინაცვლებს თურქეთის მხარეს. სხვათა შორის, **გავლენიანი საერთაშორისო ექსპერტების გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ბრიტანეთი დაინტერესებულია კავკასიის რეგიონში თურქეთის გავლენის გაძლიერებით და რუსეთის პოზიციების შესუსტებით.** ეს ნიშნავს, რომ **დასავლეთი დაინტერესებულია, კავკასია გადაიქცეს ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონად, რომლის დასაწყისიც იქნება თურქეთის პროვოკაციული ქმედებების შედეგად რუსეთის ჩათრევა ფართომასშტაბიან ომში.** აი, სწორედ ამის მცდელობად შეიძლება შეფასდეს ის, რაც დღეს ხდება სამხრეთ კავკასიის ორ სუვერენულ სახელმწიფოს — სომხეთსა და აზერბაიჯანს — შორის. თუმცა **არანაკლებ დიდი ინტერესია საქართველოს მიმართაც, რაც ნათლად ჩანს ხოლმე დასავლეთის პროვოკაციულ ქმედებებში, როცა რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარების დადებითი ნიშნები გამოჩნდება ხოლმე.**

> «იმ პირობებში, როცა თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის ქვეშ მყოფი რეგიონი, ფაქტობრივად, დაუცველია და, საქართველოს რა ელის ხვალ-ზეგ, კაცმა არ იცის, რუსეთის როლის სრული იგნორირება ამ პროცესებში ჩვენთვის თვითმკვლელობის ტოლფასია»

**— გამოსავალს ხედავთ?**

— გამოსავალი, თეორიულად, ძალიან მარტივია — უნდა დასრულდეს მავნე პოლიტიკური პრაქტიკა, რომელიც სრული ანომალიაა, რომ პოლიტიკურ დონეზე რუსეთი კვლავ საფრთხობელაა, ხოლო ეკონომიკურ დონეზე — ჩვენი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. აი, ამ არანორმალური მიდგომების შედეგია ის, რომ დღეს დეზორიენტირებული ვართ მსოფლიო მასშტაბით და, ფაქტობრივად, ვერანაირ წარმატებას ვერ ვაღწევთ ვერც ეკონომიკურ, ვერც პოლიტიკურ და ვერც სხვა მიმართულებით. **არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ მავნე პოლიტიკის შედეგად ერთი რეალური მოკავშირეც კი არ გვყავს, განსხვავებით ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან, რომლებსაც ამ თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ.**

**— ათ დღეში საზოგადოება ახალ პარლამენტს აირჩევს. რას ეტყვით საზოგადოებას, რომელიც ამ არჩევნებისგან გარკვეულ ცვლილებებს ელოდება?**

— პირველ რიგში, მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი ულრმესი პატივისცემა „საქართველო და მსოფლიოსადმი“, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული გაზეთის მიმართ. თქვენ ხართ მასობრივი ინფორმაციის ის საშუალება, რომელიც, განსხვავებით სხვა მედიებისგან, იცავს დემოკრატიის აღიარებულ პრინციპებს და ყველა კანდიდატს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას, წარმოადგინოს თავისი პოზიცია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, „ლიბერალური“ მედიის მიერ დაბლოკილი ვარ. სხვათა შორის, ამის გამო უკვე მივმართე კომუნიკაციების მარეგულირებელ ორგანოს, მივმართე თვითონ ტელევიზიების ხელმძღვანელობებსაც, მაგრამ უშედეგოდ. ამ ხნის განმავლობაში არც ერთ ტელედებატში ჩემი ადგილი რატომღაც არ მოიძებნა. რაც შეეხება მოლოდინს, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ **ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კონკურენტი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში არ არის ერთი რომელიმე სუბიექტი, არამედ მთლიანად სისტემაა. საუბარია დასავლეთიდან თავსმოხვეულ ე.წ. ნეოლიბერალურ სისტემაზე, რომელიც ფასადურად არის დემოკრატიული პრინციპების დამცველი, ხოლო რეალური არსით აბსოლუტურად საპირისპიროა დემოკრატიის.** აი, ეს არის დღევანდელი ჩვენი მოცემულობა. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ 31 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის ამომრჩეველი სწორ არჩევანს გააკეთებს; არჩევანს, რომელიც მერე, შესაძლოა, კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი ცვლილებების საწინდარი გახდეს, ხოლო კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში — ძირფესვიანი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ცვლილებების წინაპირობა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანას, რომელშიც ნაწარმოები პროდუქციის 80%-მდე გაგაქვს, რომლიდანაც ენერგომატარებლებსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების ლამის ას პროცენტს იღებ, თუ არ დაელაპარაკები, უმიზეზოდ არ უნდა აგინო მაინც. უმიზეზოდ მაგინებლებში ვგულისხმობთ დასავლეთის მიერ წაქეზებულ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც რუსეთის ქმედებებს აკრიტიკებენ სირიასა თუ აფრიკის ქვეყნებში. არ არის, ბატონებო, ეგ თქვენი საქმე და, ყველამ რომ ისწავლა ჭკუა, თქვენ რატომ ვერაფერს სწავლობთ?**

# არ ვიცით, რა გვინდა, არ ვიცით, საით მივდივართ

## ჩვენ არ ვიცით, თორემ დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, საით მივყავართ და რისთვის

**ქართული პოლიტიკა ქართულ განათლებას ძალიან ჰგავს და ეს არცაა გასაკვირი. როგორიც არის განათლება, ისეთივეა პოლიტიკაც და ამიტომ ყველაფერში ყველაფრის მცოდნეები ვართ. ალბათ, მხოლოდ საქართველოში ხდება, რომ იურისტმა ეკონომიკაზე ისაუბროს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა — საგზაო ინფრასტრუქტურაზე... მხოლოდ საქართველოში იცის ყველამ ფეხბურთი და პოლიტიკა, მაგრამ პარადოქსია — ჩვენი ფეხბურთის შემხედვარე, „ფეხბურთის ექსპერტები" უცხოური ფეხბურთის ანალიზით არიან დაკავებულნი, ჩვენი პოლიტიკის შემხედვარე კი... მაინც ქართულ პოლიტიკაზე საუბრობენ. ჰო, ასეა აზელილი ყველაფერი ერთმანეთში, ვინ რისი ექსპერტია, ვერ გაიგებ და ვერც იმას ვხვდებით და დიდი ხნის განმავლობაში ვერ მივხვდებით, რომ, თუ ადამიანი ერთ სფეროში 3-4 წლის განმავლობაში მუშაობდა, არ ნიშნავს, რომ ამ სფეროს ექსპერტია. ძალიან მარტივად ვანიჭებთ ექსპერტების სტატუსს. ბოლო პერიოდში 22 და 23 წლის ექსპერტებიც გამოჩდნენ — ადამიანები, რომლებმაც ორი წიგნი (კარგი, სამი იყოს) წაიკითხეს და თავს ექსპერტობაზე დებენ.**



ცოტა შორიდან კი მოვუარ-ეთ, მაგრამ, როგორც მაისში, ივნისსა და ივლისში ვწერდით, ხორბლის ფასი აუცილებლად მოიმატებდა და ქვეყანა, რომლიდანაც ხორბალი შემოგვაქვს, ამ უმნიშვნელოვანეს მარცვლეულს გააძვირებდა. მერე ისე მოხდა, რომ **პანდემიის ფონზე ყველა „სტრატეგიულმა პარტნიორმა" თუ „მეგობარმა" უარი გვითხრა ხორბლის მოყიდვაზე და, თუ აქამდე პურის ფქვილისთვის საჭირო ხორბლის 95% შემოგვქონდა რუსეთიდან, აგვისტო-სექტემბრიდან ამ ქვეყანაზე 100%-ით ვართ დამოკიდებული. ასე იქნება ოქტომბერშიც, ნოემბერშიც, დეკემბერშიც და, უდიდესი ალბათობით, გაისადაც.** რუსეთმა, რომლის ხორბალზეც საერთაშორისო მოთხოვნა ძალიან გაიზარდა, იმაზე მეტი დახნა და დათესა, ვიდრე ოდესმე; 2017 წლიდან დღემდე ხორბლის მოსავალს ყოველწლიურად ზრდის და არც გასაღება უჭირს.

საქართველოს გარდა რუსეთზე არაერთი ქვეყანაა დამოკიდებული. მაგალითად, **ეგვიპტე,** რომელიც ნელ-ნელა ხორბლის მთავარი შემსყიდველი ხდება და დიდი სურვილი აქვს, პირველობა **თურქეთს** ჩამოართვას. ჰო, იმ **თურქეთს, რომელსაც თურმე რუსეთი მტრად ჰყავს გამოცხადებული, ერთი სული აქვს, აზერბაიჯან-სომხეთის ომში რუსეთის ჩარევის შესახებ შეიტყოს და ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს რაკეტები დაუშინოს. ჰო, სწორედ ასეთი მოსაზრებაა ქართველ „ექსპერტთა" დიდ ნაწილში. არადა, ირკვევა, რომ თურქეთი რუსეთისგან პურის გამოსაცხობად საჭირო ხორბალს რომ არ ყიდულობდეს, უბრალოდ, შიმშილით სული გაძვრებოდა.** თანაც, საქართველოსგან განსხვავებით, თურქეთი ნატოს წევრიც არის, 80 მილიონზე მეტი მოსახლეობაც ჰყავს და ქვეყნის საზღვრებს გარეთ შეიძლება, კიდევ არაერთი მილიონი ცხოვრობდეს. ამის მიუხედავად, თურქეთსა და რუსეთს ცივილური ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ და საქმიან ურთიერთობებს პოლიტიკაში არ ურევენ. თურქული პროდუქციაც დიდი ოდენობით შედის რუსეთის ტერიტორიაზე — მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზარზე და, ისიც რომ ჩაკეტოს რუსეთმა, ძალიან დააზარალებს თურქეთის ეკონომიკას, მაგრამ ამას არ აკეთებს და არ აკეთებს ერთადერთი რამის გამო — ეკონომიკური ურთიერთობა სხვა რამ არის და პოლიტიკური სხვა. რაც მთავარია, **ყველაფერი ხდება რუსეთის მიმართ დაწესებული საყოველთაო სანქციების ფონზე და სწორედ ეკონომიკური სანქციებით სურდათ რუსეთის გაგუდვა, მაგრამ ეს ორი რამის გამო არ გამოვიდა:**

**პირველი** — რუსეთი ამ სანქციებმა უფრო გააძლიერა, ადგილობრივი წარმოება განვითარდა (როგორც ამბობენ, ბოლო ორ წელიწადში ადგილობრივი წარმოება იმაზე მეტად განვითარდა, ვიდრე მანამდე ბოლო ოც წელიწადში ერთად);

**მეორე — არაერთმა ქვეყანამ სანქციების გაგრძელებაზე უარი თავისი ნებით თქვა, რადგან სანქციების გამო, რუსული ბაზარი მათთვის ჩაიკეტა, ამან კი მათი ქვეყნის ეკონომიკას მაგრად დაარტყა. სხვათა შორის, დასავლელი პარტნიორები ჩვენც მოგვიწოდებდნენ, სანქციების სრულ პაკეტს შევერთებოდით, მაგრამ მაშინ ქართველ პოლიტიკოსებში თვითგადარჩენის ინსტიქტმა იმძლავრა და მიხვდნენ, რომ საქართველოში ეკონომიკა კი არ გაჩერდებოდა, არამედ გაქრებოდა და მხოლოდ პოლიტიკურ სანქციებს შეუერთდნენ.**

ხორბალზე მოგახსენებდით და ისევ ხორბლით განვაგრძოთ. **ხელისუფლებას ლამის ნახევარი წლის განმავლობაში ვუმტკიცებდით, რომ ხორბალი აუცილებლად გაძვირდებოდა და, მარაგებს თუ არ შექმნიდა, ის მაინც მოეხერხებინა, რუსეთს განსხვავებულ ფასში არ მოეცა და ცოტა იაფად მოეყიდა. მაგრამ არა, ერთ მაგიდასთან (თუნდაც მხოლოდ ხორბალზე სასაუბროდ) დასხდომას ქართულმა მხარემ თავი ვერ თუ არ მოაბა და ახლა ერთ ტონა ხორბალს 250 დოლარად ვყიდულობთ — ტონა ხორბალი ადგილზე გვიჯდება 800 ლარი, შემდეგ ტრანსპორტირება, დაფქვა, საიდანაც სუფთა ფქვილი კარგ შემთხვევაში 70% გამოდის და ერთი კილოგრამი ფქვილის თვითღირებულება 1.5 ლარამდე მარტივად ადის. დახლებზე კი 80-თეთრიანი პური დევს და ვინმე აგვიხსნის, რას გვაჭმევენ, რა მინარევებით?**

პურის მწარმოებლები რომ არ იზარალებენ, ფაქტია და მოგება ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე რომ არის, ეგეც ადვილი მისახვედრია. რას ვჭამთ, ეგ ცალკე საუბრის თემაა არა მხოლოდ პურზე, არამედ სხვა პროდუქტებზეც. სწორედ საკვების ბრალია, სიმსივნური დაავადებების შემთხვევების მატება, მაგრამ არც ამაზე ფიქრით იწუხებენ თავს ხელისუფლებაში.

მთავრობის კოორდინირებული მუშაობა და რაიმე საკითხზე უმარტივესი შეთანხმება არარეალური რომ არის, კონკრეტულ მაგალითზე აგიხსნით.

„ქართული თაფლის შესვლა ევროპის ბაზარზე არის აბსურდი. სანამ ერთგვაროვანი თაფლი არ გვექნება, სანამ მეთაფლე არ მიხვდება, რომ არ უნდა მოგატყუოს, რომ ანტიბიოტიკს არ იყენებს, სანამ ქვეყანაში ღია ტუალეტების პრობლემა იქნება, მანამდე სულ ასე იქნება. საქართველოს სოფლების კანალიზაციის მოწესრიგებას რამდენი მილიარდი დასჭირდება, იცით? ევროკავშირმა როცა გაგვიწერა, 2015-დან 2017 წლამდე დაახლოების კანონმდებლობაზე იმუშავეთო, ძალიან კარგად იცოდა, რომ ეს პერიოდი გვჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ წავიკითხოთ, რა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ გვინდა, რომ ევროკავშირმა ახლავე გააღოს კარი და შევვარდეთ ქართველები. კი ბატონო, შევვარდეთ, მაგრამ რით? ახლა ჰასპის სტანდარტი გვაქვს დასანერგი. მწარმოებლებს მისი დანერგვა ქვეყნის მასშტაბით უნდა მოვთხოვოთ. ეკონომიკის სამინისტრო ამბობს, ამაზე ხალხი გაგიჟდებაო. რაზე უნდა გაგიჟდეს? ტუალეტი რომ დალაგებული უნდა იყოს, ეს რომ მოვთხოვოთ? ნაგავში რომ არ გვიკეთებდნენ საჭმელს? ბაღების სტანდარტიზაციაზე ხომ აღარ არის ლაპარაკი. ძალიან შორს წავალთ", — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ **გიორგი ხანიშვილმა** რამდენიმე თვის წინათ.

„მუხურში დავიწყეთ და სულ რამდენიმე თვეში დაპატენტდება სპეციალური ბრენდი „მუხურის თაფლი", რაც მისცემს შესაძლებლობას ადგილობრივებს, თაფლი აწარმოონ და შემდგომ გაიტანონ ევროპის ბაზარზე", — ეს განცხადება კი მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, ანუ გასულ კვირას, პრემიერმინისტრმა **გიორგი გახარიამ** ჩხოროწყუში სტუმრობისას გააკეთა.

რა გამოდის? ან გახარია არ იცნობს ევროპულ სტანდარტებს და ევროპელების გამოგზავნილი წერილი არც კი ანახეს, ან წინასაარჩევნოდ მოსახლეობა ყველაფერს ჭამს და დიდი რამე, თაფლსაც თუ მიაყოლებს.

ზუსტად ასეა საერთაშორისო პოლიტიკაშიც. **ჩვენი უბედურება არის ის, რომ არ ვიცით, რა გვინდა, არ ვიცით, საით მივდივართ.** ჩვენ არ ვიცით, თორემ დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, საით მივყავართ და რისთვის მივყავართ. საქართველო დასავლეთის ხელში არის რუპორი, რომელსაც ნებისმიერ მომენტში ააყვირებს საერთაშორისო მასშტაბით. კრიტიკის ადრესატი ასიდან ასივე შემთხვევაში რუსეთია. თუ არ გჯერათ, გაიხსენეთ სხვა ქვეყნის მიმართ გაკეთებული თუნდაც ერთი კრიტიკული განცხადება; გაიხსენეთ, ამოიღეს თუ არა ხმა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როცა იმავე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჭარა თურქეთის ტერიტორიად მოიხსენია, ან ამოიღეს თუ არა ხმა მაშინ, როცა დიდგორობა უქმე დღედ უნდა გამოცხადებულიყო და ამას თურქეთი შეეწინააღმდეგა.

ნამდვილად არ აქვს თურქეთს იდეალური ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ მაქსიმუმს აკეთებს იმისთვის, რომ პოლიტიკური დაძაბულობა ეკონომიკას არ შეეხოს, ანუ საკუთარ ხალხზე ზრუნავს. **ჩვენ კი პოლიტიკაც, ეკონომიკაც, ინფრასტრუქტურაც, სოფლის მეურნეობაც ერთ ქვაბში გვაქვს ჩაყრილი და იქიდან ორთქლსაც ერთნაირად ვუშვებთ. ქვეყანას, რომელშიც ნაწარმოები პროდუქციის 80%-მდე გაგაქვს, რომლიდანაც ენერგომატარებლებსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების ლამის ას პროცენტს იღებ, თუ არ დაელაპარაკები, უმიზეზოდ არ უნდა აგინო მაინც. უმიზეზოდ მაგინებლებში ვგულისხმობთ დასავლეთის მიერ წაქეზებულ ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებიც რუსეთის ქმედებებს აკრიტიკებენ სირიასა თუ აფრიკის ქვეყნებში. არ არის, ბატონებო, ეგ თქვენი საქმე და, ყველამ რომ ისწავლა ჭკუა, თქვენ რატომ ვერაფერს სწავლობთ?!**

**ბესო ბარბაქაძე**

**საქართველო დასავლეთის ხელში არის რუპორი, რომელსაც ნებისმიერ მომენტში ააყვირებს საერთაშორისო მასშტაბით. კრიტიკის ადრესატი ასიდან ასივე შემთხვევაში რუსეთია. თუ არ გჯერათ, გაიხსენეთ სხვა ქვეყნის მიმართ გაკეთებული თუნდაც ერთი კრიტიკული განცხადება; გაიხსენეთ, ამოიღეს თუ არა ხმა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, როცა იმავე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჭარა თურქეთის ტერიტორიად მოიხსენია; ან ამოიღეს თუ არა ხმა მაშინ, როცა დიდგორობა უქმე დღედ უნდა გამოცხადებულიყო და ამას თურქეთი შეეწინააღმდეგა**



„საქართველოს სამხედრო მიუმხრობლობა, ნეიტრალიტეტი ახალი თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის ბაზისი უნდა იყოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის გარანტი. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში კი უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ყველა ქვეყანა — აშშ-ცა და ევროკავშირის ქვეყნებიც, მაგრამ განსაკუთრებული როლი ამ საკითხში რუსეთს ენიჭება, რადგან ის უშუალო მეზობელია“.

**დეპუტატობის კანდიდატი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვიქტორ ცაავა:

# არის საფრთხე, რომ არჩევნებში მონაწილეთა მაჩვენებელი ძალიან დაბალი იქნება. ეს არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს და ქვეყანაში არეულობის მიზეზიც შეიძლება გახდეს

**ქვეყანაში შექმნილი საარჩევნო ისტერიკის ფონზე სულკურთხეული თემურ ქორიძის სიტყვები მახსენდება: „თუ გინდა, გაიგო ქვეყანაში რამდენი გიჟი გყავს, არჩევნებს ადევნე თვალყური“. და მართლაც, პოლიტიკოსები სიგიჟის ზღვარზე არიან, უსმენ მათ და ფიქრობ: ნუთუ ამ ადამიანებმა უნდა მართონ ქვეყანა?! ერთი ამბობს: ღვთისმშობელმა გვითხრა, ნიკა მელიას მიუვარდით ოფისშიო; მეორე ჟურნალისტებს ეუბნება: კოვიდს ჰკითხეთ, დანაშაული რატომ ჩავიდინეთო... ამ ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად საკანონმდებლო ორგანოში შესასვლელად იბრძვიან და მიტინგებს მართავენ, — დავითგარეჯა ჩვენი არ არისო... თუმცა, საბედნიეროდ, არიან გამონაკლისებიც. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ მარტვილი-აბაშა-ჩხოროწყუ-წალენჯიხის ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილი ვიქტორ ცაავა გვესაუბრება:**

— 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, რა თქმა უნდა, არაორდინალურია. **თითქოს მთელი მსოფლიო გადაირიაო, ყველაფერი თავდაყირა დგას. ჩვენი ლიბერალური ოპოზიციაც ანალოგიურ სიტუაციაშია და, რაც უფრო ვუახლოვდებით არჩევნებს, მით მეტად ვლინდება „შიზოკორონის“ სომპტომები, აბა, სხვა რა შეიძლება დაარქვა იმას, რაც „ნაცმოძრაობამ“ ბათუმში აქციის გამართვით გააკეთა, და იმ განცხადებას, რომელიც პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ ჟურნალისტებთან ამოაფრქვია.**

ზოგჯერ, როდესაც მათ ანალოგიური შინაარსის განცხადებებს ვისმენ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ლიბერალურ ოპოზიციას ოპოზიციონერობანა ისე გაუტკბა, ძალითაც რომ შეატენო ხელისუფლება, აღარც აიღებს სადავეებს ხელში.

ისე, ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ვითარება მძიმეა სრულიად მსოფლიოში. კორონავირუსის მეორე ტალღა მძვინვარებს და ამ ფონზე წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება ძალიან სარისკოა, ამიტომ სიფრთხილე გვმართებს, არჩევნებამდე მშვიდობით რომ მივაღწიოთ. მოსახლეობა შეშინებულია და **არის საფრთხე, რომ არჩევნებში მონაწილეთა მაჩვენებელი ძალიან დაბალი იქნება. ეს არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს და ქვეყანაში არეულობის მიზეზიც შეიძლება გახდეს.**

**— „პატრიოტთა ალიანსი“ თვლის, რომ შეუძლებელია, დაკარგული ტერიტორიების აღდგენა-დაბრუნების საკითხი გადაიჭრას რუსეთთან საერთო ენის გამონახვის გარეშე და, აგრეთვე, თუ პრობლემის მოგვარებაში არ ჩაერთვება ამერიკა-ევროპა. პარტიის ლიდერ დავით თარხან-მოურავის აზრით, საქართველოს ოკუპაციის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია იმ დიდი სახელმწიფოების მონაწილეობის გარეშე, რომელთა ინტერესებიც იკვეთება. „საქართველოს დეოკუპაცია მიუღწეველი იქნება კომპლექსური მიდგომის გარეშე. რუსეთი დეოკუპაციაზე არ დათანხმდება, სანამ ყველა სადავო საკითხი კომპლექსურად არ გადაიჭრება“, — ამბობს თარხან-მოურავი. მიგაჩნიათ, რომ ეს პოზიცია მართებულია?**

— თუ გვინდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოგვარდეს, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, ამას ალტერნატივა არ აქვს. ის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იკვეთება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესები, ფაქტია. რაც შეეხება ამერიკისა და ევროპის ჩართულობას კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, აშშ-ისა და ევროკავშირის გარეშე დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთთან და დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს. საქართველოს სამხედრო მიუმხრობლობის იდეა, რომელიც „პატრიოტთა ალიანსმა“ წამოაყენა, ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყებას მისცემს ბიძგს, რომელსაც საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება უნდა მოჰყვეს.

აუცილებელი იქნება, აგრეთვე, პარალელურად მიმდინარეობდეს აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგი. სამწუხაროდ, ყველას — ხელისუფლებასაც და ოპოზიციის დიდ ნაწილსაც — დაავიწყდა, რომ არსებობენ აფხაზები, ოსები და, სანამ ამერიკელებს ან ევროპელებს, გინდაც რუსებს დაელაპარაკები, შეხების წერტილები უნდა ვიპოვოთ უშუალოდ მათთან, ისინი ჩვენთან ერთად ამ მიწის შვილები არიან და საბოლოოდ მათთან ერთად მოგვიწევს ცხოვრება. ჩემი აზრით, საქართველოს სამხედრო მიუმხრობლობა, ნეიტრალიტეტი ახალი თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის ბაზისი უნდა იყოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეუხებლობის გარანტი. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და ყველა ქვეყანა — აშშ-ცა და ევროკავშირის ქვეყნებიც, მაგრამ განსაკუთრებული როლი ამ საკითხში რუსეთს ენიჭება, რადგან ის უშუალო მეზობელია.

**«თუ გვინდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოგვარდეს, რუსეთთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, ამას ალტერნატივა არ აქვს. ის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იკვეთება რამდენიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესები, ფაქტია. რაც შეეხება ამერიკისა და ევროპის ჩართულობას კონფლიქტის მოგვარების საკითხში, მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, აშშ-ისა და ევროკავშირის გარეშე დაჯდეს მოლაპარაკების მაგიდასთან რუსეთთან და დაიცვას თავისი ინტერესები. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება გვაქვს»**

**— პარლამენტში თქვენი არჩევის შემთხვევაში რას ჰპირდებით ამომრჩეველს?**

— სამეგრელო ყველაზე მეტად დაზარალდა 1992-93 წლების მოვლენებში, როდესაც მოხდა სუბეთნიკური ჯგუფის, მეგრელების, სასიცოცხლო არეალის შემცირება სამეგრელოს აწიოკება-დარბევის შედეგად და საბოლოოდ ეს მხარე მოექცა გეოეკონომიკურ ჩიხში.

პარლამენტში არჩევის შემთხვევაში, იმ პარტიასთან ერთად, რომელმაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარმადგინა, ვპირდები სამეგრელოს მოსახლეობას, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, გარკვეულწილად მივაღწიოთ შერიგებას აფხაზებსა და ოსებთან; გავხსნით გზას აფხაზეთის მიმართულებით, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით. აფხაზეთისკენ მიმავალი გზის გახსნა და ტერიტორიული პრობლემების გადაჭრა სამეგრელოს ეკონომიკური მდგომარეობის მყისიერ გაუმჯობესებას გამოიწვევს.

გარდა ამისა, **შევიმუშავე დებულებები, რა გადაარჩენს არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ მთელ საქართველოს. ეს დებულებები ჩემი დიდი ხნის ნაფიქრ-ნააზრევია:**

*** უწინარესად, რაც სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს, არის: ეროვნული შემოსავლის ძირითადი წყაროების, სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტებისა და სისტემების უპირობო ნაციონალიზაცია, მათი და სხვა სახელმწიფო რესურსების მართვის სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა — ყველამ უნდა ვიცოდეთ, როგორ ეფექტიანად და რაში იხარჯება შემოსავლები;**

* ბუნებრივი რესურსების — ტყის, მიწის ნაციონალიზაცია; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა პრინციპით: ტრადიციული დარგების აღგენა-განვითარება ნაკლები ხარჯებითა და მოკლე ვადაში მისაღწევი ეფექტის პერსპექტივით. პირველ რიგში უნდა ალვადგინოთ ის, რისი საშუალებაც დღეს გვაქვს და რაც სწრაფად მოგვცემს შემოსავალს;

*** სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მსხვილი კოოპერატიული მეურნეობების შექმნის წახალისება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი უფასო მომსახურების პირობით. მაგალითად, ე.წ. მანქანა-ტრაქტორთა პარკები კოოპერატიულ მეურნეობებს უნდა მოემსახუროს უფასოდ. მათი შენახვა კი სახელმწიფომ უნდა ივალდებულოს. საერთოდ, გეზი უნდა იყოს აღებული მოწინავე ტექნოლოგიების ბაზაზე საზოგადოებრივად (ანუ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული და მის მართვაშივე შენარჩუნებული) ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნაზე;**

* ახალი ბაზრების ათვისების პარალელურად ქართული პროდუქციისათვის ტრადიციული ბაზრის დაბრუნება პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს შეუძლებელია შესაბამისი საგარეო პოლიტიკის გარეშე. პროგრამა ითვალისწინებს მეჩაიეობის, როგორც სახელმწიფოებრივი და მის მართვაში შენარჩუნებული დარგის აღდგენას სრული ციკლით — ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკების აღდგენა-მოვლა-ექსპლუატაციისა და მზა პროდუქციის ადგილზე რეალიზაციისა თუ ექსპორტის ჩათვლით. სამეგრელოს, გურიის, აჭარისა თუ იმერეთის მოსახლეობას კვლავ უნდა მიეცეს საშუალება, ჰქონდეთ მაღალშემოსავლიანი სამუშაო ადგილები ჩაის წარმოების დარგში. კერძო კაპიტალი ვერ აიღებს და არც აიღებს პასუხისმგებლობას, ამგვარად დააყენოს საკითხი და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის ამ მეტად აქტუალური მიმართულების აღდგენის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს პრაქტიკას სახელმწიფოებრივად ორგანიზებული მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სისტემის შექმნის მიმართულებით (და არა მხოლოდ ამ მიმართულებით).

*** ენგურჰესი, როგორც უმსხვილესი და უაღრესად ეფექტური ეკონომიკური ობიექტი, დღეს კერძო საკუთრებაშია. საზოგადოებისათვის უცნობია, სინამდვილეში რა შემოსავლების აკუმულირება ხდება ენგურჰესის მეშვეობით. საზოგადოება ვერ ახერხებს ამ მნიშვნელოვანი შემოსავლების ეფექტურ განკარგვას. მეორე მხრივ, საქართველოს მოსახლეობის, ჩვენი ოჯახების ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ელექტროენერგიის ხარჯებზე მოდის. ვერ ხორციელდება ადგილობრივი წარმოების იაფი ელექტროენერგიით წახალისებაც, რადგანაც ენერგეტიკული პოლიტიკა კერძო ოპერატორების ხელშია. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სეგმენტებიც ენერგეტიკისა მხოლოდ ფორმალურად თუა სახელმწიფო, ფაქტიურად კი ვიწრო ჯგუფურ საკუთრებას წარმოადგენს.** ჩემი პროგრამის მიხედვით, ენგურჰესი და, საერთოდ, ენერგეტიკული სისტემა — ეს მეტად მნიშვნელოვანი სეგმენტი ეკონომიკისა, უნდა იყოს სახელმწიფოს ხელში, რათა განხორციელდეს ამ მეტად მნიშვნელოვანი რესურსის საზოგადოების ინტერესების შესაბამისი ეფექტიანი მართვა-რეგულირება. რაც შეეხება ენგურჰესს, მისი მართვის სრული გამჭვირვალობის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატირთვაც აქვს.

დასასრულ, ვიმედოვნებ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მშვიდობით ჩატარდება და არ იქნება გართულებები.

**«პარლამენტში არჩევის შემთხვევაში, იმ პარტიასთან ერთად, რომელმაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარმადგინა, ვპირდები სამეგრელოს მოსახლეობას, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, გარკვეულწილად მივაღწიოთ შერიგებას აფხაზებსა და ოსებთან; გავხსნით გზას აფხაზეთის მიმართულებით, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მას შემდეგ, რაც იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში — წარმატებით გამოცადეს ბირთვული იარაღი, რასაც ორასი ათასზე მეტი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ამერიკელთა თავხედურმა გეგმებმა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ბრიტანულ გამოცემა DAILY STAR-ში გამოქვეყნებულია დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1945 წლის 15 სექტემბრით. დოკუმენტში სკრუპულოზურადაა გათვლილი საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღით განადგურების გეგმა. დასაბომბად განწირული საბჭოთა ქალაქების სიაში მოხსენიებულია თბილისიც.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**ოცდამეხუთე გადაცემა**

# ფიურერის ვაკანტური თანამდებობა



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო მაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

სამი კვირის წინათ შემოგთავაზეთ გადაცემა სათაურით „მსოფლიო გლობალური ომის მოლოდინში“. მაშინ, შესაძლებელია, გადაჭარბებული გეჩვენათ ვითარების ამგვარად წარმოდგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა ურთულესია. დღეს წამყვანი რუსული ტელეარხები გადაცემებს ასეთი სიტყვებით იწყებენ:

**ვლადიმერ სოლოვიოვი, РТР (15.10. 2020):** — მსოფლიო დიდი ომისთვის ემზადება. **სი ძინპინი აცხადებს,** რომ **ჩინეთის** არმია მზადყოფნაშია და ახლა საჭიროა ყველა აზრისა და ძალის თავმოყრა ომისთვის მოსამზადებლად. ვაშინგტონი **ტაივანს** იარაღით ავსებს. **გერმანული** და **ნატოს** საჰაერო-სამხედრო ძალები საიდუმლო წვრთნებს ატარებენ, რომელშიც ამოქმედებულია ბირთვული იარაღის გადამტანი ავიაგამანადგურებლები და ბომბდამშენები. **იაპონელებმა** ზღვაში ჩაუშვეს წყალქვეშა ხომალდი, რომელსაც რუსეთისკენ მიმართული შუბი უწოდეს. **საქართველოში ამოეფარნენ ყარაბაღის ომს და ხელახლა წამოსწიეს თავიანთ ტერიტორიაზე ამერიკული სამხედრო ბაზის განთავსების საკითხი.**

მილიტარისტული ვნებები ღვივდება უშუალოდ რუსეთის საზღვრებთან... თუ დავაკვირდებით ომისთვის გამოყოფილი ხარჯების განუხრელ მატებას, ნათელი ხდება, რომ **კაცობრიობა არა ცივი ომისკენ, არამედ ცხელი ომისკენ მიექანება...**

**ვალერი კვარაცხელია:** — როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მესამე მსოფლიო ომის შესახებ საუბრები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე დაიწყო. მესამე მსოფლიო ომი 1941 წელს 3 ნოემბერს (გახურებული მეორე მსოფლიო ომის დროს) ახსენეს ჟურნალ Time-ში. 1943 წლის 22 მარტის გამოშვებაში იგივე ჟურნალი მეორედ ახსენებს „მესამე მსოფლიო ომს“ აშშ-ის მაშინდელი ვიცეპრეზიდენტის, **ჰენრი უოლესის,** ერთ-ერთ განცხადების გამო.

**ჰენრი უოლესი, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი (1941-1945 წწ.):** — ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, დავთესოთ თუ არა მესამე მსოფლიო ომის მარცვლები.

**ვალერი კვარაცხელია:** — მესამე მსოფლიო ომიც იმავე მიზნით მოხდებოდა, დასავლეთის რომელმა მიზანმაც მეორე მსოფლიო ომი გამოიწვია. ეს იყო საბჭოთა კავშირის განადგურება.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა, რომელიც შეშფოთებული იყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს ევროპაში საბჭოთა ჯარის მრავალრიცხოვანი კონტინგენტი იმყოფებოდა, რაც, მისი აზრით, დასავლეთ ევროპას საფრთხეს უქმნიდა, 1945 წელს შეიმუშავა სამხედრო ოპერაციის გეგმა სახელწოდებით „წარმოუდგენელი“. ეს იყო მცდელობა, საბჭოთა კავშირისთვის თავს მოეხვიათ ინგლისისა და აშშ-ის ნება. სწორედ ეს ითვლება მესამე მსოფლიო ომის პირველ რეალურ გეგმად, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის შტაბების მეთაურთა კომიტეტმა იგი არ დაამტკიცა, როგორც სამხედრო თვალსაზრისით შეუსრულებელი.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პირველი ამერიკული გეგმა **Totality** ჯერ კიდევ 1945 წელს შემუშავდა. 1948 წელს კი შედგა საბჭოთა კავშირთან ომის ახალი გეგმა **Charioteer**, 1949 წელს კი საბჭოთა კავშირთან ომის საწარმოებლად დაიგეგმა ოპერაცია **Dropshot**-ი. რომელიც შტაბების მეთაურთა კომიტეტზე დაამტკიცეს.

სოციალისტური სისტემის ლიკვიდაცია, რაც დასავლეთის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირის ფიზიკური ლიკვიდაციის სატანისტური სურვილისკენ იხრებოდა. **მას შემდეგ, რაც იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში წარმატებით გამოცადეს ბირთვული იარაღი, რასაც ორასი ათასზე მეტი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ამერიკელთა თავხედურმა გეგმებმა წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია.** ბრიტანულ გამოცემა Daily Star-ში გამოქვეყნებულია დოკუმენტი, რომელიც დათარიღებულია 1945 წლის 15 სექტემბრით. დოკუმენტში სკრუპულოზურადაა გათვლილი საბჭოთა კავშირის ბირთვული იარაღით განადგურების გეგმა. დასაბომბად განწირული საბჭოთა ქალაქების სიაში მოხსენიებულია **თბილისიც.**

იმ ატომური დაბომბვებისას, რომლებსაც დასავლეთში გეგმავდნენ, აბსოლუტურად გამორიცხული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის დანდობაზე ფიქრიც კი. ეს მასობრივი დაბომბვის ისეთივე არაადამიანური გეგმა იყო, როგორიც ჰიროსიმასა და ნაგასაკიში განახორციელეს, უბრალოდ, მასშტაბი უნდა ყოფილიყო ასჯერ და ათასჯერ დიდი.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოცადეს პირველი ატომური ბომბი და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, აშშ-ის ოცნებას საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის მყისიერი განადგურების შესახებ წერტილი დაესვა და ბირთვული იარაღის ძირითადი არსენალის კონცენტრირება ორი ზესახელმწიფოს ხელში უდიდეს შემაკავებელ ფაქტორად იქცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. **ამიტომ მესამე მსოფლიო ომი, რომელთანაც ასე ახლოს დადგა კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო; გადაიდო, მაგრამ ამ 75 წელიწადის განმავლობაში დღის წესრიგიდან წუთითაც არ მოხსნილა. უბრალოდ, 1945-დან 1991 წლამდე უაღრესად სპეციფიკური და კაცობრიობის ისტორიაში მანამდე უცნობი ე.წ. ცივი ომის სახე მიიღო.** ამ მიმართულებით მომუშავე ბევრი სპეციალისტი და მეცნიერი დღემდე მიიჩნევს, რომ „ცივი ომი“ მესამე მსოფლიო ომი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლითა და აშშ-ის გამარჯვებით დასრულდა. მათი აზრით, ეს იყო ახალი ფორმა და წესი გლობალური პოლიტიკურ-იდეოლოგიურ-ეკონომიკური დაპირისპირებისა, რომელშიც ორი უზარმაზარი ბლოკი მონაწილეობდა და, რომელიც პერიფერიულ (მაგ., ვიეტნამში, კორეაში, მოზამბიკში, კონგოში, ნიკარაგუაში, სალვადორში, ავღანეთში, ახლო აღმოსავლეთსა და სხვაგან) სამხედრო დაპირისპირების სახეს იღებდა. მეცნიერთა ამ თვალსაზრისში უდავოდ არის ჭეშმარიტების მარცვალი, მაგრამ, ჩემი აზრით, **ე.წ. ცივი ომის მესამე მსოფლიო ომად გამოცხადება გადაჭარბებულიცაა და მცდარიც, ვინაიდან „ცივი ომი“ უფრო მხატვრული (მეტაფორული) ცნებაა, ვიდრე მეცნიერული კატეგორია.** იმით, რომ შემოვიღეთ ცნება „ცივი ომი“, ნამდვილი მსოფლიო ომი არსად წასულა. მისი აჩრდილი კაცობრიობას სდევს და მოსვენებას არ აძლევს, როგორც შემზარავი პერსპექტივა, რომელიც, შესაძლებელია, ნებისმიერ წუთს საშინელ რეალობად დაატყდეს თავს.

„ცივი ომის“ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთადერთხელ დადგა კაცობრიობა რეალური ბირთვული კატასტროფის წინაშე. ეს იყო 1962 წელს, კარიბის კრიზისისას, როდესაც ამერიკული რაკეტები თურქეთის ტერიტორიაზე განათავსეს, ხოლო საბჭოთა რაკეტები საპასუხოდ კუბაში გამოჩნდნენ. პრეზიდენტმა **ჯონ კენედიმ** გასცა ბრძანება, რომ აშშ-ის სტრატეგიული ავიაციის მეთაურებს საბრძოლო მზადყოფნა აეწიათ ე.წ. DEFCON-2-ის დონეზე, რომლის შემდეგ მხოლოდ იერიშის შესახებ ბრძანება რჩებოდა. აშშ-ის ისტორიაში ეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ მოხდა. იმხანად კაცობრიობა გადარჩა.

ბირთვული პარიტეტი, ანუ ის, რომ ბირთვული შეიარაღების თვალსაზრისით არც ერთ მხარეს აშკარა უპირატესობა, ისეთი, რომელიც გამარჯვების ასპროცენტიან განცდას გაუჩენს, არ აქვს (ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ ჰქონია), იმგვარ ბალანსს ქმნიდა და ქმნის, რომ მისი გამოყენებისკენ ხელი არც ერთს არ უნდა წაუცდეს. ასე რომ, ბირთვული ბალანსი თავისთავად დადებითი მოვლენაა. „ცივი ომის“ პერიოდში გამოსავლის ძებნისას (როგორც ბალანსის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი) შეიქმნა დოქტრინა „გარანტირებული ურთიერთგანადგურების შესახებ“. მართალია, იგი შემოთავაზებული იყო, როგორც შემაკავებელი ფაქტორი, მაგრამ თავის თავშივე მოიცავდა რაღაც უფრო საშინელს, ვიდრე თვით მსოფლიო ომის ცნებაა. დააკვირდით ჩვეულებრივი, ადამიანური და კაცთმოყვრული კუთხიდან — **„გარანტირებული ურთიერთგანადგურების დოქტრინა“.** ამ დოქტრინის მიხედვით, ერთი მეორეს ვერ გაანადგურებს ისე, რომ გამანადგურებელი დარტყმა, შურისძიების დახვეწილი ტექნიკური მექანიზმის ამოქმედების შემდეგ, ავტომატურად უკანვე არ მიიღოს. აი, სადამდე მივიდა განვითარების ჰუმანისტურ და ზნეობრივ პრინციპებს საბოლოოდ აცდენილი და გზაარეული კაცობრიობა.

ჰო, როგორც უკვე ვთქვი, **მესამე მსოფლიო ომის საფრთხე არსად წასულა. იგი ახლა მომეტებულად საშიში ხდება, ვინაიდან, ერთი მხრივ, ჩნდება ბირთვული შეიარაღების სფეროში მოწინააღმდეგეზე თვისებრივი უპირატესობის მოპოვების ტენდენციები; მეორე მხრივ კი, მთლიანად მოიშალა მსოფლიო წესრიგის ის მექანიზმები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში დასავლური ფაშიზმის დამარცხების შედეგად ჩამოყალიბდა და, რომელმაც, ასე თუ ისე, დღემდე მოაღწია, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საფუძვლები ისე შეერყა, რომ უკვე სასიკვდილო აგონიაშია.** გაერო, როგორც მსოფლიო წესრიგის საყრდენი და ციტადელი, სულს ღაფავს, რის გამოც მსოფლიოში აღზევდა უზნეობის სამი მონსტრი — სიცრუე, ყოვლის ნებადართულობა და ძალმომრეობა. ღმერთის ადგილს სატანა იკავებს, რომელსაც ცალ ხელში ფული უჭირავს, მეორე- ▶

**მესამე მსოფლიო ომის საფრთხე არსად წასულა. იგი ახლა მომეტებულად საშიში ხდება, ვინაიდან, ერთი მხრივ, ჩნდება ბირთვული შეიარაღების სფეროში მოწინააღმდეგეზე თვისებრივი უპირატესობის მოპოვების ტენდენციები, მეორე მხრივ კი, მთლიანად მოიშალა მსოფლიო წესრიგის ის მექანიზმები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში დასავლური ფაშიზმის დამარცხების შედეგად ჩამოყალიბდა და, რომელმაც, ასე თუ ისე, დღემდე მოაღწია, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საფუძვლები ისე შეერყა, რომ უკვე სასიკვდილო აგონიაშია**

**ამერიკელებს ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი ხელეწიფებათ, ოღონდ ეგ არის, რომ ამ „ყველაფერში" არასოდეს იგულისხმება რამე ზნეობრივი, ჰუმანური და კეთილშობილური. ეს „ყველაფერი" ყოველთვის ბოროტებასთან, უზნეობასთან, ძალმომრეობასა და ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული. მათ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს უკრაინა. ამას ხან იუშჩენკოს, ხან ტიმოშენკოს, ხან პოროშენკოსა და ხან ზელენსკის ხელით აკეთებენ. იმავეს გეგმავენ ბელარუსში, სადაც ვიღაც თვითმარქვია ქალი მოძებნეს და ყოველგვარი სახალხო ლეგიტიმაციის გარეშე მის გაპრეზიდენტებას ლამობენ, ზუსტად იმ ანალოგიით, როგორც ამას ცოტა ხნის წინათ ვენესუელაში შეეცადნენ.**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დასავლეთი ბოლოს ერდოღანსაც ისე გაწირავს, როგორც, თავის დროზე, ჰიტლერი გაწირა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერდოღანსაც ისევე არ გამოიყენებენ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ამერიკელებმა და ინგლისელებმა ჰიტლერი და ნაცისტური გერმანია გამოიყენეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. არც ისაა აუცილებელი, რომ ახალი ჰიტლერის როლში მაინცდამაინც ერდოღანი წარმოვიდგინოთ. ამ როლისთვის დასავლეთს სხვა კანდიდატებიც ჰყავს. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი — ნაცისტური კომპლექსებით დამძიმებული, მსოფლიოს ყველაზე ბნელი ძალების მიმართ ძაღლივით ერთგული ავანტიურისტი პოლიტიკანი, რომელიც თანამდებობის მიღების სურვილით ისე ავადმყოფურადაა შეპყრობილი, რომ ყველაფერზეა წამსვლელი

◀ში კი — იარაღი. ასეთ ვითარებაში ბირთვული პარიტეტი, როგორც შემაკავებელი ფაქტორი, ნაკლებად საიმედოა, ვინაიდან მსოფლიოში ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიექანება დისბალანსისა და რღვევის მიმართულებით. რუსული პრესისთვის თვალის უბრალო გადავლებაც საკმარისია, რომ სიტუაციის დრამატულობას მიხვდე. რაზე მეტყველებს სათაურები: **„Зародыш третьей мировой"; „Есть ощущение, что мы наблюдаем начало Третьей мировой"; „Десять признаков приближения Третьей мировой войны"**. ანალოგიური ვითარებაა დასავლურ პრესაშიც (სათაურებს გაწვდით რუსული თარგმანებიდან): **„Трамп действительно собирается начать третью мировую войну?"; „В США математик вычислил, когда начнется третья мировая война"; „Опрос: треть американцев уверены в приближении Третьей мировой войны"**. ეს, რაც ჩამოვთვალე, წვეთია ზღვაში. **მესამე მსოფლიო ომის მოლოდინით გაჟღენთილია არა მხოლოდ საინფორმაციო სივრცე და საშუალებები, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრიც. ეს უმიზეზოდ არ ხდება. მას აქვს საფუძველი. სტალინის გარდაცვალების დღიდან დაწყებული პროცესი საბჭოთა კავშირის ნგრევისა, რომელსაც ერთნაირად უწყობდნენ ხელს ქვეყნის გარეთ და შიგნით, ჯერაც არ დასრულებულა. დასრულდა მისი მხოლოდ ერთი ეტაპი, უშუალოდ კავშირის დაშლა, დასასრულს უახლოვდება მოკავშირე რესპუბლიკების მითვისება-მიერთების ეტაპიც, მაგრამ არ დასრულებულა რუსეთის დაშლა, რომელიც იმავე გეგმის შემადგენელი ნაწილია.** რუსეთის უკიდეგანო სივრცის, ტერიტორიის, ულევი წიაღისეულისა და ენერგომატარებლების, საერთოდ, აურაცხელი სიმდიდრის მთლიანად ხელში ჩაგდების დაუოკებელი სურვილი, რომელიც, აგრეთვე, პირდაპირი გზაა მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობისკენ, ჯერ არ განელებულა. **ნუ წარმოიდგენთ ისე, თითქოს აშშ-ის პრეზიდენტები და, საერთოდ, ხილული პოლიტიკოსები ახორციელებდნენ ამ უზარმაზარ გლობალისტურ პროექტს. მათ უკან ის ფარული ძალები დგანან, რომლებიც მსოფლიო ფინანსების უზარმაზარ ნაწილს და მისი მართვის ბერკეტებს ფლობენ. ტრამპი თუ მისი წინამორბედი პრეზიდენტები ამ ძალებს ხელისუფლებაში მოჰყავთ. იმ ბნელ ძალებს არა მხოლოდ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები, არამედ ბევრი სხვა ლიდერიც მოჰყავთ, ზოგი ფარულად და ზოგიც დაუფარავად.** მათთვის ნებისმიერი მეთოდი (რევოლუცია, სახელმწიფო გადატრიალება, არჩევნები) მისაღებია. ასე მოიქცნენ ისინი საქართველოსა და ამიერკავკასიის დანარჩენ რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთში, ცენტრალურ აზიაში, უკრაინაში. უფრო ადრე ასე მოიყვანეს მათ თვით საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის პოსტზე **ხრუშჩოვი, ანდროპოვი, გორბაჩოვი**, ასე მოიყვანეს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე **ელცინი**. 1996 წელს რუსმა ხალხმა პრეზიდენტად კომუნისტი გენადი ზიუგანოვი აირჩია, მაგრამ ამერიკელებმა შეძლეს ხალხისთვის ეს არჩევანი ბორის ელცინის სასარგებლოდ წაერთმიათ. ეს ამბავი აღარც დაუმალავთ. იმ არჩევნებიდან რამდენიმე წლის გასვლის მერე ფილმიც კი გადაიღეს იმის შესახებ, როგორ აღუდგნენ წინ რუსი ხალხის „მცდარ" არჩევანს და როგორ „იხსნეს" რუსეთში დემოკრატია, რომლის ბედიც, მათი აზრით, ბეწვზე ეკიდა. **ამერიკელებს ყველაფერი შეუძლიათ, ყველაფერი ხელეწიფებათ, ოღონდ ეგ არის, რომ ამ „ყველაფერში" არასოდეს იგულისხმება რამე ზნეობრივი, ჰუმანური და კეთილშობილური. ეს „ყველაფერი" ყოველთვის ბოროტებასთან, უზნეობასთან, ძალმომრეობასა და ექსპლუატაციასთან არის დაკავშირებული.** მათ დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს უკრაინა. ამას ხან **იუშჩენკოს**, ხან **ტიმოშენკოს**, ხან **პოროშენკოსა** და ხან **ზელენსკის** ხელით აკეთებენ. იმავეს გეგმავენ **ბელარუსში**, სადაც ვიღაც თვითმარქვია ქალი მოძებნეს და ყოველგვარი სახალხო ლეგიტიმაციის გარეშე მის გაპრეზიდენტებას ლამობენ, ზუსტად იმ ანალოგიით, როგორც ამას ცოტა ხნის წინათ **ვენესუელაში** შეეცადნენ. ერთი სიტყვით, **ამერიკელებმა იციან, რასაც აკეთებენ. ევროპელებმაც იციან, რასაც აკეთებენ. ისინი, კარგა ხანია, დეგრადაციის გზას ადგანან, რის გამოც გერმანელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ოსვალდ შპენგლერმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში იწინასწარმეტყველა ევროპის მზის ჩასვენება. რომ არა სტალინი და საბჭოთა კავშირი, გატუტუცებული ევროპა მის მიერვე შობილ ფაშისტურ სიბინძურეში ჩაიხრჩობოდა. დღესდღეობით, დასავლური რენესანსის, განმანათლებლური იდეების, პარიზის კომუნის, მარქსისტული ფილოსოფიისა და „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" მშობელი ევროპა „მაინ კამპფის" დონეზე დაეცა და ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებით მოიფინა.** ევროპა სულიერების თვალსაზრისით ჯერაც ვერ წამოდგა და წელში ვერ გამართა, ამიტომაც დღეს იგი ამერიკის სატელიტობასა და მის საჭალად ყოფნას სჯერდება. მათგან განსხვავებით ჩინეთმა იცის, თუ რა უნდა და რას აკეთებს. მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი და უზარმაზარი სოციალისტური სახელმწიფო პოლიტიკურ-იდეოლოგიურ-ეკონომიკურ-სოციალურ-მეცნიერულ-ტექნოლოგიურ მწვერვალებს იპყრობს. ჩინეთმა იცის, რომ კაცობრიობის განვითარების იმ მაგისტრალურ გზაზეა გასული, რომელზეც სულ მალე პირველობას ვერავინ შეეცილება. თურქეთი რომ თურქეთია, იმანაც იცის, თუ რა უნდა და რა გზას ადგას. თურანის გზაზე შედგომა და ოსმალეთის იდესდაც უზარმაზარი იმპერიის აღორძინებაა მისი დღევანდელი ლიდერების ოცნება. მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს მყარი წარმოდგენა გააჩნია საკუთარი განვითარების მაგისტრალურ ხაზზე. მათი ეს წარმოდგენა, ეს მიმართულება, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია მცდარი ან დასაგმობიც კი იყოს, მაგრამ ეს სხვა საკითხია, ფაქტი ისაა, რომ ისინი არჩეულ გზას მიჰყვებიან. ერთადერთი, ვინც გასაოცარ დაბნეულობას იჩენს და „ცივი ომის" რუდიმენტებისგან დღემდე ვერ განთავისუფლებულა, რუსეთია. რუსეთს არ აქვს იდეოლოგია. რუსები აცხადებენ, რომ მათი იდეოლოგია პატრიოტიზმია, მაგრამ ეს ისეთი აბსურდია, რომელიც ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინისა და სხვა მრავალი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე გენიოსის სამშობლოს არ ეკადრება. რუსეთში ვერ მიმხვდარან, რომ სოციალისტური საზოგადოებიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადავარდნა ისტორიული რეგრესია და არა პროგრესი, როგორც მათ დღემდე წარმოუდგენიათ. რუსეთის ხელისუფლება, როგორც ჩანს, დღემდე ვერ აცნობიერებს, რომ დასავლური კაპიტალიზმი და ფსევდოდემოკრატია, არათუ რუსეთში, იქაც ვეღარ მუშაობს, სადაც აღმოცენდა. შეუძლებელია, რომ აბსოლუტურად უსამართლო, დრომოჭმული და ანაქრონიზმად ქცეული დასავლური კაპიტალიზმი რუსეთის პროგრესისა და განვითარების გზად და საშუალებად მოევლინოს, მაშინ, როდესაც მან დასავლეთშიც ამოწურა თავი და განვითარებისთვის ხელის შემშლელ ბორკილად იქცა. დასავლურმა ხიბლმა რუსეთის საბჭოთა კავშირი და სოციალისტური სისტემა, ეს უნიკალური ისტორიული მონაპოვარი, საკუთარი ხელით დაანგრევინა და საუკუნით უკან მოისროლა, მაგრამ იგი კვლავაც ჯიუტად ადგას იმ გზას, რომელიც ამერიკულმა სპეცსამსახურებმა განუსაზღვრეს და თავს მოახვიეს; ჯიუტად ადგას გზას, რომელმაც იქამდე მიიყვანა, რომ ყველა მხრიდან ალყაში მოექცა და, პრაქტიკულად, მოკავშირის გარეშე დარჩა. მეტიც, აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც, პრაქტიკულად, ყველა მისი მოწინააღმდეგეა. ამ ვითარებაში აღმოჩენილ რუსეთს ახლა მთიან ყარაბაღში ერთბაშად უჩვეულო ყულფს უმზადებენ, რომლითაც მისი მოგუდვა გადაუწყვეტიათ. დასავლეთში იციან, რომ ეს ადვილი საქმე არ არის. ისინი თუ იმას ფიქრობენ, რომ პრეზიდენტ პუტინსაც ისევე ჩააყენებენ თავიანთ სამსახურში, როგორც გორბაჩოვი და ელცინი ჩააყენეს, შეუძლებელია, იმასაც არ ფიქრობდნენ, რომ რუსი ხალხი დროის ამ მცირე მონაკვეთში იმ უმძიმეს შეცდომას აღარ გაიმეორებს და პუტინს თავიდან მოიცილებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ისინი დიდ რისკზე მიდიან. ამ რისკის სახელი, შესაძლებელია, მესამე მსოფლიო ომი იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი ამაზეც თანახმა არიან. ასეთ შემთხვევაში მათ ისევე მოუწევთ ჰიტლერის შექმნა, როგორც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში შექმნეს. ჰიტლერის კანდიდატურა, თუ არ ვცდები, უკვე ნაპოვნია. ესაა ნაციონალისტური ამბიციებით შეპყრობილი ერდოღანი, რომელიც თურქულენოვანი სახელმწიფოების ბაზაზე პანთურქული იმპერიის აღორძინების სურვილს აღარც მალავს. 2019 წლის ოქტომბერში ბაქოში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, თურქეთისა და უნგრეთის ლიდერები ესწრებოდნენ, ერდოღანმა მჭახე განცხადება გააკეთა.



**რეჯეფ თაიფ ერდოღანი, თურქეთის პრეზიდენტი:**
— ჩემი ოცნებაა „ერთი ერი — ექვსი სახელმწიფო".

**ვალერი კვარაცხელია:**
— ეს რასაც ნიშნავს, გასაგებია. ამ შემთხვევაში, თურქი ერი ბატონი ერდოღანისთვის დაახლოებით (იქნებ, ზუსტადაც) იმას ნიშნავს, რასაც **ჰიტლერისთვის** გერმანელი ერი და არიული რასა ნიშნავდა. დიდი თურანი კი დაახლოებით (იქნებ, ზუსტადაც) იგივეა, რაც მესამე რაიხი იყო. შეიძლება ერთმნიშვნელოვნად დარწმუნებული ვიყოთ, რომ **დასავლეთი, ბოლოს, ერდოღანსაც ისე გაწირავს, როგორც, თავის დროზე, ჰიტლერი გაწირა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერდოღანსაც ისევე არ გამოიყენებენ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც ამერიკელებმა და ინგლისელებმა ჰიტლერი და ნაცისტური გერმანია გამოიყენეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. არც ისაა აუცილებელი, რომ ახალი ჰიტლერის როლში მაინცდამაინც ერდოღანი წარმოვიდგინოთ. ამ როლისთვის დასავლეთს სხვა კანდიდატებიც ჰყავს. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილი — ნაცისტური კომპლექსებით დამძიმებული, დასავლეთის ყველაზე უკეთური აზრებით გაჟღენთილი და მსოფლიოს ყველაზე ბნელი ძალების მიმართ ძაღლივით ერთგული ავანტიურისტი პოლიტიკანი, რომელიც თანამდებობის მიღების სურვილით ისე ავადმყოფურადაა შეპყრობილი, რომ ყველაფერზეა წამსვლელი;** ან, თუნდაც, უკრაინის დღევანდელი პრეზიდენტი, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ერდოღანს ეწვია და მასთან გულისამაჩუყებელი სენტიმენტალიზმით გაჟღენთილი დიალოგი გამართა.

**ვლადიმერ ზელენსკი,** უკრაინის პრეზიდენტი: — ჩვენი საერთო ამოცანაა ყირიმის სწრაფი დაბრუნება უკრაინის სახელმწიფოს კონტროლქვეშ. ჩვენ იმედი გვაქვს თურქეთის სერიოზული როლისა ამ საქმეში. ჩვენს რეგიონში განა რამეს გადაწყვეტს შეიძლება თურქეთის გარეშე? რა თქმა უნდა, არა!

**რეჯეფ თაიფ ერდოღანი:** — უკრაინას ჩვენ განვიხილავთ, როგორც საკვანძო ქვეყანას რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით და მომავალშიც დავუჭერთ მხარს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. თურქეთი არ აღიარებდა და არც მომავალში აღიარებს ყირიმის ანექსიას.

**ვალერი კვარაცხელია:** — ასე შეიკრა წრე, მთიანი ყარაბაღის სახით რუსეთისთვის კავკასიაში გამზადებულ ყულფს, სომხეთ-აზერბაიჯანთან ერთად, რა თქმა უნდა, უკრაინის ფაშისტური ხელისუფლებაც მოქაჩავს. თურქეთი კი დასავლეთის წაქეზებით ჯერჯერობით იგლის დიდი თურანის აღორძინების გზით, რაც ერდოღანს ყველაზე მეტ შანსს უჩენს ფიურერის, ისტორიულად ასე „საპატიო", ვაკანტური პოსტის დაკავებაში.

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა", მომავალ შეხვედრამდე...

**P. S.** ეს — რაც შეეხება დიდ პოლიტიკურ თამაშებს. რა როლის შესრულებას შეეცდება ამ თამაშში საქართველოს ხელისუფლება, ძნელი სათქმელია. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ იგი ვერ გათავისუფლდება დასავლეთის წნეხისგან და უკრაინის ხელისუფლების მსგავსად რუსეთის ჩამოსახრჩობი ყულფის მოქაჩვას შეეცდება, თუმცა... დავიცადოთ, წინ ხომ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია. ვნახოთ, როგორ მოიქცევიან დასავლეთის ბნელი ძალები, ბელარუსივით და ყირგიზეთივით აქაც „ფერადი რევოლუციის" (სახელმწიფო გადატრიალების) მოწყობას მოინდომებენ თუ მშვიდად შეხვდებიან „ქართული ოცნების" დამაჯერებელ გამარჯვებას, რაც, უბრალოდ, გარდაუვალია.

**ვალერი კვარაცხელია**

არჩევნები
დაიჯესტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გია ქავთარაძე: ეს იდეა დამებადა 2006 წელს, როცა მე, როგორც იუსტიციის მინისტრი, ბევრს დავდიოდი საქართველოში, ვამოწმებდი ჩვენი სტრუქტურული ერთეულების მუშაობას და ვხედავდი, რა ცუდად ეპყრობოდა სახელმწიფო მანქანა მოქალაქეს ელემენტარული, მაგრამ აუცილებელი მომსახურებისას: იყო ეს პირადობის მოწმობის, პასპორტის, ცნობის და ასე შემდეგ გაცემა თუ მომსახურების სხვა ფორმებით ოპერატიული და ხარისხიანი უზრუნველყოფა. თანდათან ჩამომიყალიბდა, დაზუსტდა და დაიხვეწა იდეა, რომელსაც მე თვითონ მოვუგონე სახელი — „იუსტიციის სახლი“.**

# გიორგი ვაშაძემ წინასაარჩევნოდ სხვისი იდეა მიითვისა



**წინასაარჩევნო უფასო ტელერეკლამას პოლიტპარტიები ისე დაესივნენ, როგორც თაფლის წვეთს ბაღდადიდან მოფრენილი ბუზები. მუქთამჭამელები.**
**ტრიალებს, ბრუნავს ტელეეკრანზე პროპაგანდისტული კლიპები, ლოზუნგები თუ სლოგანები, ხორშაკის ეს დაშტამპული ერთფეროვნება, არჩევნების წინ გაცემული დაპირებები — ყოველთვის შეუსრულებელი. საძულველ პიტნასავით ცხვირში რომ გვტენიან. ბრანწივით!**



## ასე და ამაოდ

* „ერთად დავასრულოთ საბანკო განუკითხაობა!“

* „სახალხო ტრიბუნიდან სახალხო ტრიბუნალამდე!“

* „აირჩიე ძალა და გამოცდილება!“

* „ერთად საქართველოს წარმატებისთვის!“

* „შემოვიღებთ სპეციალურ კანონს იმპორტის წინააღმდეგ!“

* „შეცვალე საქართველო!“

* „ხმა მიეცი შენს მომავალს!“

* „საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გაიყიდოს!“

* „დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი!“

და ასე შემდეგ და ამგვარად ცდილობენ, მიიზიდონ ამომრჩევლები, მაგრამ ხომ ვიცით (და მათაც იციან უთუოდ), რომ ამაოა და ფუყე ასეთი თავგამოდება, რადგან, როგორც რეკლამის გავლენით — „მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის“ — სიგარეტისთვის თავი არავის დაუნებებია, ასეთივე ეფექტი ექნება მათ მოწოდებებს.

ფუყეა!

ზოგჯერ — ტყუილიც!

მაგალითად ავიღოთ **გიორგი ვაშაძის** სარეკლამო რგოლი — „პრემიერმინისტრად — გიორგი ვაშაძე!“, რომლის დედააზრი ასეთია:

მან ააშენა და დაამშვენა თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე „იუსტიციის სახლით“, რომელიც მოეწონა **ჰილარი კლინტონს** (აშშ-ის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს. კიდევ უცხოეთის რომელიღაც სტრუქტურას ასახელებენ). ეს დიდი საქმე მან (ვაშაძემ) ჰქმნა მაშინ, როცა 23 წლის ახალგაზრდა იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენ სიკეთეს მოუტანს ქვეყანასა და ხალხს, როცა პრემიერმინისტრის თანამდებობას დაიკავებსო.

**გაგვიჭირდება წარმოდგენა, რადგან ეს პროპაგანდისტული შედევრი ისეთი ტყუილია, რომელიც, ქართული ანდაზისა არ იყოს, შვილიშვილებამდე გაჰყვება ვაშაძეს!**

მისი პრობლემაა.

მაშ, ჩვენ რა გვრჯის?

ის გვრჯის და გვაწუხებს, რომ ამ „ცისფერი ნარწყევის“ (**სერგეი ესენინი**, „Черный человек“) წვეთმა არ მოწამლოს ჩვენი განათლებული და მალემრწმენი მკითხველი საზოგადოება.

არ გაბითურდეს.

**ჯერ ის გავარკვიოთ, ვინ იყო „იუსტიციის სახლის“ ავტორი.**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი (2006 წლიდან 2007 წლის აგვისტოს ჩათვლით) გია ქავთარაძე იხსენებს:

— ეს იდეა დამებადა 2006 წელს, როცა მე, როგორც იუსტიციის მინისტრი, ბევრს დავდიოდი საქართველოში, ვამოწმებდი ჩვენი სტრუქტურული ერთეულების მუშაობას და ვხედავდი, რა ცუდად ეპყრობოდა სახელმწიფო მანქანა მოქალაქეს ელემენტარული, მაგრამ აუცილებელი მომსახურებისას: იყო ეს პირადობის მოწმობის, პასპორტის, ცნობის და ა.შ. გაცემა თუ მომსახურების სხვა ფორმებით ოპერატიული და ხარისხიანი უზრუნველყოფა.

ბუნებრივად დადგა საკითხი, რა უნდა გაგვეკეთებინა მდგომარეობის გამოსასწორებლად. **თანდათან ჩამომიყალიბდა, დაზუსტდა და დაიხვეწა იდეა, რომელსაც მე თვითონ მოვუგონე სახელი — „იუსტიციის სახლი“.**

**— ე.ი. ნათლია თქვენ ხართ.**

— როგორც ავტორს, მქონდა უფლება... 2006 წელს **პირველი „იუსტიციის სახლი“** გავხსენით მცხეთაში. ეს იყო მცირე, საცდელი მოდელი, რომლის მუშაობას ვაკვირდებოდით — რა იყო გასაუმჯობესებელი, რა ცვლილებების შეტანა შეიძლებოდა, უკეთ რომ ამოქმედებულიყო.

**მეორე „იუსტიციის სახლი“** გაიხსნა 2006 წლის შემოდგომაზე კოდორის ხეობაში. ამას, რასაკვირველია, უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო ხის ასაწყობი კოტეჯი მომსახურების ყველა ფორმით, რომლებიც ხეობის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ.

**რიგით მესამე** იყო ქუთაისის „იუსტიციის სახლი“, რომელიც უფრო დიდ და მოსახერხებელ შენობაში გაიხსნა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ გახსნას არ დავესწრებივარ და არც მუშაობას დავკვირვებივარ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გადავდექი საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან.

ასეთია მოკლედ საქართველოში „იუსტიციის სახლის“, როგორც მოსახლეობის მომსახურების ახალი და ეფექტიანი ფორმის, დანერგვა-ამოქმედების ისტორია.

**„იუსტიციის სახლის“ კონცეფცია თავიდან ბოლომდე ჩემი მოფიქრებულია, ჩემი დაწერილია, მთავრობის სხდომაზე მე გავიტანე, დავამტკიცებინე და ძალიან მიხარია, რომ იგი, ეს იდეა, ასე ორგანულად ჩაეწერა ქვეყნის მართვის ქსოვილში, ასე პოპულარულია ჩვენს მოქალაქეებს შორის, გაშალა ფრთები და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმედ დამკვიდრდა.**

**— ვაშაძემ ავტორობა მიითვისა?**

— არ იქნება სწორი ჩემი მხრიდან კომენტარი.

ასე მიპასუხა გია ქავთარაძემ, რომელიც იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან დემონსტრაციულად გადადგა, რადგან არ ისურვა **სააკაშვილის** უკანონო დავალების შესრულება. ასეთი ხმა დაირხა მაშინ ხალხში.

**— ასეა, ბატონო გია?**

— მას შემდეგ 13 წელიწადი გავიდა და არა მგონია, ხალხს აინტერესებდეს ჩემი ბიოგრაფიის ეს დეტალი.

**ისარგებლა „დუმილის უფლებით“ ამ ახალგაზრდა კაცმა. ღირსება არ შეილახა.**

ასეც ველოდი.

რადგან: საკუთარი წარსულით მოკეკლუცე „ულიარებელი გმირებისგან“ განსხვავებით აზრადაც არ გაივლებდა ასეთ არაკაცურ საქციელს.

რადგან: ნუგზარ ქავთარაძის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს!), ოჯახის შვილია, ვისზეც მეგობრები ამბობდნენ, ჯერ იგი მოევლინა ამ ქვეყანას, შემდეგ — პრინციპულობაო.

**ვაშაძემ კი...**

**უპატრონო ეკლესიისგან განსხვავებით, ეშმაკები «იუსტიციის სახლით» მაინცდამაინც დაინტერესებულნი არ არიან და პრემიერმინისტრობის ფობიით დაავადებულ კანდიდატს დაუთმეს. ვაშაძემ კი ქვეყნის მმართველის თანამდებობის დასაკავებლად აფრენა სწორედ ამ პლატფორმიდან გადაწყვიტა**




„ლელომ“ თავზე დაგვახურა

**უპატრონო ეკლესიისგან განსხვავებით, ეშმაკები „იუსტიციის სახლით“ მაინცდამაინც დაინტერესებულნი არ არიან და პრემიერმინისტრობის ფობიით დაავადებულ კანდიდატს დაუთმეს. ვაშაძემ კი ქვეყნის მმართველის თანამდებობის დასაკავებლად აფრენა სწორედ ამ პლატფორმიდან გადაწყვიტა.**

„პრორაბად“ მაინც ემუშავა ცოტა ხანს. მაშინ დაუმადლებლად გამოიყენებდა კიდეც ერთ-ერთი პარტიის წინასაარჩევნო, ოდნავ შეცვლილ, სლოგანს: „პრორაბობიდან პრემიერობამდე!“, გაუჭირდებოდა თუ ნამუსი არ დართავდა ნებას?!

საქართველოში ყველაფერი ხდება, განსაკუთრებით — წინასაარჩევნოდ.

## ხილვაი საკვირველი

და, როცა პეკინის ქუჩაზე კორონავირუსის პანდემიის გამო მგზავრებშეთხელებული მწვანე ავტობუსით შემოვსრიალდი, ერთი ახალშექმნილი პარტიის დეპუტატობის ორი კანდიდატის გიგანტური პორტრეტები ვიხილე, რომლებიც თბილისს თავზე დაამხო მევახშეთა კლანმა და გამახსენდა, რომ ვარ საქართველოში.

სხვაგან ვინ და სად მოიფიქრებდა (და იკადრებდა) საკუთარ თავზე ამგვარი ჰიპერტროფიული წარმოდგენის ასე საჯაროდ გამოტანას: თქვე პიგმეებო და ლილიპუტებოო, თქვენა!

მაშინ გავიფიქრე: რომელი ყაზბეგისა და იალბუზის მწვერვალები არიან ისინი, რომ არ მოვთხაროთ, და როგორც ჩვენი თანამემამულე, დიდი რუსი პოეტი, ბაღდადელი ვლადიმერ მაიაკოვსკი მოგვიწოდებდა 99 წლის წინათ:

Если даже Казбек помешает
– срыть!
Все равно не видать в тумане!

ახლა კი — მოაბიჯებს ტელეეკრანებზე „პროგრამა ალმაშენებლის“ სარქალი გიორგი ვაშაძე, რომელსაც თანდათან უერთდებიან ნარჩევ თანაპარტიელთა ავანგარდული რაზმის წევრები. („აუ, რამდენი ვყოფილვართ!“).

— პარად, ალე!

სხვის მიერ გაყვანილ შარაგზაზე მონავარდობენ ტელესესიისთვის შეძენილი პლასტმასის წითელი ჩაფხუტებით.

„წითელფეხება მტრედები“.

იარონ, ჩვენი რა წასულა!

* * *

**„ღირსეული ადამიანების შექება და უღირსთა გაკიცხვა თანაბრად არის საპატიო“, — იტყოდნენ ძველი ბერძნები.**

**ა.ს.**

**ერთადერთი და ისიც სათუო ვარიანტი არის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველების ნელ-ნელა, ეტაპობრივი დაბრუნება, რაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე უტოპიაა. ამ საკითხზე მოლაპარაკებების დაწყებაა საჭირო და არა ულტიმატუმის წაყენება ბირთვული იარაღის მქონე ამ უზარმაზარი სახელმწიფოსთვის.**



ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!», «კოკოითი, ფანდარასტ!» და... მსოფლიო დიდი ომის მოლოდინში

**საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და პოლიტიკურ პარტიებს, როგორც წესი, სწორედ ამ პერიოდში ახსენდებათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია და მომავალ საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მეტ-ნაკლები პრეტენზიის მქონე პოლიტიკური ლიდერები კი მისი აღდგენის უტოპიურ გზებს გვთავაზობენ.**

თქმა იმისა, რომ უტოპიურ გზებს გვთავაზობენ, სულაც არ ნიშნავს, რომ არსებობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების ალტერნატიული რეალური გზა, რომელსაც ვერ ხედავენ ჩვენი უტვინო პოლიტიკოსები და მხოლოდ ეს არის პრობლემა. არა, ბატონებო და ქალბატონებო! სამწუხაროდ, ამ მიმართულების გზა არ, უფრო ზუსტად, აღარ არსებობს, რადგან წლების განმავლობაში (ე.წ. ვარდების რევოლუციიდან „ბიძინას რევოლუციამდე“) ნაცების ხელისუფლებას სოხუმ-ცხინვალის მიმართულებით პოპულისტური სიმღერის — „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ და გაუგებარი მოძრაობის — „კოკოითი, ფანდარასტ!“ შექმნის მეტი, არაფერი გაუკეთებია.

რაც შეეხება პოსტსააკაშვილის პერიოდის ქოცებისა და ნაცების ერთობლივ ხელისუფლებას (ერთობლივს, რადგან ერთი ლიბერასტული იდეოლოგიის ორი განშტოებაა და მხოლოდ ქართველი საზოგადოების დასაბნევად დაირქვეს ხელისუფლება და ოპოზიცია), ორივეს ერთად და ცალ-ცალკე ე.წ. საოკუპაციო ხაზთან მიჰყავთ „დასავლელი მეგობრები“ და დურბინდით ათვალიერებინებენ რუსეთის სამხედრო ბაზას; ორივენი — ქოცებიცა და ნაცებიც — უნისონში „მღერიან“, რომ რუსეთს მანამდე არ დაელაპარაკებიან, სანამ სოხუმ-ცხინვალიდან სამხედრო ბაზებს არ გაიყვანს და უკან არ წაიღებს აფხაზეთ-ცხინვალის დამოუკიდებლობის ცნობას.

თქვენს მონა-მორჩილს ახლო წარსულში არაერთხელ აღმინიშნავს, რომ, **თუ მოხდება სასწაული და სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნებაზე დაიწყება მოლაპარაკებები, აფხაზები და ოსები არასოდეს დათანხმდებიან საქართველოს შემადგენლობაში ძველი სტატუსით შესვლას და, თუ კონფედერაციაზე დავითანხმებთ, ფეხები უნდა დავბანოთ.**

ეს, ისე — მცირე ლირიკულ-უტოპიური გადახვევა, თორემ დავბანოთ კი არა, ყირაზე რომ დავდგეთ, სოხუმი და ცხინვალი აღარასოდეს დაბრუნდება თბილისის იურისდიქციაში, რადგან, რომ იტყვიან, **„უკან დასაბრუნებელი წითელი ხაზი“ საქართველომ უტვინო ქმედებითა თუ უმოქმედობით, კარგა ხანია, გადაკვეთა.**

განვლილი წლების მანძილზე სოხუმისა და ცხინვალის რეგიონში რამდენიმე ახალი თაობა გაიზარდა. ამ თაობებისთვის ქართველი დამპყრობელს ნიშნავს (ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე ვითარება აფხაზეთშია), რომელთან „სამამულო ომში“ გამარჯვებასა და დამოუკიდებლობის მოპოვების დღესასწაულს ყოველწლიურად ზეიმობენ. პირადად ჩემი ოცნება ფრიად მიწიერია — იქნებ სიბერის პირას მაინც მიწიერი სამოთხის, აფხაზეთის, ნახვა კიდევ ერთხელ მაღირსოს უფალმა... თუმცა, ყოველივე ზემოთქმულის რეზიუმედ ვაცხადებ, რომ სოხუმი და ცხინვალი სამუდამოდ დაკარგულია. ყოველ შემთხვევაში (ურაპატრიოტებმა რომ არ „შემჭამონ“), თუ სასწაული არ მოხდა, უახლოეს ათწლეულებში ასე იქნება. ეს მწარე რეალობა გულზე მჯიღის ცემის გარეშე უნდა გავაცნობიეროთ და წინასაარჩევნოდ რომელი პოლიტიკოსიც საპირისპიროს მტკიცებას დაიწყებს ან უტვინო ურაპატრიოტია, ან შეგნებული მტერი. **მსოფლიოში და აგერ, როგორც იტყვიან, ყურის ძირში (ყარაბაღში) მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება კი არა, რაც ჯერ კიდევ ჩვენია, ისიც არ დავკარგოთ!** — ასე დგას საკითხი...

ერთადერთი და ისიც სათუო ვარიანტი არის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართველების ნელ-ნელა, ეტაპობრივი დაბრუნება, რაც რუსეთის კეთილი ნების გარეშე უტოპიაა. ამ საკითხზე მოლაპარაკებების დაწყებაა საჭირო და არა ბირთვული იარაღის მქონე ამ უზარმაზარი სახელმწიფოსთვის ულტიმატუმის წაყენება.

თუმცა, **რუსეთის კეთილ ნებასთან ერთად, საქართველოს მხრიდან შემხვედრი ნაბიჯებიც უნდა გადაიდგას — სასწრაფოდ უნდა აღდგეს რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლა, რაც აფხაზებსა და ქართველებს შორის ბიზნესურთიერთობების დაწყებას, ე.წ. სახალხო დიპლომატიის ამუშავებას და, აქედან გამომდინარე, ხალხების შერიგებისკენ გადადგმულ პირველ ეფექტიან ნაბიჯს ნიშნავს.**

ამის გამოცდილება გვაქვს ცხინვალის მიმართულებით, როდესაც ერგნეთის ბაზრობამ ყოფით დონეზე შეარიგა ოსები და ქართველები, რომლებმაც, საერთო ბიზნესის კეთებასთან ერთად, ერთმანეთის ჭირსა და ლხინში დაიწყეს სიარული და რაჭის მიმართულებით ცხინვალის გავლით აღდგა უსაფრთხო საავტომობილო მიმოსვლა.





**მსოფლიოში და აგერ, როგორც იტყვიან, ყურის ძირში (ყარაბაღში) მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება კი არა, რაც ჯერ კიდევ ჩვენია, ისიც არ დავკარგოთ!**

პირველი, რაც ნაცებმა გააკეთეს ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, იყო ის, რომ ერგნეთის ბაზრობის ტერიტორია ბულდოზერებით გადათხარეს და **ირაკლი ოქრუაშვილი** ახლა პარლამენტში შესასვლელად კი არ უნდა ემზადებოდეს, არამედ, როგორც ამ ბოროტების ავტორი და შემსრულებელი, ციხეში უნდა იჯდეს.

ზემოთ მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები ვახსენე, რომლებიც ისე სწრაფად და ხშირად მოულოდნელი მიმართულებით ვითარდება, რომ, სანამ გაზეთის ეს ნომერი მკითხველამდე მიაღწევს, ბევრი რამ, რაც უკვე ითქვა, შეიძლება არააქტუალურ ინფორმაციად იქცეს, რადგან თანამედროვე მსოფლიო დიდი ომის რეალური საფრთხის წინაშეა. ომის, რომლის ერთ მხარეს მართლმადიდებელი რუსეთი, ხოლო მეორე მხარეს ლიბერასტული დასავლეთი იქნება. რუსეთს ერთი რამ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი — **თურქეთს ამიერკავკასიაში ფეხი არ მოაკიდებინოს.**

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არაბირთვული სახელმწიფოა, მაგრამ ნატოს წევრი, დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყანაა. რუსი და ბევრი დასავლელი პოლიტოლოგ-ექსპერტი დაუფარავად საუბრობს რუსეთ-თურქეთის სრულმასშტაბიანი ომის დაწყების დიდ ალბათობაზე.

მახსედება ათონის მთაზე მოღვაწე წმ. **ბერ პაისის** ერთ-ერთი წინასწარმეტყველება, **რომლის მიხედვით, თურქეთში დიდი ომი გაჩაღდება თურქებსა და არაბერძენ მართლმადიდებელ ქვეყანას შორის, და ამ ომში იმდენი სისხლი დაიღვრება სტამბოლის ქუჩებში, რომ 2 წლის ხარებიც კი დაიხრჩობიან. ამ ომში თურქების 1/3 დაიხოცება, მეორე მესამედი ქრისტიანობას მიიღებს, მესამე კი სადღაც მესოპოტამიაში (თუ სადღაც ჯანდაბაში, ზუსტად არ მახსოვს — დ.მ.) გადაიხვეწება; სტამბოლს კვლავ კონსტანტინეპოლი დაერქმევა და მეჩეთადქცეულ აია სოფიას ბერძნებს, ე.ი., სრულიად მართლმადიდებელ სამყაროს დაუბრუნებენ.**

აია სოფიაში კი საპატრიარქო ტახტზე ნამდვილი მსოფლიო პატრიარქი დაჯდება და არა თვითმარქვია მსოფლიო პატრიარქი, თურქეთის მოქალაქე, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და თურქეთის სპეცსამსახურების აგენტი **ბართოლომეოსი**, რომელსაც თავის რეზიდენციაში დასვენებული წმინდა ხატების გვერდით ათათურქის პორტრეტი უდევს. თურქეთი კი ერთხელ და სამუდამოდ გაქრება პოლიტიკური რუკიდან. ბერი პაისის წინასწარმეტყველებაში ნახსენებ თურქეთში მეომარ ბერძნული ენის არმცოდნე მართლმადიდებლებში რუსეთი რომ იგულისხმება, არა მგონია, სადავო იყოს და, ზემოთ ნახსენები წინასწარმეტყველებიდან გამომდინარე, ერთი შეკითხვა გამიჩნდა — **ხომ არ არის თურქეთ-რუსეთის მოსალოდნელი ომი ბერი პაისის წინასწარმეტყველების ახდენის დასაწყისი?** ვნახოთ...

მანამდე კი რუსეთის მიმართ დასავლეთის მედიდური ტონით საუბრის დაწყებასა და რუსეთის პასუხებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. **„მოსკოვმა, შესაძლოა, ბრიუსელთან ურთიერთობა შეწყვიტოს, თუკი დასავლეთის ქვეყნებს არ სურთ ურთიერთპატივსაცემი დიალოგის გაგრძელება“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა.**

„იმ ადამიანებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საგარეო პოლიტიკაზე დასავლეთში და ვერ ერკვევიან ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული საუბრის აუცილებლობაში, ჩვენ, უბრალოდ, გარკვეული დროით უნდა შევწყვიტოთ ურთიერთობა. მით უფრო, რომ **ურსულა ფონ დერ ლაიენმა** განაცხადა, რომ რუსეთის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან გეოპოლიტიკური პარტნიორობა არ გამოდის. მაშინ იყოს ასე, თუკი მათ ასე სურთ“, — განაცხადა სერგეი ლავროვმა. ძნელი წარმოსადგენია დიპლომატის უფრო მწვავე პასუხი. და აქვე გერმანიის საგარეო მინისტრ **ჰეიკო მაასის** მენტორული განცხადება: „რუსეთმა უნდა მიიღოს ევროპული ღირებულებები, თუ უნდათ, რომ მოსკოვსა და ბერლინს შორის ურთიერთობები იმ დონემდე აღდგეს, როგორიც იყო 1990-იან-2000 წლებში“. დიპლომატმა ხაზი გაუსვა, რომ „გერმანია, როგორც ადრე, ახლაც ამ ღირებულებების მიმდევარია: დემოკრატია, ადამიანის უფლებები და მსოფლიო წესრიგი. გერმანიაში მოქმედებს წესები და არა „ძლიერის უფლებები“... არადა, **ევროპამ მეორე დღესვე დაანახვა მსოფლიოს დასავლური ღირებულებების ნამდვილი ღირებულება, როდესაც სკოლის მასწავლებელმა მუჰამედის პორნოგრაფიული კარიკატურის მაგალითზე აუხსნა ბავშვებს, რას ნიშნავს ადამიანის უფლებები და გამოხატვის თავისუფლება. რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის გამო საფრანგეთში მცხოვრებმა ჩეჩენმა ყმაწვილმა შუაგულ პარიზში თავი მოაჭრა ადამიანის უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების ბაირახტარ პედაგოგს.**

**დავით მხეიძე**

**თქმა იმისა, რომ უტოპიურ გზებს გვთავაზობენ, სულაც არ ნიშნავს, რომ არსებობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების ალტერნატიული რეალური გზა, რომელსაც ვერ ხედავენ ჩვენი უტვინო პოლიტიკოსები და მხოლოდ ეს არის პრობლემა. არა, ბატონებო და ქალბატონებო! სამწუხაროდ, ამ მიმართულების გზა არ, უფრო ზუსტად, აღარ არსებობს, რადგან წლების განმავლობაში (ე.წ. ვარდების რევოლუციიდან «ბიძინას რევოლუციამდე») ნაცების ხელისუფლებას სოხუმ-ცხინვალის მიმართულებით პოპულისტური სიმღერის — «გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!» და გაუგებარი მოძრაობის — «კოკოითი, ფანდარასტ!» შექმნის მეტი, არაფერი გაუკეთებია**

**P.S.** რა გინდათ, რას უჩხიკინებთ მაჰმადიანებს? ხომ ხედავთ, რომ „ველურები არიან“? აბა, ჩვენ კი არ გვგვანან, „პრადვინუტ“ ქართველებს, რომლებსაც ჩვენი პატრიარქი ათასჯერ შეურაცხგვიყვეს (უფალო, შემინდე ამ სიტყვისთვის!) და გაგვითახსირეს. ამისთვის თავის მოჭრას არ ვითხოვთ, რადგანაც თავი, დიდი ხანია, მოჭრილი გვაქვს კავკასიაში ქართველებს — მეუფე პეტრეს ერთი პანღურიც კი არავინ ამოჰკრა...

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„განცხადებები იმის თაობაზე, რომ აქედან სომხეთში იარაღის კონტრაბანდა ხორციელდება, უკვე გარკვეული სიგნალია. ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზეც შეიძლება დაიწყოს. ეს ისე, თეორიულად, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი ცეცხლის შეწყვეტა ვერ მოხერხდება და საბრძოლო მოქმედებები უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რეალურ მოცემულობად იქცევა“.**



# გივი იუკურიძე: მედიასაშუალება, რომელიც ავრცელებს დეზინფორმაციას, რომ საქართველოდან სომხეთში შეიარაღება შედის, საქართველოს მტერია

**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა თურქული ტელეკომპანია A-Haber-ისთვის 16 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში ყარაბაღში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა და დასძინა, რომ სომხეთი, რომელსაც დღეს, ფაქტობრივად, ფინანსური რესურსი არ აქვს იარაღის შესაძენად, დახმარებას გარედან იღებს. მისი თქმით, ირანი და საქართველო ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ იმ კუთხით, რომ სამხედრო ტვირთებისთვის, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო გზები ჩაკეტეს, თუმცა, მისივე განცხადებით, საქართველოს გავლით სომხეთში კონტრაბანდული გზით გარკვეული შეიარაღება მაინც იგზავნება. „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დღეს საქართველოს ტერიტორიიდან იარაღს გზავნიან კონტრაბანდისტული გზით, როგორც სამოქალაქო, ასევე სატვირთო თვითმფრინავებით,“ — განაცხადა ალიევმა, თუმცა მას არ განუმარტავს, რა ტიპის შეიარაღებაზეა საუბარი, ვინ აწვდის მას სომხეთს და რა ნაბიჯებს გადადგამს ამ ყველაფრის აღსაკვეთად ოფიციალური ბაქო.**

**ცნობისთვის:** ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს გავლით (კონტრაბანდისტული გზით) სომხეთში სამხედრო ტექნიკა იგზავნება, მედიაში სულ უფრო ხშირად ვრცელდება. განსაკუთრებით აქტიური ამ თვალსაზრისით ანტისახელისუფლო ე.წ. ლიბერალური მედიაა, რომელიც მმართველ გუნდს რუსეთთან გარკვეულ ფარულ შეთანხმებაში ადანაშაულებს. პარალელურად ხელისუფლება განცხადებას განცხადებაზე ავრცელებს, რომ ნებისმიერმა მსგავსმა დეზინფორმაციამ შეიძლება საქართველოს ინტერესები დააზიანოს. მეტიც, რამდენიმე დღის წინათ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერთგვარი თხოვნის წერილითაც კი მიმართა კონკრეტულ „მედიასაშუალებებს“, რომ თავი შეიკავონ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც ერთნაირად დამაზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც საქართველოსთვის, ისე ქართულ-სომხური და ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობებისთვის.

**იღებს თუ არა სომხეთი საქართველოს გავლით რამე სამხედრო დახმარებას, ვინ არის დაინტერესებული დეზინფორმაციის გავრცელებით და რა გავლენა შეიძლება იქონიოს სინამდვილეში ქვეყნის მომავალზე ამ ყველაფერმა? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.**

**— ბატონო გივი, ზოგიერთი მედიასაშუალება ბოლო პერიოდში აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას, რომ სომხეთში საქართველოს გავლით სამხედრო ტვირთები შედის. საუბარია კონტრაბანდისტული გზით შეტანილ შეიარაღებაზე. ამ საკითხზე ილჰამ ალიევმაც ისაუბრა ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში და განაცხადა, რომ იარაღის კონტრაბანდა ხორციელდება, როგორც სამოქალაქო, ისე სატვირთო თვითმფრინავებით. შესაძლებელია, საქართველოდან სომხეთში რამე იარაღი შედიოდეს და, თუ ეს სიმართლეა, რა გავლენა შეიძლება იქონიოს მან ჩვენს უსაფრთხოებაზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ თვით საკითხი ძალიან რთული და საფრთხილოა იმ თვალსაზრისით, რომ საქმე ეხება ორ მეზობელ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, ყველას ესმის, რომ ეს კონფლიქტი ერთ და ორ დღეში ვერ დასრულდება. სხვათა შორის, ალიევმა ამას წინათ განაცხადა, რომ ამ ომის დასრულების შემდეგ მთლიანად რეგიონში შეიცვლება დღის წესრიგი. ეს ძალიან მრავლისმთქმელი განცხადებაა...

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ თურმე საქართველოდან რაღაც კონტრაბანდისტული გზით სომხეთი სამხედრო დახმარებას იღებს, ჯერ ერთი, ძალიან უგუნური უნდა იყოს ხელისუფლება, რომელიც ასეთ ვითარებაში ამას დაუშვებს და ნებისმიერი მსგავსი მცდელობის შემთხვევაში უმკაცრეს ზომებს არ მიიღებს, იმიტომ, რომ დღევანდელ ვითარებაში აქედან ან ერთი, ან მეორე ქვეყნის მიმართულებით რამე სახის სამხედრო ტვირთის გასვლას ჩვენთვის ექნება კატასტროფული შედეგები; მეორე — **თუ დავუშვებთ იმას, რომ სომხეთი საქართველოს გავლით მიიღებს რამე სახის სამხედრო დახმარებას, მაშინ მიიღებს აზერბაიჯანიც. გამოდის, საქართველო, ფაქტობრივად, ხდება ერთგვარი პოლიგონი, რომელზეც გადაინაცვლებს საბრძოლო მოქმედებები. ახლა რას მოიტანს ეს ჩვენი ქვეყნისთვის, მაშინ, როცა ტერიტორიების ერთ-მესამედს ისედაც ვერ ვაკონტროლებთ და ეკონომიკაც, ფაქტობრივად, სულს ღაფავს, ძნელი მისახვედრი არ არის...** თუმცა აზერბაიჯანი უკვე იღებს თურქეთისგან სამხედრო დახმარებას, მათ შორის, უპილოტო საფრენ აპარატებს და არა მხოლოდ...

**— მოდი, უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, არსებობს დღეს იმის საფრთხე, რომ საქართველო ამ კონფლიქტში ჩაითრიონ?**

— პირველი და მთავარი, რასაც მინდა, ხაზი გავუსვა: არ მგონია, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უშვებდეს აქ რაღაც კონტრაბანდისტული ხვრელების არსებობას და ამ გზით სომხეთში სამხედრო ტვირთების შესვლას უწყობდეს ხელს; მეორე — ნებისმიერი **მედიასაშუალება, რომელიც აქტიურად ავრცელებს დეზინფორმაციას, რომ თურმე საქართველოდან სომხეთში შეიარაღება შედის, პირდაპირ ვიტყვი, საქართველოს მტერია.** ახლა რა შეიძლება დაგვემუქროს და შესაძლებელია თუ არა, ჩაგვითრიონ ომში. ცხადია, განცხადებები იმის თაობაზე, რომ აქედან სომხეთში იარაღის კონტრაბანდა ხორციელდება, უკვე გარკვეული სიგნალია. ეს ერთგვარი მინიშნებაა, რომ საბრძოლო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზეც შეიძლება დაიწყოს. ეს ისე, თეორიულად, თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი ცეცხლის შეწყვეტა ვერ მოხერხდება და საბრძოლო მოქმედებები უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს მიიღებს, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი რეალურ მოცემულობად იქცევა...

**— როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რომელმა მხარემ შეიძლება განახორციელოს ჩვენს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები და რა საბაბით?**

— იმ საბაბით, რომ თავისი უსაფრთხოება უზრუნველყოს. მაგალითად, დავუშვათ ასეთი ალბათობა: ვთქვათ, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ მისი მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს გავლით იღებს სამხედრო ტვირთებს. ცხადია, მათთვის ეს პრობლემაა, ამიტომ შეიძლება, გადმოლახონ საზღვარი და გარკვეული კონტროლის დამყარება სცადონ ჩვენი ტერიტორიის იმ მონაკვეთებზე, რომლებიდანაც მიაჩნიათ, რომ გარკვეული საფრთხე ემუქრებათ; ან შეიძლება სარაკეტო დარტყმები განახორციელონ. მოგეხსენებათ, დღეს მათთვის 70-75 კილომეტრის მანძილზე დარტყმა პრობლემა არ არის. ჩვენ კი ამით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით...

**— დავუბრუნდეთ ალიევის განცხადებას. მან, პრაქტიკულად, მიანიშნა, რომ საქართველო საკუთარ საზღვრებს ვერ აკონტროლებს და მისი ტერიტორიით სხვები სარგებლობენ. რა რეაგირება უნდა ჰქონოდა ამაზე ჩვენს ხელისუფლებას?**

— პირველი — **უნდა დაიბარონ აზერბაიჯანის ელჩი, რომელმაც, სხვათა შორის, ადრე განაცხადა, ჩვენი ეჭვები არ დადასტურდაო და მოითხოვონ განმარტება, რის საფუძველზე გაკეთდა ეს განცხადება. თუ მათ აქვთ კონკრეტული მტკიცებულება, უნდა წარმოადგინონ; მეორე — ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, თუ აზერბაიჯანი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა და, ალბათ, ასეა, მაშინ იქიდან პროვოკაციული განცხადებები არ უნდა ისმოდეს** იმ შემთხვევაშიც კი, თუ, თეორიულად დავუშვათ, ალიევის განცხადება სიმართლეს შეესაბამება. ტელევიზიით კი არ უნდა ვრცელდებოდეს ეს ინფორმაცია, არამედ, პირველ რიგში, ჩვენს ხელისუფლებასთან კომუნიკაციითა და განმწვავების გარეშე ცდილობდნენ პრობლემის გადაჭრას. ისე, სიმართლე გითხრათ, ცოტა გასაკვირია საქართველოს ხელისუფლების პოზიციაც იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არც კი ითხოვენ მეზობელი ქვეყნის ხელმძღვანელობისგან განმარტებებს. ესეც, ალბათ, რაღაც პოლიტიკის ნაწილია. თუმცა ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **ნებისმიერი რიტორიკა, რამე ფორმით იმის მტკიცება, რომ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება ხდება რომელიმე მხარის — ან აზერბაიჯანის, ან სომხეთის — საწინააღმდეგოდ, უნდა აღიკვეთოს საფუძველშივე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ნიადაგი შემზადდეს გარკვეული საბრძოლო მოქმედებების საქართველოს ტერიტორიაზე დასაწყებად...**

**— რუსეთი ჯერჯერობით არ ერევა სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირებაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი დაუფარავად ჩაერთვება ამ კონფლიქტში, მაშინ, დიდი ალბათობით, კრემლიც რაღაცას მოიმოქმედებს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, საქართველო ამ შემთხვევაში დერეფნად გამოიყენონ?**

— **რუსეთს უზარმაზარი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ სომხეთში გიუმრის 102-ეს ბაზის სახით, რომელშიც არის ავიაციაც, არტილერიაც, საჰაერო თავდაცვის საშუალებებიც და ა.შ., ყველაფერი, რაც აუცილებელია თანამედროვე ომის საწარმოებლად, მაგრამ არც ერთი ბაზა არ არის განუსაზღვრელი რესურსებისა და შესაძლებლობის მქონე,** ამიტომ, თუ ამ კონფლიქტმა იმხელა მასშტაბი მიიღო, რომ იქეთა მხრიდან დაუფარავად დადგა თურქეთი, რაც თეორიული მსჯელობის საგანია, რა თქმა უნდა, რუსეთს მოუწევს იმაზე ფიქრი, რომ მან სამხრეთ კავკასიაში გაიძლიეროს პოზიციები. ეს იქნება წმინდა სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესი. რაც შეეხება ალიევსა და მის პოლიტიკას, მიაქციეთ ყურადღება ერთ რამეს: **წარსულში მას არასდროს ერთი კრიტიკული განცხადებაც არ გაუკეთებია რუსეთის მისამართით, მაგრამ ამ დღეებში პირდაპირ განაცხადა: ამ არეულობით ყარაბაღში რუსეთია დაინტერესებულიო.** ეს ნიშნავს იმას, რომ ალიევს გარკვეული ამბიცია გაუჩნდა; ამბიცია იმისა, რომ შეუძლია, რუსეთს შენიშვნები მისცეს ან თუნდაც დაადანაშაულოს რამეში... აი, ამ ყველაფრის ფონზე მისთვის საქართველოს დადანაშაულება პრობლემა არ არის. მით უფრო, რომ იცის, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია და, რამე რომ მოხდეს, მხარში ან ამოგვიდგება, ან არა...

**რაც შეეხება ალიევსა და მის პოლიტიკას, მიაქციეთ ყურადღება ერთ რამეს: წარსულში მას არასდროს ერთი კრიტიკული განცხადებაც არ გაუკეთებია რუსეთის მისამართით, მაგრამ ამ დღეებში პირდაპირ განაცხადა: ამ არეულობით ყარაბაღში რუსეთია დაინტერესებულიო. ეს ნიშნავს იმას, რომ ალიევს გარკვეული ამბიცია გაუჩნდა; ამბიცია იმისა, რომ შეუძლია, რუსეთს შენიშვნები მისცეს ან თუნდაც დაადანაშაულოს რამეში... აი, ამ ყველაფრის ფონზე მისთვის საქართველოს დადანაშაულება პრობლემა არ არის. მით უფრო, რომ იცის, რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა უკიდურესად დაძაბულია და, რამე რომ მოხდეს, მხარში ან ამოგვიდგება, ან არა...**

**— როგორი პოლიტიკა უნდა გაატაროს საქართველოს ხელისუფლებამ, მოსალოდნელი საფრთხეები მაქსიმალურად რომ აიცილოს თავიდან?**

— ხელისუფლება ჯერჯერობით მეტ-ნაკლებად სწორ პოლიტიკას ატარებს იმ თვალსაზრისით, რომ მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. **აუცილებელია მაქსიმალური პოლიტიკური პრინციპულობა და შეუვალობა მთელი რიგი მიმართულებებით, მათ შორის იმ თვალსაზრისითაც, რომ არ მოხდეს კონფლიქტის გაჩაღება საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის; არ მოხდეს მათი გასვლა ქვეყნიდან და ჩაბმა ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში; არ მოხდეს ცრუ ინფორმაციების გავრცელება, რომ საქართველოს გავლით სომხეთი შეიარაღებას იღებს და ა.შ.** ნებისმიერი მსგავსი დეზინფორმაცია მყისვე უნდა იქნეს მხილებული და სახელმწიფომ მოითხოვოს განმარტებები. სხვა შემთხვევაში, შეიძლება ისე მოხდეს, რომ საქართველოს ტერიტორია იქცეს დაპირისპირების პოლიგონად... არც კი შეგვეკითხებიან, ისე დაიწყებენ საბრძოლო მოქმედებებს და დაამყარებენ კონტროლს... ჩვენთვის ეს, შესაძლოა, აღმოჩნდეს არანაკლებ დამაზიანებელი, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, ვიდრე კონფლიქტის მონაწილე ორი ქვეყნისთვის.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

შეძლებს კი ტრამპი კიდევ ერთი გამარჯვების მოპოვებას და სოციალური არეულობითა და ეკონომიკის დაცემით შექმნილი მნიშვნელოვანი წინაღობების გადალახვას, რომლებიც კარანტინმა და კაპიტოლიუმის ბორცვზე ქაოსმა გამოიწვია?

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დარჩება თუ არა ტრამპი თეთრ სახლში?



დონალდ ტრამპი

**დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი საპრეზიდენტო არჩევნების ფინიშის სწორზე გავიდნენ. თუმცა გამოკითხვების შედეგების მიხედვით, ბაიდენი უსწრებს ტრამპს, კენჭისყრის საბოლოო შედეგს ამომრჩეველი განსაზღვრავს. როგორ არის განაწილებული ტრამპის ამომრჩევლები საკვანძო შტატებში და როგორია მისი შანსი? ამ საკითხზე გამოცემა The Hill-ში წერს ინფორმატიკის პროფესორი, რისკების შემფასებელი სახელმწიფო პოლიტიკაში, ილინოისის უნივერსიტეტში Election Analytics-ის დამფუძნებელი — შელდონ ჯეიკობსონი.**

2016 წლის 25 ოქტომბერს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ყველას ეგონა, რომ **ჰილარი კლინტონი** პირველი ქალი პრეზიდენტი იქნებოდა ამერიკის ისტორიაში. გამოკითხვების შედეგებიც ამაზე მიუთითებდა, მაგრამ შემდეგი ორი კვირის განმავლობაში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. როგორც ვიცით, 2016 წლის 8 ნოემბერს ამერიკელებმა პრეზიდენტად **დონალდ ტრამპი** აირჩიეს.

შეძლებს კი ტრამპი კიდევ ერთი გამარჯვების მოპოვებას და სოციალური არეულობითა და ეკონომიკის დაცემით შექმნილი მნიშვნელოვანი წინაღობების გადალახვას, რომლებიც კარანტინმა და კაპიტოლიუმის ბორცვზე ქაოსმა გამოიწვია? **ტრამპის მიერ კოვიდ-19-ის დამარცხება იქცევა თუ არა მოტივატორად ამერიკელებისთვის, მხარი დაუჭირონ ტრამპს თუ პირიქით — ისინი უარს იტყვიან ტრამპის ხელახლა არჩევაზე, რომლის მხრიდან დაავადებების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის რეკომენდაციების უგულებელყოფამ შექმნა სამწუხარო ვითარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემაში?** იმის გათვალისწინებით, რომ 9 მილიონმა ამომრჩეველმა, რომელთა შორისაც უმრავლესობა დემოკრატების მომხრეა (მათ შორის, 1,6 მლნ ფლორიდის შტატში), უკვე მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა, **შეიძლება თუ არა ტრამპმა ბოლო მომენტში გაიმარჯვოს?**

გამოკითხვების შედეგები აჩვენებს, რომ ტრამპი ჯერჯერობით აგებს, თანაც იმაზე მეტი სხვაობით, ვიდრე 2016 წელს კლინტონთან. ამ შედეგს განაპირობებს დემოკრატების მომხრე შტატები — კალიფორნია და ნიუ-იორკი, მაგრამ არჩევნებს იგებს ამომრჩეველთა კოლეგია, რომელსაც ტრამპი ოსტატურად მართავდა 2016 წელს.

ახლა, როცა ორ კვირაზე ნაკლები დარჩა არჩევნებამდე, რომელმა ფაქტორებმა შეიძლება მოუტანოს ტრამპს გამარჯვება და თეთრი სახლი შეანარჩუნებინოს?

**პირველი** — ეს არის რესპუბლიკური პარტიის ტრადიციული საყრდენი პუნქტების მხარდაჭერა. **ტეხასმა, ჯორჯიამ** და **აიოვამ** თითქმის სრულად უნდა დაუჭირონ მხარი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს. რესპუბლიკელთა მომხრე ამ შტატების მხარდაჭერის გარეშე ტრამპს გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეს;

**მეორე** — გამოკითხვებმა ისეთ შტატებში, როგორებიც არის ფლორიდა, ჩრდილოეთი კაროლინა და ოჰაიო, ტრამპის სასარგებლო დინამიკა უნდა აჩვენოს. ოჰაიოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოქმედ პრეზიდენტებს შორის ბოლო, ვინც ეს შტატი წააგო, იყო **ფრანკლინ რუზველტი** 1944 წელს. ეს შტატები ტრამპმა აუცილებლად უნდა მოიგოს, ბაიდენი კი ერთ-ერთ მათგანში რომც დამარცხდეს, მაინც გაიმარჯვებს არჩევნებში;

**მესამე** — გამარჯვება **ვისკონსინის, მიჩიგანისა** და **პენსილვანიის** შტატებში — ეს ტრამპის თითქმის აუხდენელი ოცნებაა. ამომრჩეველთა კოლეგიის ანგარიშით, ტრამპი ვერ მოიპოვებს გამარჯვებას, თუ სამივე შტატს წააგებს. მათგან ერთ-ერთში გამარჯვება კი გაუხსნის თეთრი სახლისკენ მიმავალ გზას;

**მეოთხე** — ტრამპმა უნდა გაიმარჯვოს რამდენიმე „მოულოდნელ“ შტატში — ნებისმიერში **არიზონას, ნევადას, მინესოტას** ან **კოლორადოს** შტატებიდან. გამოკითხვების მიხედვით, მას გამარჯვების შანსი აქვს არიზონაში, რომელიც 2016-შიც მოიგო.

როგორია ალბათობა იმისა, რომ ეს ყველაფერი მოხდება? შანსი ბევრია. ამ მოსაზრებას ეთანხმება წიგნ „თეთრი სახლის გასაღების“ ავტორი **ალან ლიხტმანი. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვებში ბაიდენი ლიდერობს, რამდენიმე საკვანძო შტატში ამომრჩეველთა მისვლა საარჩევნო ურნებთან და მათი ხმები განსაზღვრავს, ვინ გაიმარჯვებს თეთრი სახლისთვის ბრძოლაში. იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა დაახლოებით 60% მაინც მივა საარჩევნო უბნებში, გამარჯვებასა და დამარცხებას შორის სხვაობა ძალიან მცირე იქნება და გამორიცხული არ არის, რამდენიმე ათასმა ხმამ ბაიდენის ლიდერობა შეცვალოს და არჩევნები ტრამპის ტრიუმფად აქციოს.**

regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**



ჯო ბაიდენი

**გამოკითხვებმა ისეთ შტატებში, როგორებიც არის ფლორიდა, ჩრდილოეთი კაროლინა და ოჰაიო, ტრამპის სასარგებლო დინამიკა უნდა აჩვენოს. ოჰაიოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოქმედ პრეზიდენტებს შორის ბოლო, ვინც ეს შტატი წააგო, იყო ფრანკლინ რუზველტი 1944 წელს. ეს შტატები ტრამპმა აუცილებლად უნდა მოიგოს, ბაიდენი კი ერთ-ერთ მათგანში რომც დამარცხდეს, მაინც გაიმარჯვებს არჩევნებში**



# კაჩინსკი: პოლონეთი მაშინ უფრო თავისუფალი იყო, როცა საბჭოთა კავშირს ემორჩილებოდა, ვიდრე დღეს, როცა ევროკავშირშია

**ევროკავშირის გაკრიტიკებისას პოლონეთის მმართველი კონსერვატიული პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ თავმჯდომარემ, ვიცეპრემიერმა იაროსლავ კაჩინსკიმ გაიხსენა, რომ, „როცა ვარშავა მოსკოვს ემორჩილებოდა, პოლონელებს მეტი უფლებები ჰქონდათ“.**

პოლონეთის ვიცეპრემიერმა და მმართველი პარტია „სამართალი და სამართლიანობის“ ლიდერმა **იაროსლავ კაჩინსკიმ** Gazeta Polska-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **ვარშავა ვეტოს გამოიყენებს ევროკავშირის 2021-2024 წლების ბიუჯეტისა და რეკონსტრუქციის ფონდის წინააღმდეგ, თუკი გაგრძელდება მუქარა და შანტაჟი ბრიუსელის მხრიდან, რომელიც თავს ესხმის „ჩვენს იდენტობას, თავისუფლებას, ჩვენს სუვერენიტეტს, ჩვენ არ დაუშვებთ, დაგვატერორონ ფულით!“** — კაჩინსკის ეს განცხადება გაისმა იმ ფონზე, როცა პოლონეთს ევროკავშირის ბიუჯეტიდან და რეკონსტრუქციის ფონდიდან, საერთო ჯამში, 125 მლრდ ევრო უნდა გადაურიცხონ.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ კაჩინსკიმ მიმართა მმართველი პარტიის ყველაზე რადიკალურად განწყობილ ფრთას, სხვები კი ხედავენ კავშირს ბლეფსა და რეალურ მუქარას შორის.

ინტერვიუში პოლონეთის მმართველი პარტიის ხელმძღვანელმა გააკეთა შედარება, რომელმაც ძალიან გააღიზიანა ევროკავშირი. კაჩინსკის განცხადებით, სურთ, პოლონელებს წაართვან „კულტურული სუვერენიტეტიც“ კი. მან გაიხსენა, რომ **„პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, როდესაც ვარშავა ემორჩილებოდა მოსკოვს, პოლონელებს უფრო მეტის უფლება ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის ხელმძღვანელობა არ აღიარებდა ფერმერებსა და კათოლიკურ ეკლესიას, ისინი პოლონეთში არსებობდნენ. დღეს კი ევროკავშირის ინსტიტუტები, მისი მაღალჩინოსნები, ვიღაც პოლიტიკოსები, რომლებიც პოლონელებს არ აურჩევიათ, ჩვენი კულტურის ვერიფიკაციას მოითხოვენ და უარყოფენ ყველაფერს, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.**

Iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**



**„პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში, როდესაც ვარშავა ემორჩილებოდა მოსკოვს, პოლონელებს უფრო მეტის უფლება ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ის ხელმძღვანელობა არ აღიარებდა ფერმერებსა და კათოლიკურ ეკლესიას, ისინი პოლონეთში არსებობდნენ. დღეს კი ევროკავშირის ინსტიტუტები, მისი მაღალჩინოსნები, ვიღაც პოლიტიკოსები, რომლებიც პოლონელებს არ აურჩევიათ, ჩვენი კულტურის ვერიფიკაციას მოითხოვენ და უარყოფენ ყველაფერს, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჰიტლერი გასამართლებულია და მის სახელს ნიურნბერგის პროცესმა შავი ღრუბელი გადააფარა, სტალინი გაუსამართლებელია და ის სასამართლოზე მივა არა როგორც ბრალდებული, არამედ, როგორც ბრალმდებელი. მომავალი მსოფლიო ამ ორ პიროვნებას განიხილავს არა როგორც ერთმანეთის მტრებს, არამედ, როგორც ორ პოლუსს უზარმაზარი მუხტით, რომლებმაც არნახული მეხთატეხა გამოიწვიეს პლანეტაზე.**

**მსოფლიო ომების ისტორიას ბევრი ნიჭიერი მთავარსარდლისა თუ მებრძოლის სახელი შემოუნახავს მომდევნო თაობებისთვის. ყველა გამარჯვებული სარდალი ბრწყინავს ისტორიის ფურცლებზე, დამარცხებული კი თითქმის არავის ახსოვს, მაგრამ არის გამონაკლისიც, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.**

# სტალინი და ჰიტლერი

ისტორიაში აღწერილი ომები ცოცხალი ძალის დანაკარგებითა და საომარ მოქმედებებზე დახარჯული საბრძოლო მასალებით, მატერიალური თუ ფულადი სახსრებით, საერთო ჯამში, ახლოსაც ვერ მივა მეორე მსოფლიო ომის დანაკარგებსა და დანახარჯებთან. მეორე მსოფლიო ომში პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით მონაწილეობდა 70-ზე მეტი ქვეყანა და 110 მილიონზე მეტი ჯარისკაცი. განუზომელია ზარალი, რომელიც კაცობრიობას ფაშისტების მიერ გაჩაღებულმა მეორე მსოფლიო ომმა მიაყენა.

მეორე მსოფლიო ომი ისე მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი იყო, რომ მისი სკრუპულოზურად არც აღქმა შეიძლება და არც აღწერა. დღეს მემატიანეები ხშირად იყენებენ გამოთქმას — „პიროსის გამარჯვება“ (გამარჯვება ისეთი დანაკარგით, რომელიც აბათილებს გამარჯვებით მოპოვებულ უპირატესობას. ეს გამოთქმა წარმოიშვა ბერძენი მხედართმთავრის — პიროსის გამარჯვებისას ასკულუმთან ბრძოლაში, როდესაც ბერძნებმა დაამარცხეს რომაელები, მაგრამ ისეთი დანაკარგებით, რომ ეს გამარჯვება დამარცხების ტოლფასი იყო) და მაგალითად ფაშიზმზე სტალინის გამარჯვება მოჰყავთ. მაშინ რაღა ვთქვათ **ვაჟა-ფშაველას** სანათაზე („ბახტრიონი“), რომელიც მარტო დადიოდა, საკლავს კლავდა და სანთელსაც თვითონ უნთებდა ომში დახოცილ ქმარს, შვიდ შვილსა და მთელი სოფლის მამაკაცებს? ან რა ვთქვათ 300 არაგველზე, არც ერთი რომ არ დაბრუნებია თავის ოჯახს, ან 9 ძმა ხერხეულიძეზე? ისინი პიროსელები არიან თუ გმირი ქართველები, რომელთა ხსოვნასაც საუკუნეების განმავლობაში შემოინახავს შთამომავლობა?! თუ გამარჯვება სამართლიანი იყო, ომში დამარცხებულის ისტორია გამარჯვებულმა მხარემ უნდა დაწეროს. გამარჯვებულზე კი დამარცხებული ქვეყნის სამართლიანმა ისტორიკოსებმა დაწერონ სიმართლე, თუ გვინდა ომის ნათელი სურათი დავინახოთ.

ბუნკერში მყოფმა უკვე თითქმის დამარცხებულმა ჰიტლერმა 1945 წლის 23 იანვარს თავის სარდლებს განუცხადა:

**„ჩვენ ისე ფანატიკურად უნდა ვიბრძოლოთ და დავიცვათ ზემო სილეზია, როგორც ამას სტალინი აკეთებდა მოსკოვის მისადგომებთან!“** 1945 წლის 30 აპრილს კი, თვითმკვლელობამდე ერთი საათით ადრე, ჰიტლერმა ყველაზე ახლობელ ადამიანს, ვიცე-ადმირალ **ჰანს-ერიხ ფოსს** უთხრა: **„ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი და განმეგრძო ქვეყნის მართვა, სტალინისგან ავიღებდი მაგალითს“.** ზემოთ ვახსენე სიტყვა გამონაკლისი.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 75 წელი გავიდა და მკვლევარები, ისტორიკოსები თუ მხატვრული სიტყვის ოსტატები მუხლებამდეც ვერ მისწვდნენ ამ ორ გიგანტს, რომელთა განზომილებები ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, ჩვენი გალაქტიკის — ირმის ნახტომის — მსგავსად, ჯერ კიდევ შეუცნობელია. ერთი — **ჰიტლერი** გასამართლებულია და მის სახელს ნიურნბერგის პროცესმა შავი ღრუბელი გადააფარა, მეორე — **სტალინი** გაუსამართლებელია და ის სასამართლოზე მივა არა როგორც ბრალდებული, არამედ, როგორც ბრალმდებელი. მომავალი მსოფლიო ამ ორ პიროვნებას განიხილავს არა როგორც ერთმანეთის მტრებს, არამედ როგორც ორ პოლუსს უზარმაზარი მუხტით, რომლებმაც არნახული მეხთატეხა გამოიწვიეს პლანეტაზე.

ჩემი ჰეროიკული რახარუხით თავი რომ არ მოგაბეზროთ, კვალდაკვალ მივყვეთ ორი გამორჩეული ისტორიული პერსონაჟის ლოგიკას. აი რას ამბობდა სტალინი 1934 წელს:

**„ომი სურთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ ზოგიერთი სამხედრო წრე იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეებში. დავუშვათ, ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავლენ, რა შეიძლება მოჰყვეს მას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ომი ყველაზე სახიფათო იქნება ბურჟუაზიისთვის. ის იქნება ყველაზე სახიფათო არა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ რევოლუციის მონაპოვრებისთვის. ის ყველაზე საშიში იქნება ბურჟუაზიისათვის, აგრეთვე, იმიტომ, რომ ომი იწარმოებს არა მხოლოდ ფრონტზე, არამედ მოწინააღმდეგის ზურგშიც. ბურჟუაზიას შეუძლია, ეჭვი არ შეიტანოს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მრავალრიცხოვანი მეგობრები ევროპასა და აზიაში შეეცდებიან, ზურგიდან დაჰკრან მჩაგვრელებს, რომლებმაც დაიწყეს დანაშაულებრივი ომი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოს წინააღმდეგ. და ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათვალავში დააკლდებათ მათთვის ახლობელი მთავრობები, რომლებიც ამჟამად განცხრომით მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“.**

**თუ გახსოვთ, ერთი ასეთი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკვე იყო 16 წლის წინათ. როგორც ვიცით, ყველასგან პატივცემულმა ჩერჩილმა მაშინ ეს ომი გამოხატა პოეტურ ფორმულით — „თოთხმეტ სახელმწიფოს შესევა“. თქვენ გახსოვთ, რასაკვირველია, რომ ამ ომმა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მჭიდროდ გააერთიანა მებრძოლთა ერთიან ბანაკად, რომლებიც მკერდით იცავდნენ მუშურ-გლეხურ სამშობლოს მტრისაგან. თქვენ იცით, რით დამთავრდა იგი. იგი დამთავრდა ინტერვენტების განდევნით ჩვენი ქვეყნიდან და რევოლუციური „მოქმედების კომიტეტების“ შექმნით ევროპაში. არა გვგონია, საეჭვო იყოს, რომ მეორე ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მოჰყვება თავდამსხმელთა სრული დამარცხება, რევოლუცია ევროპისა და აზიის ქვეყნებში და ამ ქვეყნების ბურჟუაზიულ-მემამულურ მთავრობათა დამხობა“** (საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობა, ი. სტალინი, პარტგამომცემლობა 1934 წ. გვ. 17-18).







**ბუნკერში მყოფმა უკვე თითქმის დამარცხებულმა ჰიტლერმა 1945 წლის 23 იანვარს თავის სარდლებს განუცხადა: «ჩვენ ისე ფანატიკურად უნდა ვიბრძოლოთ და დავიცვათ ზემო სილეზია, როგორც ამას სტალინი აკეთებდა მოსკოვის მისადგომებთან!» 1945 წლის 30 აპრილს კი, თვითმკვლელობამდე ერთი საათით ადრე, ჰიტლერმა ყველაზე ახლობელ ადამიანს, ვიცე-ადმირალ ჰანს-ერიხ ფოსს უთხრა: «ცოცხალი რომ დავრჩენილიყავი და განმეგრძო ქვეყნის მართვა, სტალინისგან ავიღებდი მაგალითს»**

**რამდენიმე რამით ჰგავს სტალინი და ჰიტლერი ერთმანეთს: პიროვნული ღირსებებით, ორგანიზაციული ნიჭით, სახელმწიფო ღირებულებების წინა პლანზე დაყენებით. ამის დამადასტურებელ მაგალითებს ამ პიროვნებების ბიოგრაფიებში ჩახედული ადამიანები გამადიდებელი შუშის გარეშეც ადვილად დაინახავენ, მაგრამ არის განსხვავება ემოციებში, მეტისმეტ თავდაჯერებულობაში, არტისტიზმში.** თუმცა, არტისტიზმი ორივე პიროვნებას ახასიათებდა, მაგრამ სტალინს რეალობამდე აყვანილი ჰეროიკული არტისტიზმი ახასიათებდა, ჰიტლერს კი ჯამბაზობამდე დაყვანილი და ამიტომაც აირჩია გენიალურმა **ჩარლი ჩაპლინმა** თავის გმირად ადოლფი, რის გამოც ჰიტლერი ჩაპლინს თავის №1 მტრად ასახელებდა.

**ადოლფ ჰიტლერმა გალახული, ავტორიტეტდაცემული და დამარცხებული გერმანია შვიდი წლის განმავლობაში ფეხზე დააყენა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად აქცია — ინდუსტრიულ, ინოვაციურ, ფუნდამენტურ მეცნიერებებზე დაფუძნებულ უძლიერეს ქვეყნად. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ეკონომიკური მდგომარეობით ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ დედამიწაზე ანგარიშგასაწევ სახელმწიფოდ იქცა და გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს შიშის ზარს სცემდა. თოფმომარჯვებულმა გერმანელმა ჯარისკაცმა მარშით შემოიარა მთელი ევროპა. ჰიტლერი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ძლიერება არის უპირველესი, რათა გერმანელმა ხალხმა ხელში ხმლით მოიპოვოს სასიცოცხლო სივრცე და ამას ეკონომიკური სიძლიერეც მოჰყვებოდა.**

1933 წლის 3 თებერვალს, გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლიდან 72 საათის შემდეგ, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ **კურტ ფონ ჰამერშტაინის** რეზიდენციაში ფიურერმა განაცხადა:

**„უკვე 14 წელია, რაც ვწინასწარმეტყველებ, რომ მარქსიზმი იქნება განადგურებული, ხოლო ხალხი იქნება ნაციონალ-სოციალიზმის სულისკვეთებით განათლებული. აი, მაშინ არმია იქნება მზად, აქტიური საგარეო პოლიტიკა განაგრძოს იარაღის საშუალებით, რათა მოიპოვოს გერმანული სასიცოცხლო სივრცე. ეს სასიცოცხლო სივრცე აღმოსავლეთითაა. იქ, აღმოსავლეთით დაპყრობილი ხალხის გაგერმანელება შეუძლებელია. ჩვენ შევძლებთ მხოლოდ მიწის გერმანიზაციას. ჩვენ მოგვიწევს, განვდევნოთ რამდენიმე მილიონი ადამიანი დაპყრობილი მიწებიდან. ჩვენ ყოველთვის ვიდგებით არმიის გვერდით, ჩვენ ვიმუშავებთ არმიის გვერდით და არმიასთან ერთად. ბატონო გენერლებო, მე თქვენ მოგმართავთ ერთადერთი თხოვნით: მხარში ამომიდექით და იბრძოლეთ ჩემთან ერთად ამ დიადი მიზნისათვის. ოღონდ დამეხმარეთ არა მხოლოდ იარაღით, არამედ მორალურად. ჩემ გარდა, თქვენ ვერასდროს იპოვით სხვა ადამიანს, რომელიც ყველაფერს ჩააყენებს ერთადერთი მიზნის სამსახურში, მიზნისა, რომელსაც გერმანიის გადარჩენა ჰქვია!“**

ისევ ჰიტლერი (1945 წელი):

▶

**სტალინი რეალისტია. ის გრძნობს თავის ძალას, რომელიც მოდის ხალხიდან. ის ყურს უგდებს ხალხის ხმას და არა პანეგირიკებსა და დითირამბებს. მისთვის აუტანელია უაზრო საუბარი მომხსენებლისა, რომელიც კარგად არ არის გარკვეული საკითხებში. სტალინი ამბობს: თუ მტერი გვიქებს გაკეთებულს — ჩვენ მტრის საქმეს ვაკეთებთ; თუ გაკეთებულით ვალიზიანებთ მტერს და ამისთვის გვაგინებენ — ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე მივხვდი, რა ფატალური შეცდომა დავუშვი, როცა რუსეთს დავესხი თავს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სტალინს შეეძლო ბოლშევიკური აზრები თავის ხალხში ამ დონემდე ჩაენერგა. უნდა იყო გენიალური ადამიანი, გენიალური პოლიტიკოსი და სტრატეგი, რომ შეძლო, არახელსაყრელ მდგომარეობაში დარაზმო შენი ხალხი ისეთი უბადლო თავგანწირვისთვის, როგორიც რუსებმა აჩვენეს სამშობლოს დაცვისას... განსაკუთრებით სტალინგრადის, მოსკოვისა და ლენინგრადისთვის ბრძოლებში. მე რომ ცოცხალი დავრჩენილიყავი და განმეგრძო ქვეყნის მართვა, სტალინისგან ავიღებდი მაგალითს. გადაეცით გროს-ადმირალ დენიცს, რომ ჰიტლერი და მისი ცოლი სიცოცხლის ბოლო წუთამდე მხნედ იყვნენ“.**

ეს ფიურერის უკანასკნელი მონოლოგია და, ვფიქრობ, გაოცებასა და გაკვირვებას გამოიწვევს. სხვათა შორის, სტალინის მსგავსად ჰიტლერმა 28 თებერვალს გამოსცა ბრძანება ქალთა ბატალიონების ჩამოყალიბების შესახებ. 19 მარტს კი ჰიტლერი ხელს მოაწერს ე.წ. ნერონის დეკრეტს, რომელიც, ისევ სტალინის მიბაძვით, მოითხოვს, გერმანულმა არმიამ უკან დახევისას გაანადგუროს ყველა ინფრასტრუქტურა.

ფიურერის აღფრთოვანება ყველა მოლოდინს გადააჭარბებს, როდესაც ჰიტლერი წითელი არმიის გენერალიტეტის განდიდებას დაიწყებს: **„ჩემი გენერლები არიან ბებრები, დასუსტებულნი, რომელთათვისაც ნაციონალურ-სოციალისტური აზროვნება სრულიად უცხოა. ეჰ, ჩვენ რომ გვყოლოდა იმ დონის გენერლები, როგორიც სტალინს ჰყავს“ (1945 წლის 15 მარტი).**

ჰიტლერი იქვე დასძენს:

„მე მთლიანად ამოვწურე ჩემი დრო, შემოქმედებითი ძალები და ჯანმრთელობა. ტყუილია, რომ მე ან ვინმეს გერმანიაში უნდოდა 1939 წლის ომი. ის იყო ჩაფიქრებული და პროვოცირებული იმ საერთაშორისო სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ, რომლებიც ან თვითონ არიან ებრაელები, ან მოქმედებენ ებრაული ინტერესებისთვის. მე ძალიან ბევრი რამ შევთავაზე შეიარაღებაზე კონტროლის დასაწესებლად. შეუძლებელია, ეს შეთავაზებები იგნორირებულ იქნას შემდგომი თაობების მიერ, რომ მე დამაკისრონ პასუხისმგებლობა ომის წამოწყებაზე. მით უფრო, რომ მე არასდროს მინდოდა, შემზარავ პირველ მსოფლიო ომს მოჰყოლოდა მეორე ომი ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ. გაივლის ასწლეულები და ჩვენი ქალაქებისა და ძეგლების ნანგრევებიდან დაიბადება ზიზღი მათ მიმართ, ვისაც უნდა „ვუმადლოდეთ“ ყოველივეს, რაც დაგვემართა. სულ რაღაც სამი დღით ადრე გერმანია-პოლონეთის ომის დაწყებამდე მე ვთავაზობდი ინგლისის ელჩს ბერლინში გერმანულ-პოლონური პრობლემის მოგვარებასა და გადაწყვეტას, ანალოგიურად იმისა, როგორც ეს მოხდა საარის მხარეში, როდესაც მასზე დაწესებული იქნა საერთაშორისო კონტროლი. შეუძლებელია, ეს შეთავაზება მივიწყებული იქნას. ეს უარყოფილ იქნა მხოლოდ იმის გამო, რომ ინგლისის მმართველ წრეებში უნდოდათ ომი. საქმე ის არის, რომ ეს წრეები მოექცნენ პროპაგანდის გავლენის ქვეშ, რომელიც გავრცელებული იყო საერთაშორისო ებრაელობის მიერ. ეჭვი არ მეპარება, რომ, თუ ევროპის ერებს ისევ შეეხებიან ისე, როგორც ჩვეულებრივ ბირჟის აქციებს, როგორც ყიდვისა და გაყიდვის საგნებს ფინანსური მოლაპარაკებებისთვის, მაშინ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ, ვინც რეალურად წარმოადგენს დამნაშავე მხარეს ამ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში — ებრაელობას. მჯერა, მილიონობით ადამიანის სიკვდილი არ დამთავრდება იმის გარეშე, რომ გადახდა არ მოუწიოთ დამნაშავეებს მაშინაც კი, თუ მათ მიერ მიღებული იქნება დასჯის უფრო მეტად ჰუმანური მეთოდები იმასთან შედარებით, რასაც იმსახურებენ. ექვსი წლის ბრძოლის შემდეგ, რომელიც მიუხედავად ყოველი მისი წარუმატებლობისა, ოდესღაც შევა კაცობრიობის ისტორიაში, როგორც სახელოვანი და ჰეროიკული გამოხატულება ადამიანის სიცოცხლის ნების, მე არ შემიძლია დავტოვო ეს ქალაქი — რაიხის დედაქალაქი. იმის გამო, რომ ჩვენი ძალები ძალიან მცირეა, წინ აღუდგეს მტრის ზეწოლას და იმის გამო, რომ ჩვენი წინააღმდეგობა შიგნიდანაა გატეხილი საძულველი არსებების მიერ, რომლებსაც არ ჰყოფნით ნებისყოფის სიმტკიცე, მინდა, გავიზიარო ბედი მილიონობით ადამიანისა, რომლებმაც გადაწყვიტეს ამ ქალაქში დარჩენა. ამასთანავე, მე არ დავუშვებ მტრების ხელში ჩავარდნას, რომლებსაც განზრახული აქვთ, წარმოდგენა დადგან ებრაელთა რეჟისორობით რეგვენთა მასების გულის მოსაგებად. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, დავრჩე ბერლინში და ჩემი ნებით შევხვდე სიკვდილს. იმ მომენტში, როდესაც დარწმუნებული ვიქნები, რომ ფიურერის რეზიდენციისა და კანცელარიის შემდგომი დაცვა შეუძლებელი იქნება. მე ვკვდები დამშვიდებული გულით, წარმოვიდგენ რა ჩვენი ჯარისკაცების ურიცხვ გმირობას ფრონტზე, შინ — ქალების, ჩვენი ფერმერების, მუშების და ჩვენი ახალგაზრდობის ისტორიაში უნიკალურ სამხედრო ძალისხმევას. გამოვთქვამ გულითად მადლიერებას ყველას მიმართ, ვინც, გარემოებების მიუხედავად, განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს მტრის წინააღმდეგ დიდი **კლაუზევიცის** პრინციპების თანახმად. ჩვენი ჯარისკაცების თავგანწირვა და ჩემი კავშირი მათთან სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც მოგვცემს იმ მარცვალს, რომელიც ამა თუ იმ საშუალებით აღმოაცენებს და მიიყვანს კიდევ ერთ დიდ აღორძინებამდე ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას და ხორცს შეასხამს ნამდვილ რასობრივ საზოგადოებას. **მამაცთა შორის უამრავმა მამაკაცმა და ქალმა გადაწყვიტა, თავიანთი სიცოცხლე ჩემთან ბოლო დღემდე დაეკავშირებინათ. მე ვთხოვე და, საბოლო ჯამში, ვუბრძანე მათ, არ გაეკეთებინათ ეს, სჯობს, მიიღონ მონაწილეობა ბრძოლის გაგრძელებაში მომავალი ნაციის საკეთილდღეოდ. მე მოვითხოვ არმიის მეთაურების, ფლოტისა და სამხედრო საჰაერო ძალებისგან, ყველა საშუალებით დაეხმარონ ჩვენი ჯარისკაცების წინააღმდეგობის სულისკვეთებას ნაციონალ-სოციალისტურ ჭრილში. განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ ფაქტს, რომ მე ვარ დამფუძნებელი და ბელადი ამ მოძრაობისა — ვამჯობინე სიკვდილი ლაჩრულად გაქცევასა და კაპიტულაციას.** დაე, მომავალში განსაკუთრებულ პატივად იქცეს ეს ჩვეულება გერმანელი ოფიცრისათვის — როგორც უკვე დამკვიდრებულია ჩვენს ფლოტში, რომ საკითხი ტერიტორიისა თუ ქალაქის ჩაბარებაზე არც კი განიხილებოდეს მათ მიერ. ყველაზე მნიშვნელოვანი — მეთაურებმა უნდა უჩვენონ სიკვდილის ბოლომდე მოვალეობის ერთგულად შესრულების მაგალითი“.

# «ომი სურთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ, გაანადგურონ საბჭოთა კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე. შეცდომა იქნებოდა, ჩაგვეთვალა, რომ ასე ფიქრობს მხოლოდ ზოგიერთი სამხედრო წრე იაპონიაში. ჩვენ ვიცით, რომ ასეთივე გეგმები მზადდება ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელთა წრეებში. დავუშვათ, ეს ვაჟბატონები სიტყვიდან საქმეზე გადავლენ, რა შეიძლება მოჰყვეს მას? არ მგონია, საეჭვო იყოს, რომ ომი ყველაზე სახიფათო იქნება ბურჟუაზიისთვის»





ეს ჰიტლერია მთელი თავისი არსებით.

სტალინი რეალისტია. ის გრძნობს თავის ძალას, რომელიც მოდის ხალხიდან. ის ყურს უგდებს ხალხის ხმას და არა პანეგირიკებსა და დითირამბებს. მისთვის აუტანელია უაზრო საუბარი მომხსენებლისა, რომელიც კარგად არ არის გარკვეული საკითხებში. სტალინი ამბობს: **თუ მტერი გვიქებს გაკეთებულს — ჩვენ მტრის საქმეს ვაკეთებთ; თუ გაკეთებულით ვალიზიანებთ მტერს და ამისთვის გვაგინებენ — ჩვენ სწორ გზას ვადგავართ.**

1945 წელს შავიზღვისპირეთში დასვენებისას სტალინმა პრესის გაცნობისას თვალი მოჰკრა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ **ჩერჩილის** სიტყვებს. ის განსაკუთრებული სითბოთი და მადლიერებით იხსენიებდა რუს ხალხსა და მის სწორუპოვარ ბელადს. ჩერჩილი საუბრობდა „მადლიერებაზე, რომელიც კეთილშობილი საბჭოთა ხალხის მიმართ უნდა გვქონდეს“, ასევე რუსებსა და ინგლისელებს შორის არსებულ ამხანაგობასა და მეგობრობაზე. კიდევ უფრო ნაზი გრძნობებით იყო გამსჭვალული ჩერჩილის პანეგირიკი სტალინის მიმართ: **„მე არ ძალმიძს, უდიდესი აღფრთოვანების გარდა, რაიმე სხვა გრძნობას განვიცდიდე ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც მშვიდობიან პერიოდში განაგებდა ქვეყნის ბედს და გამარჯვებით დაიცვა იგი ომის პერიოდში“.**

სტალინი ძალიან გააღიზიანა საგაზეთო სტატიამ და იმავე წუთში დეპეშა გაგზავნა კრემლში. იგი წერდა: **„ყოველივე ეს ჩერჩილს იმისათვის სჭირდება, რომ სინდისი დაიმშვიდოს (რომელიც სუფთა არ აქვს) და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება სსრ კავშირისადმი. კერძოდ, შენიღბოს ის, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკულ-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები“.**

ჩერჩილისათვის ნიღბის ჩამოგლეჯას მოსდევს მთავარი აზრი — გაფრთხილება საბჭოეთის უმაღლეს ხელმძღვანელობას: **„ამჟამად ბევრი ისეთი პასუხისმგებელი მუშაკია, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდის ჩერჩილების, ტრუმენებისა თუ ბირნსებისაგან ქება-დიდების გაგონებაზე და პირიქით, ხასიათი უფუჭდებათ ამ ბატონების მხრიდან არაკეთილსასურველი გამოხმაურებების შემთხვევაში. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან უცხოელი ფიგურების მაამებლობას ავითარებს ჩვენში. უცხოელთა წინაშე მაამებლობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო. თუკი ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მსგავს გამოსვლებს, ამით დავნერგავთ მაამებლობასა და მლიქვნელობას. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფერში სჭირდებათ ქება უცხოელი ლიდერების მხრიდან. პირადად რაც შემეხება, ამგვარი ქება უბრალოდ მეჩოთირება. შტალინი“.**

აი, ეს არის სტალინი მთელი თავისი სიბრძნითა და თავმდაბლობით.

«ფეისბუქის» კულისებში

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლივიაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, ეკვადორსა და ჰონდურასში ადგილობრივი მომხმარებლები არჩევნების წინ იღებდნენ მილიონობით შეტყობინებას ყალბი აკაუნტებიდან. ამ შეტყობინებების გამომგზავნები იყენებდნენ ცნობებს ქვეყნებზე, მათში მცხოვრები ადამიანების ჩვევებსა და მიდრეკილებებზე და არჩევნების ბედს ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ წყვეტდნენ.**

# სიყალბის ფაბრიკა

**ახალი ამბების ამერიკულმა სააგენტო BazzFed-მა გამოაქვეყნა ინტერნეტგიგანტ „ფეისბუკის“ ყოფილი თანამშრომლის, სოფი ჩანგის, მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ის ყვება, რომ აღნიშნული კორპორაციის ხელმძღვანელობა უყურადღებოდ ტოვებს ამომრჩეველთა ხმებით მანიპულაციის ფაქტებს და მხარს უჭერს პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას ბევრ ქვეყანაში. სოციალური ქსელი „ფეისბუკი“ 2,5 მლრდ მომხმარებელს ითვლის, მათი 40%-ისთვის ეს სოცქსელი ინფორმაციის ძირითადი წყაროა.**

ბოლივიაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, ეკვადორსა და ჰონდურასში ადგილობრივი მომხმარებლები არჩევნების წინ იღებდნენ მილიონობით შეტყობინებას ყალბი აკაუნტებიდან. ამ შეტყობინებების გამომგზავნები იყენებდნენ ცნობებს ქვეყნებზე, მათში მცხოვრები ადამიანების ჩვევებსა და მიდრეკილებებზე და არჩევნების ბედს ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ წყვეტდნენ.

**„ჩემი ხელები სისხლშია, — განაცხადა სოფი ჩანგმა „ფეისბუკის“ ქსელის ყალბი აკაუნტების ჯგუფში 3-წლიანი მუშაობის შემდეგ, — მე პირადად ვიღებდი გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხებოდა ზოგიერთი ქვეყნის პრეზიდენტს“.**

სოფი ჩანგმა პროპაგანდისტული კამპანიის მაგალითებად დაასახელა საარჩევნო კამპანია **აზერბაიჯანსა** და **ჰონდურასში,** მოიყვანა „ფეისბუკის“ ყალბი აკაუნტებიდან ყალბი მონაცემების გავრცელების ფაქტები ბოლივიაში, ბრაზილიაში, ინდოეთსა და და ეკვადორში გამართული არჩევნების დროს; ისაუბრა არჩევნების შედეგების მანიპულაციებზე უკრაინასა და ესპანეთში.

**კეტი პირსმა** კი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, რომელიც სწავლობს სოციალურ ქსელებსა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს აზერბაიჯანში, Buzz Fees News-ს განუცხადა, რომ „ფეისბუკი“, დიდი ხანია, სარგებლობს ყალბი ანგარიშებით კავკასიის ამ რესპუბლიკაში (აზერბაიჯანში) ოპოზიციისა და დამოუკიდებელი მასმედიისთვის ძირის გამოსათხრელად. ჩანგი თავის ანგარიშში, აგრეთვე, ლაპარაკობს ყალბი ანგარიშების ფართომასშტაბიან ქსელზე, რომელსაც კოვიდ-19-ის შესახებ ინფორმაციის მანიპულაციისთვის იყენებენ.

**როდესაც სოფი ჩანგი „ფეისბუკის“ ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილ მოხსენებაში წერდა მანიპულაციის ფაქტებზე, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, უბრალოდ, თავიდან იცილებდნენ და ამბობდნენ, რომ ასეთ რალაცებთან ბრძოლა პრიორიტეტული არ არის კომპანიისთვის.** ბოლოს და ბოლოს, კომპანიის ხელმძღვანელობამ სოფი ჩანგს განუცხადა, რომ წასულიყო. და ბოლო სამუშაო დღეს მან თავისი ჩანაწერი გამოაქვეყნა Workpleace-ს შიდა განცხადებების დაფაზე, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ თანამშრომლებისთვის. **სოფი ჩანგი „ფეისბუკის“ ერთადერთი თანამშრომელი არ არის, რომელმაც გიგანტური სოციალური ქსელის ჩონჩხებით სავსე კარადის კარი გამოაღო.** ამერიკულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა პორტალმა GIZMODO-მ 2016 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნა „ფეისბუკის“ რამდენიმე ყოფილი თანამშრომლის აღიარება. მათ განაცხადეს, რომ „ფეისბუკი“ „რეგულარულად მალავდა სიახლეებს, რომლებითაც დაინტერესდებოდნენ კონსერვატიულად განწყობილი მკითხველები“. მაგალითად, ამ სოცალური ქსელის თანამშრომლები არ ავრცელებდნენ ინფორმაციას **მიტ რომანის, რენდ პოლისა** და სხვა პოლიტიკოსების შესახებ.

„ფეისბუკის“ ახალი ამბების განყოფილება ისე მუშაობს, როგორც ახალი ამბების ტრადიციული რედაქცია და ასახავს კორპორაციის ინსტიტუციურ იმპერატივებს, — აღნიშნავს GIZMODO-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი **მაიკლ ნუნიესი,** — ეს მკვეთრ კონტრასტშია კომპანიის მტკიცებასთან იმის შესახებ, რომ მოდული „ტრენდები“ მხოლოდ ჩამოთვლის იმ „ფესბუკში“ პოპულარულ თემებს“. შემდეგ **ნუნიესი წერს, რომ „ფეისბუკის“ ახალი ამბების განყოფილების კურატორებს ხელი მიუწვდებათ იმ აქტუალური თემების რანგირებაზე, რომლებიც „ფეისბუკის„ ალგორითმმა აღმოაჩინა. აი სწორედ ეს ალგორითმი განსაზღვრავს თემატურ პრიორიტეტებს, რა უნდა აჩვენოს „ფეისბუკის“ მომხმარებლებს განყოფილება „ტრენდში“.**


მარკ ცუკერბერგი

**სოფი ჩანგმა პროპაგანდისტული კამპანიის მაგალითებად დაასახელა საარჩევნო კამპანია აზერბაიჯანსა და ჰონდურასში, მოიყვანა «ფეისბუქის» ყალბი აკაუნტებიდან ყალბი მონაცემების გავრცელების ფაქტები ბოლივიაში, ბრაზილიაში, ინდოეთსა და ეკვადორში გამართული არჩევნების დროს; ისაუბრა არჩევნების შედეგების მანიპულაციებზე უკრაინასა და ესპანეთში**




მაგალითად, მოძრაობა Black Lives Matter-ი სპეციალურად ჩანერგეს „ფეისბუკის“ პოპულარული ახალი ამბების მოდულში მას შემდეგ, რაც **მარკ ცუკერბერგმა** მხარი დაუჭირა ამ მოძრაობას კომპანიის შიდა ქსელში თანამშრომლებისთვის გავრცელებულ წერილში. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში „ფეისბუკის“ მანიპულაციებზე წერდა გამოცემა The Hill-ი. Busines Insedor-მა კი მკითხველებს შეახსენა, რომ „2012 წელს მონაცემების სპეციალისტებმა ექსპერიმენტის ფარგლებში ერთი კვირის განმავლობაში „ფეისბუკში“ წაშალეს 600 ათასი ადამიანის ყველა დადებითი და უარყოფითი კომენტარი, რათა დაენახათ, როგორ იმოქმედა მან მათ განწყობაზე“.

**„ფეისბუკის“ პოლიტიკურ მიკერძოებულობას გმობენ ამერიკის სხვადასხვა პოლიტიკური ბანაკის წარმომადგენლები, — იუწყება The New York Times-ი. ცნობილმა ჟურნალისტმა გლენ გრინვალდმა აზრი გამოთქვა ამ საკითხზე: „ეს შეხსენებაა სილიკონის ველის კონტროლის საფრთხეზე“.**

ცუკერბერგმა „ფეისბუკის“ მომხმარებლებს საკუთარი ცენზურა დაუწესა ალგორითმებისა თუ ტროლების საშუალებით, რომლებიც გამოარჩევდნენ კომენტარებს, — წერს The Woll Street Journal-ი.

ამა წლის მარტში „ფეისბუკმა“ გააუქმა რამდენიმე ათასი ხელმოწერა, რომლებიც დატოვეს პოლონელებმა **ლეხ ვალენსას** მოწოდების შემდეგ, შეეგროვებინათ ხელმოწერები პოლონეთის პრეზიდენტ **ანჯეი დუდას** მეორე ვადით არჩევის წინააღმდეგ. „ეს ცენზურაა“, — დაწერა ვალენსამ და თავის გვერდზე განათავსა სკრინშოტი (მონიტორის ეკრანის გამოსახულება), რომელზეც ჩანს, როგორ აუწყებენ ადმინისტრატორები მომხმარებელს, რომ მისი პოსტი არ შეესაბამება თანამეგობრობის სტანდარტებს. **„ფეისბუკი“ მხილებულია არა მხოლოდ ცენზურასა და მიკერძოებაში, არამედ თავისი რესურსებისა და გავლენის გამოყენებაში პოტენციური კონკურენტების გასანადგურებლად. კერძოდ, „ფეისბუკმა“, კონკურენტული ბრძოლის ნაცვლად, მანამდე იყიდა და შეიერთა სტარტაპები (Instagram-ი, WhatsApp-ი), სანამ მათ მოასწრეს ძალის მოკრება. ამაზე იყო მსჯელობა 29 ივლისს აშშ-ის კონგრესში ანტიმონოპოლიურ საქმეზე გამართულ მოსმენაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ Facebook-ი, Apple, Google და Amazon-ი.**

ამ მოსმენაზე 6 საათის განმავლობაში უსვამდნენ კითხვებს IT-კორპორაციების გენერალურ დირექტორებს — **მარკ ცუკერბერგს, ტიმ კუკს, სუნდერ პიჩაისა** და **ჯეფ ბეზოსს.** ისინი არაკეთილსინდისიერ კონკურენციაში დაადანაშაულეს. აშშ-ის ანტიმონოპოლიური სამსახურები მთელი წლის განმავლობაში აგროვებდნენ მასალებს ამ ოთხი კორპორაციის საქმიანობაზე, კონგრესის განკარგულებაში იყო 1,3 მლნ დოკუმენტი. **ცუკერბერგს აჩვენეს მისი 2012 წლის წერილი თანამშრომლებისადმი, რომელიც Instagram-ის შეძენის შემდეგ დაწერა: „ჩვენ ყოველთვის შევძლებთ, ვიყიდოთ ნებისმიერი კონკურენტი სტარტაპი, მაგრამ ბევრი დრო გავა, სანამ Google-ს შეძენას შევძლებთ“. „ფეისბუკის“ ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არ ახსოვს ეს წერილი.**

Fondsk.ru-ზე გამოქვაეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**«ფეისბუკი» მხილებულია არა მხოლოდ ცენზურასა და მიკერძოებაში, არამედ თავისი რესურსებისა და გავლენის გამოყენებაში პოტენციური კონკურენტების გასანადგურებლად. კერძოდ, «ფეისბუკმა», კონკურენტული ბრძოლის ნაცვლად, მანამდე იყიდა და შეიერთა სტარტაპები (Instagram-ი, WhatsApp-ი), სანამ მათ მოასწრეს ძალის მოკრება. ამაზე იყო მსჯელობა 29 ივლისს აშშ-ის კონგრესში ანტიმონოპოლიურ საქმეზე გამართულ მოსმენაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ FACEBOOK-ი, APPLE, GOOGLE და AMAZON-ი**



ლეხ ვალენსა

„მიგრანტები შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას... ადამიანებით ვაჭრობა, ძარცვა, თავდასხმა... ვითარება სულ უფრო კრიტიკული ხდება“, — ასე აღწერს IL GIORNALE რომში შექმნილ ვითარებას. როგორც მასმედია აღნიშნავს, დღეს იტალიაში არჩევნები რომ ტარდებოდეს, გაიმარჯვებდა მემარჯვენე კოალიცია სალვინის მეთაურობით.

მულტიკულტი-რიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპის თვითმკვლელობა

**„ევროპის თვითმკვლელობა“, „პაქტი ეშმაკთან“ — ეს სიტყვები გამოიყენა ფრანგმა პოლიტიკოსმა, პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერმა მარინ ლე პენმა სექტემბრის ბოლოს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი „მიგრაციისა და თავშესაფრის პაქტის“ შეფასებისას. დოკუმენტი ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთო პასუხისმგებლობას ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყანაში მიგრანტების მიღებისა და დაბრუნების საკითხში. ამით „სოლიდარობისა“ და ადამიანის უფლებების დაცვის საბაბით წაქეზებულია ევროპაში უცხო კულტურის წარმომადგენელთა შეღწევა.**


ემანუელ მაკრონი

მარინ ლე პენის განცხადებით, ევროკომისია ცდილობს, ევროპას თავს მოახვიოს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი გადასახლება.

**„60-დან 70 მილიონამდე მიგრანტი შეიძლება დასახლდეს ევროპაში, რაც გამოიწვევს ჩვენი სოციალური სისტემების ნგრევას, უმუშევართა რაოდენობის მატებასა და საცხოვრებლის დეფიციტს, დანაშაულისა და კონფლიქტების რაოდენობის მატებას, ისლამიზმის გავრცელებასა და ტერორისტულ რისკებს, აგრეთვე, დაეჭვებას ჩვენი ცივილიზაციის ფასეულობებში“.**

ამ განცხადებამ საფრანგეთში საზოგადოების მწვავე რეაქცია გამოიწვია. **მარინ ლე პენი** თავისი ანტიმიგრაციული პოლიტიკით ლიდერია ქვეყანაში უკვე დაწყებული 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისში. სოციოლოგიური სამსახურის — IFOP-ის კვლევის თანახმად, 2022 წლის არჩევნების პირველ ტურში ლიდერები იქნებიან **ლე პენი** (ხმების 24-27%) და **ემანუელ მაკრონი** (23-26%). ეს 2017 წლის არჩევნების პირველი ტურის თითქმის ზუსტი გამეორებაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იმხანად მაკრონი ლიდერობდა.

საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი ამჟამად ინიციატივის ხელში ჩაგდებასა და მარინ ლე პენის თეზისების მითვისებას ცდილობს. **პარიზთან ახლოს მდებარე ლე-მიუროში მაკრონი ქვეყანაში „ეთნიკური გეტოს“ ჩამოყალიბების წინააღმდეგ გამოვიდა და წარმოადგინა „ისლამისტური სეპარატიზმის ალაგმვის“ გეგმა. მაკრონი ამბობს, რომ საფრანგეთისთვის დღეს მთავარი პრობლემა ისლამური სეპარატიზმია, ამიტომ პარიზს განზრახული აქვს, რესპუბლიკის ფასეულობების შესაბამისად ჩაერიოს საფრანგეთში იმამების სწავლების პროცესში. ოღონდ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს.**

ოფიციალური მონაცემების თანახმად, **მორწმუნეთა რაოდენობით ისლამი საფრანგეთში მეორე რელიგიაა კათოლიციზმის შემდეგ, თუმცა გამოთვლები პირობითია. მუსლიმური დიასპორა, რომელიც მიგრანტების მეორე-მესამე და მეოთხე თაობებისგან შედგება, სხვადასხვა შეფასებით, 4,1-დან 8,4-მდე მილიონს შეადგენს, ექსპერტთა პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისთვის საფრანგეთის მოსახლეობის მეხუთედი მუსლიმი იქნება...**

მაკრონის სიტყვაში ბევრმა დაინახა მცდელობა, ლე პენს წაართვას მთავარი კოზირი, მაგრამ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მეთაური ამ პრობლემაზე საჯაროდ ალაპარაკდა, მიუთითებს ქვეყანაში „ეთნიკური გეტოების“ აღმოცენებით შექმნილ იმ მძიმე რეალობაზე, რომელიც საფრანგეთს მხრებზე დააწვა.

**„ყველაფრის მიუხედავად, ისლამიზაციასთან მაკრონის ბრძოლა სიტყვებს იქით არ მიდის“,** — წერს Le Figaro-ს მიმომხილველი **ერიკ ზემური.** ამას განაპირობებს არა მხოლოდ მაკრონის სურვილი, არჩევნების წინ მოიგოს როგორც მემარჯვენეების, ისე მემარცხენეების გული, არამედ ისიც, რომ საფრანგეთის ხელისუფლება უარს ამბობს, ერთმანეთთან დააკავშიროს ისლამიზმი და მასობრივი მიგრაცია.

«60–დან 70 მილიონამდე მიგრანტი შეიძლება დასახლდეს ევროპაში, რაც გამოიწვევს ჩვენი სოციალური სისტემების ნგრევას, უმუშევართა რაოდენობის მატებასა და საცხოვრებლის დეფიციტს, დანაშაულისა და კონფლიქტების რაოდენობის მატებას, ისლამიზმის გავრცელებასა და ტერორისტულ რისკებს, აგრეთვე, დაეჭვებას ჩვენი ცივილიზაციის ფასეულობებში»

სანამ პრობლემად არ აღიარებენ მუსლიმების უზარმაზარ რაოდენობას ფრანგულ მიწაზე, მანამ რადიკალურ ისლამიზმთან ბრძოლა ფუჭი იქნება.

მასობრივი მიგრაციის პრობლემა ყურადღების ცენტრშია **იტალიაში**, სადაც კიდევ უფრო მოიმატა მიგრაციის გააფთრებული მოწინააღმდეგის, პარტია „ლიგის“ ლიდერ **მატეო სალვინის** პოპულარობამ. არალეგალი მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციით დღეს სავსეა იტალიური გაზეთები. **„მიგრანტები შიშის ზარს სცემენ მოსახლეობას... ადამიანებით ვაჭრობა, ძარცვა, თავდასხმა... ვითარება სულ უფრო კრიტიკული ხდება“, — ასე აღწერს IL GIORNALE რომში შექმნილ ვითარებას. როგორც მასმედია აღნიშნავს, დღეს იტალიაში არჩევნები რომ ტარდებოდეს, გაიმარჯვებდა მემარჯვენე კოალიცია სალვინის მეთაურობით.**


მარინ ლე პენი მწვავედ აკრიტიკებს მასობრივ მიგრაციას

არანაკლებ მწვავედ დგას მიგრაციის პრობლემა **საბერძნეთში.** ამ ქვეყნის კუნძულებზე მცხოვრები მოსახლეობა შეწუხებულია მიგრანტების ნაკადებით, რომლებიც ნავებითა და გემებით ცდილობენ კუნძულზე გადასხდომას.

**დღეს, პრაქტიკულად, ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომლებიც თავიანთი ეკონომიკის განვითარებას იაფი მუშახელის მიზიდვითა და ე.წ. მულტიკულტურიზმის დანერგვით ცდილობენ, ფართოვდება ეთნიკური ანკლავები, ეს არის სახელმწიფოები სახელმწიფოში თავიანთი წეს-ჩვეულებებით, ხშირად ძალიან განსხვავებულით იმისგან, რაც მიგრანტების მიმღებ ქვეყნებშია. ევროპაში არაევროპელი ეთნოსების წარმომადგენელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს.**

ჯინი უკვე გამოშვებულია ბოთლიდან. ევროპაში გადასახლებულ აფრო-აზიელებს არ სურთ, ვინმემ რამით შეზღუდონ:

**„მაკრონის განცხადება ისლამის „მოწესრიგებისა“ და მოდერნიზაციის შესახებ, თავხედობაა, რომელიც სცდება პატივისცემის ჩარჩოებს. შენ ვინ ხარ, ისლამის მოწესრიგებაზე რომ ილაპარაკო?! მე უკვე გაგიმეორე: ცხვირი არ ჩაყო საქმეში, რომელიც არ იცი! ჩვენ ველით, რომ ისე მოიქცევი, როგორც პასუხისმგებლიანი სახელმწიფო მოღვაწე — აწონ-დაწონი სიტყვებს და ისე არ ილაპარაკებ, როგორც კოლონიის გუბერნატორი!“ — ასე უპრეცედენტოდ უხეშად უპასუხა ერდოღანმა მაკრონს. და საფრანგეთმა ჩაყლაპა.**

თუ დავუბრუნდებით მარინ ლე პენის სიტყვებს „ეშმაკთან პაქტის“ შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი აზრი ცოტა მორიდებით გამოხატა, როცა განაცხადა ფრანგული ცივილიზაციის „ფასეულობებში ეჭვის შეტანაზე“. ეს ფასეულობები, დიდი ხანია, კითხვის ნიშნის ქვეშაა. ისინი უკვე სანახევროდ დანგრეულია და უცხოელები, რომლებიც ევროპაში სახლდებიან ევროპის თანხმობით, ბოლომდე იბრძოლებენ. ისინი არაფერს დათმობენ.

**Fendsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



მიგრანტები საფრანგეთში


საბერძნეთის კუნძულ ლესბოსზე მიგრანტების ბანაკს ცეცხლი წაუკიდეს

ეროზიის პროცესი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის ისტებლიშმენტის კონსერვატიულმა ფრთამ თავისი მედიასაშუალებების მეშვეობით წინა პლანზე წამოსწია საკითხი აშშ-სა და თურქეთს შორის სამოკავშირეო ურთიერთობის შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე, რადგან ვარაუდობს, რომ ნატოში თურქეთი მეხუთე კოლონად იქცა და მუდმივი მხოლოდ ალმასია, ალიანსები კი არასდროს არ არის მუდმივი.**

# რატომ იშლება აშშ-თურქეთის კავშირი

## ნატოს ეროზიის პროცესი დაწყებულია, მაგრამ მას აშშ ხელს ვერ შეუშლის

**თურქეთს საერთაშორისო პოლიტიკაში შანტაჟისტის რეპუტაცია აქვს. და მართლაც, რომელი მხრიდანაც უნდა შეხედო თურქეთის პოლიტიკას მოკავშირეების, პარტნიორების თუ მოწინააღმდეგეების მიმართ, ყველგან ჩანს შანტაჟი, როგორც სტრატეგიის საფუძველი. თურქეთი აცნობიერებს თავის მნიშვნელობას მათთვის, ვისთანაც იწყებს ურთიერთობას და ყოველთვის მიმართავს შანტაჟს სარგებლისა და მიზნების მისაღწევად.**



საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის ისტებლიშმენტის კონსერვატიულმა ფრთამ თავისი მედიასაშუალებების მეშვეობით წინა პლანზე წამოსწია საკითხი აშშ-სა და თურქეთს შორის სამოკავშირეო ურთიერთობის შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე, რადგან ვარაუდობს, რომ ნატოში თურქეთი მეხუთე კოლონად იქცა და მუდმივი მხოლოდ ალმასია, ალიანსები კი არასდროს არ არის მუდმივი.

**ამერიკელები მკაფიოდ წარმოაჩენენ მოკავშირეობის მიზანშეწონილობის კრიტერიუმს. მათი აზრით, კავშირი ისეთ ქვეყანასთან, „რომელიც ხელს არ უწყობს აშშ-ის უსაფრთხოების განმტკიცებას“, უაზრობაა. ბოლო ხუთი წელია, თურქეთი ყველაფერს აკეთებს აშშ-ის ინტერესების შესაზღუდავად და ამცირებს მის უსაფრთხოებასა და ჰეგემონიას. და ჩნდება კითხვა — სჭირდება კი ასეთი მოკავშირე აშშ-ს?** თურქეთი ნატოს უსაფრთხოების ბურჯია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში. როგორც ნატოს წევრი, ის ზღუდავდა საბჭოთა კავშირის ფლოტის გადაადგილებას შავ და ხმელთაშუა ზღვებში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ინჯირლიყსა და იზმირში აშშ-ის ავიაბაზებს სამხედრო ოპერაციების გასაფართოებლად იყენებდა, მაგრამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ თურქეთი ამერიკის იმპერიის დარაჯად იქცა გაურკვეველი ვალდებულებებით ჰეგემონის წინაშე.

**ნატოში თურქეთის შესვლამ დასავლეთი აიძულა, თვალი დაეხუჭა ამ ქვეყნის ბევრ შეუსაბამობაზე ამერიკულ მოთხოვნებთან. თურქეთის პოლიტიკურ სისტემაზე სამხედროების გავლენა აშშ-ისთვის სახიფათო იყო, რადგან ართმევდა თურქეთის პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედების ბერკეტებს — თურქი სამხედროები განსაკუთრებული კასტაა, მიუხედავად მათთვის ტვინების ტოტალურად გამორეცხვისა ამერიკულ აკადემიებში, მაინც ათათურქის იდეების მომხრეებად რჩებიან.**

ამერიკელები რამდენჯერმე შეეცადნენ, თურქეთის პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციას. დიპლომატიური არხების მეშვეობით მოლაპარაკებები რთული იყო, ამერიკელებმა მათრახი და თაფლაკვერი გამოიყენეს. ავტორიტეტული რეჟიმის ხარისხი შემცირდა და ის „ისლამური დემოკრატიის“ ნიმუშად იქცა.

მაგრამ თურქეთსა და საბერძნეთს შორის კონფლიქტი ყოველთვის ქმნიდა პრობლემებს ნატოში. როცა 1974 წელს თურქეთმა კვიპროსის ნაწილი დაიპყრო, აშშ-ის კონგრესმა იარაღის მიწოდება აკრძალა თავისი ჭირვეული ვასალისთვის. სიუზერენის თავის ტკივილი ყოველთვის იყო თურქეთში სამხედროების ძლიერი გავლენისა და სუსტი ეკონომიკის შეთავსება. თურქეთი მიისწრაფვოდა ევროკავშირისკენ. და, **როცა ხელისუფლების სათავეში ერდოღანი მოვიდა, ქვეყანა ზომიერად რელიგიური, ლიბერალური და პროდასავლური იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ის გაიხრწნა, ქვეყანაში აყვავდა კორუფცია, გამყარდა რელიგიური და ავტორიტარული ტენდენციები. დასავლეთისგან თურქეთის იზოლაციის პროცესი დაიწყო 2016 წელს, ერდოღანზე თავდასხმის შემდეგ, რომელსაც აშშ-ში ერდოღანის მიერ ოპოზიციის განადგურების მიზნით ინსცენირებული უწოდეს.**

დასავლეთის მიერ შექმნილი „თურქული დემოკრატია“ ნეოოსმალეთისკენ თურქეთის დრეიფის გამო დაიკარგა. აშშ-მა თურქეთზე გააძლიერა წნეხი **არასამთავრობო ორგანიზაციების სახით — სახელმწიფო დეპარტამენტი ალაპარაკდა ადამიანების გაუჩინარებაზე, დაპატიმრებებსა და წამებაზე, Freedom House-მა კი თურქეთს „არათავისუფალი ქვეყნის“ სტატუსი მიანიჭა.**

აშშ-ისა და თურქეთის კონფლიქტი კიდევ უფრო გაფართოვდა, როცა ამერიკელები შეეცადნენ, სირიაში საყრდენი ძალის სტატუსი ქურთებისთვის მიენიჭებინათ. ეს თურქეთს ტერიტორიული პრობლემების შექმნით ემუქრება. **აშშ-ის გეგმა სირიის, ერაყისა და თურქეთის ტერიტორიებზე ქურთების სახელმწიფოს შექმნის შესახებ ანკარას ვაშინგტონის მოწინააღმდეგედ აქცევს, მიუხედავად ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური დამოკიდებულებისა.**

ქურთების გამო აშშ-ისა და თურქეთის კონფლიქტი პრინციპულია ორივე ქვეყნისთვის და მისი მოგვარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე უარს იტყვის თავის განზრახვაზე, ე.ი., აღიარებს დამარცხებას, რაც ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია. **თურქეთი დარწმუნებული არ არის თავის უსაფრთხოებაში აშშ-თან კავშირით და პირიქით — აშშ-ს უკვე აღარ სჯერა, რომ თურქეთთან კავშირი პრობლემებს არ შეუქმნის მის უსაფრთხოებას.**

ცეცხლზე ნავთს ასხამს თურქეთის კონფლიქტი ნატოს ქვეყნებთან და ისრაელთან ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთში. სამხედრო მუქარა კვიპროსისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, კონფლიქტი საფრანგეთთან, ნატოში ანტითურქული ბლოკის შექმნა — ეს მუქარები საშუალებას აძლევს აშშ-ს, შეინარჩუნოს კონტროლი სამხედრო კავშირებზე.

**თურქეთის სამხედო ავანტიურიზმი პრობლემებს უქმნის აშშ-ს. როცა თურქეთმა რუსეთის თვითმფრინავი ჩამოაგდო იმის გამო, რომ შემთხვევით შეიჭრა მის საჰაერო სივრცეში, აშშ და ნატო ბირთვული იარაღის მქონე რუსეთთან შეჯახების საფრთხის წინაშე დადგნენ.** თურქეთი თანამიმდევრულად ითრევს დასავლეთს თავის კონფლიქტებში და ეს ძალიან არ მოსწონს დასავლეთს. გარდა იმისა, რომ რუსეთი, რომელიც ძლიერდება, საფრთხეს უქმნის აშშ-ის ჰეგემონიას მსოფლიოზე, თვითონ თურქეთიც არ აპირებს მორჩილებას. **სკანდალური იყო თურქეთის მიერ რუსული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის — C-400-ების შესყიდვა. ამის გამო აშშ-მა შეწყვიტა თურქეთისთვის F-35 თვითმფრინავების მიწოდება. პასუხად თურქეთმა გააძლიერა აქტიურობა ლიბიასა და სირიაში, სადაც კონტროლი დაამყარა ოპოზიციონერთა ნაწილზე, რომელზეც გავლენის მოპოვება აშშ-ს სურდა.** ამასთანავე, გაიყვანა გაზსადენი „თურქული ნაკადი“ და აშენებს ატომურ ელექტროსადგურს რუსეთის დახმარებით.

თურქეთის მიერ დასავლეთის წინაშე ჩადენილი ცოდვების გვირგვინია ანკარის მიერ სამხედრო მოქმედებების ინიცირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღის გამო. აშშ-ს არ აქვს გარანტია, რომ თურქეთი გაიმარჯვებს ამ კონფლიქტში და მისი მხრებით შეაღწევს ამიერკავკასიაში (ასე ესმის აშშ-ს სამოკავშირეო ურთიერთობები). **ამ კონფლიქტში თურქეთის დამარცხება რუსეთის გავლენას გააძლიერებს რეგიონში, რაც აშშ-ის მიერ ბოლო ორ ათწლეულში შემუშავებული გლობალური გეგმების ნგრევას გამოიწვევს. შედეგად აშშ თურქეთს უკვე ხედავს არა როგორც ძლიერ, არამედ როგორც სუსტ რგოლს.**

თურქეთი მიაჩნიათ პოტენციურ მოღალატედ და კოლაბორაციონისტად, რომელსაც შეუძლია, საფრთხის მომენტში ნებისმიერს ჩასცეს ზურგში მახვილი. აშშ-ში სვამენ კითხვას: შეუძლია კი თურქეთს, ომი გამოუცხადოს რუსეთს, რათა, მაგალითად, დაეხმაროს ნატოს ბალტიისპირეთში? ჩანს, იქ დარწმუნებულნი არიან, რომ არა. ეს კი ნიშნავს, რომ ნატოს ზურგი სამხრეთში მოშიშვლებულია, — მიიჩნევენ პენტაგონში. **ერდოღანმა არა მხოლოდ ჩამოართვა აშშ-ს კონტროლი „ისლამურ სახელმწიფოსა“ და პროამერიკულად განწყობილი ქურთების არაბ მოწინააღმდეგეებზე, არამედ ნატოელ მოკავშირეებსა და ევროკავშირელ პარტნიორებს ომით ემუქრება; აშშ-ის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თანამშრომლობს ისრაელის მტერ „ჰამასთან“; არღვევს გაეროს მიერ დაწესებულ ემბარგოს იარაღის მიწოდებაზე და უპირისპირდება საფრანგეთისა და საბერძნეთის ფლოტებს; აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის ინტერესების საზარალოდ ხელს უწყობს ომის ხანძრის გაღვივებას ლიბიაში.** უფრო მეტიც, ერდოღანის ქმედებები, ვითარებიდან გამომდინარე, იწვევს რუსეთის, საფრანგეთის, ეგვიპტისა და გაერთიანებული არაბული საამიროების მოკავშირეობას, რაც აშშ-ს აიძულებს, აქტიურად ჩაერიოს ვასალების კონფლიქტში ხმელთაშუა ზღვაში კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

**ერდოღანმა არა მხოლოდ ჩამოართვა აშშ-ს კონტროლი «ისლამურ სახელმწიფოსა» და პროამერიკულად განწყობილი ქურთების არაბ მოწინააღმდეგეებზე, არამედ ნატოელ მოკავშირეებსა და ევროკავშირელ პარტნიორებს ომით ემუქრება; აშშ-ის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ თანამშრომლობს ისრაელის მტერ «ჰამასთან»; არღვევს გაეროს მიერ დაწესებულ ემბარგოს იარაღის მიწოდებაზე და უპირისპირდება საფრანგეთისა და საბერძნეთის ფლოტებს; აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორის ინტერესების საზარალოდ ხელს უწყობს ომის ხანძრის გაღვივებას ლიბიაში**

ამერიკელთა აზრით, თურქეთი მოკავშირე ქვეყნიდან აგრესორად იქცა. ერდოღანის რიტორიკა ძაბავს აშშ-ს. **თურქეთის ლიდერი ამბობს, რომ მსოფლიო დღის წესრიგი დამახინჯებულია და პლანეტას მართავს რამდენიმე ხარბი ადამიანი, რომლებიც თურქეთისგან მოითხოვენ, თავისი სანაპირო ზოლიდან არ გავიდეს. აშშ-ის აზრით კი, ეს დაუშვებელი რევიზიონიზმია მოკავშირის მხრიდან. აშშ იმედგაცრუებულია ერდოღანითა და მისი კურსით ახალი ოსმალეთის იმპერიისკენ.** თურქეთს უკვე აღარ აღიარებენ უწინდელ მოკავშირედ. დასავლეთმა არ იცის, სადამდე შეიძლება მივიდეს თურქეთი თავისი ომებით ევროკავშირსა და რუსეთთან, ამ ომებში აშშ-ის ჩართვის რისკით.

**დასავლეთში ერდოღანს ნდობადაკარგულად მიიჩნევენ და მისი წასვლა სურთ გამოვლენილი ანტაგონიზმის, ისლამიზმისა და ნაციონალიზმის გამო. მაგრამ იქ ისიც ესმით, რომ სწორედ ამის გამო აქვს ერდოღანს ძლიერი მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით. და იქ სახელმწიფო გადატრიალების შანსი ნულის ტოლია.** ერდოღანი ჯერ კიდევ არ არის ხანდაზმული პოლიტიკოსი, 66 წლისაა, ამიტომ ხანგრძლივ ფაქტორად მიიჩნევენ.

თუ აშშ თავს განზე გადგომის უფლებას მისცემს, მისი გლობალური მისია დასრულდება, ხოლო, თუ მას ვასალები ომში ჩაითრევენ, ამ შემთხვევაშიც დასრულდება მისი მისია, ოღონდ სხვაგვარად. ეს კი ნიშნავს, რომ აშშ შეურიგდება თურქეთს და მას ნატოდან გასვლის საშუალებას არ მისცემს, მაგრამ მისი სტრატეგიის შეცვლას ვერ შეძლებს.

აშშ მიიღებს თურქეთს, როგორც არასაიმედო მოკავშირეს, და იმუშავებს მასთან შესაძლებლობის მიხედვით, ოღონდ მისცემს თუ არა მას ერდოღანი ასეთ შესაძლებლობებს, საკითხავი ეს არის.

ნატოს ეროზიის ხანგრძლივი პროცესი დაწყებულია, რადგან მუდმივი ალიანსი არ არსებობს. თურქეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტს კონსტრუქციული გადაწყვეტა არ აქვს და მას აშშ წინ ვერ აღუდგება.

**ალექსანდრე ხალდეი**

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნეოლიბერალური ზნეობა



## გერმანიაში არ მოსწონთ, როცა ბავშვებს შავკანიან მოგვებად წარმოგვიდგენენ

**გერმანიაში კათოლიკური ქრისტეშობის ზეიმზე ბავშვები მცირე სცენებს დგამენ, განასახიერებენ მოგვებს და ალილოზე ჩამოივლიან ხოლმე. ქრისტიანული იკონოგრაფიის თანახმად, ერთ-ერთი მოგვი მავრი იყო.**

მაგრამ წლეულს, როგორც ჩანს, ამ საუკუნოვან ტრადიციაზე უარს იტყვიან. ულმის რეგიონულმა განყოფილებამ დაგმო ბავშვებისთვის სახეზე შავი მაკიაჟის გაკეთება, რითაც სოლიდარობა გამოუცხადა ანტირასისტულ მოძრაობას „შავკანიანების ცხოვრება მნიშვნელოვანია“, რომელმაც გასულ ზაფხულს აშშ-ში რადიკალური ხასიათი მიიღო.

**„კანის ფერის გაიგივება წარმომავლობასთან დღეს მიუღებელია“,** — განაცხადა **საბრინა ასისმა** ულმის ბავშვთა მისიიდან.

ინიციატივას მხარი დაუჭირა ვიუტენბურგის ეპისკოპოსმა **ფრანკ ოტფრიდ იულიმ. „გზა, რომელიც ამჟამად ულმაში აირჩიეს, უპერსპექტივოა“,** — თქვა მან.

ცოტა ხნის წინათ გერმანიაში გამართული რასიზმის საწინააღმდეგო დებატები ტოპონიმების გადარქმევის მოძრაობაში გადაიზარდა. ბერლინში აპირებენ, სახელი შეუცვალონ **მარტინ ლუთერის** ქუჩას იმიტომ, რომ იგი ვერ იტანდა ებრაელებსა და მუსლიმებს. ინიციატორები მოითხოვენ, ქუჩას შუა საუკუნეების კუდიანი ქალის სახელი მიანიჭონ.



## ინგლისის ეკლესიას ბრალი დასდეს ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტების დამალვაში

**ინგლისის ეკლესიამ თავი ვერ გაართვა სექსუალური დანაშაულისგან ბავშვების დაცვის საქმეს და წლების განმავლობაში მფარველობდა დამნაშავეებს, — ნათქვამია ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემსწავლელი დამოუკიდებელი ჯგუფის მოხსენებაში.**



„ათწლეულების განმავლობაში ინგლისის ეკლესია ვერ ახერხებდა ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვას მათგან, ვინც სექსუალურ დანაშაულს სჩადიოდა. ამის ნაცვლად ეკლესიამ შექმნა კულტურა, რომელშიც დამნაშავეებს დამალვა შეეძლოთ, მსხვერპლნი კი აბრკოლებენ ინფორმაციის გასაჯაროებსს“, — ამბობს გამოძიების ხელმძღვანელი, პროფესორი **ალექსის ჯეი.**

მოხსენების ავტორები აღნიშნავენ, რომ 1940-იანი წლებიდან 2018 წლამდე ეკლესიის 390 წარმომადგენელი ან ეკლესიასთან დაკავშირებული ნდობის ჯგუფების წევრები ბავშვების წინააღმდეგ დანაშაულში იყვნენ შემჩნეულნი.

მაგრამ ამ შემთხვევებს შორის ბევრს ეკლესია დანაშაულად არ მიიჩნევდა, დამნაშავეებს უფრო უჭერდნენ მხარს, ვიდრე დაზარალებულებს. ამის ერთ-ერთ მაგალითად მოხსენებაში დასახელებულია მანჩესტერის ტაძრის წინამძღვრის, **რობერტ უოდინგტონის,** საქმე. ამ ღვთისმსახურს ეს თანამდებობა 1984-დან 1993 წლამდე ეკავა. გარდაიცვალა ონკოლოგიური სნეულებით 2007 წელს. 1999 წელს მას იორკელ არქიეპისკოპოს **დევიდ ჰოუპთან** უჩივლეს (ამჟამად იგი ლორდთა პალატის წევრია), მაგრამ არქიეპისკოპოსმა განაცხადა, რომ უოდინგტონი ასე არ მოიქცეოდაო.

მოხსენებაში მითითებულია ისიც, რომ სასულიერო პირებს ახალ თანამდებობებზე ამწესებდნენ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჩადენის მიუხედავად.

**„ეკლესია თავისი რეპუტაციის დაცვას ამჯობინებდა, სერიოზულად არ აღიქვამდა უმწეოთა შეურაცხყოფის ფაქტებს, შექმნა კულტურა, რომელსაც დამნაშავეები პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად იყენებდნენ“,** — ნათქვამია მამხილებელ მოხსენებაში.

ცნობილია, რომ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ ინგლისის ეკლესიამ მომხდარის გამო ბოდიში მოიხადა.

„მოხსენება გამაოგნებელია. ეკლესიამ დასკვნები უნდა გამოიტანოს ამ გამოკვლევიდან“, — ნათქვამია ჰადერფილდის ეპისკოპოსის — **ჯონათან გიბსის** განცხადებაში, რომელიც მან მთელი ეკლესიის სახელით გააკეთა.

## «ფიგაროს» მიმომხილველი: საფრანგეთში ფემინიზმს მამაკაცების მიმართ სიძულვილი ჩაენაცვლება

## უკვე ლაპარაკია არა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე, არამედ ბრძოლაზე ძლიერი სქესის წინააღმდეგ




**რადიკალური ფემინისტების მიერ დაწერილი სტატიები, რომლებიც მამაკაცების მიმართ სიძულვილით იყო გაჯერებული და ახლახან გამოქვეყნდა საფრანგეთში, კეთილმოსურნეობით აღიქვა პროგრესულმა საზოგადოებამ, — აღნიშნავს გაზეთ „ლე ფიგაროს“ მიმომხილველი პოლ მელენი. „პოლიტკორექტულ მსოფლიოში თეთრკანიანი მამაკაცი გააფთრების ერთადერთ მისაღებ ობიექტად რჩება“, — ასკვნის პუბლიცისტი.**

რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის საზოგადოებრივ განსჯა-კამათში ორი ქალი, რადიკალური პროგრესისტები — **ალის კოფენი** და **პოლინ არმანჟი** შეიჭრნენ, — შეგვახსენებს პუბლიცისტი პოლ მელენი. „ზიზღით გამსჭვალული პამფლეტების“ ავტორები, კოფენი და არმანჟი, მამრობით სქესს ებრძვიან.

მათგან პირველი **თავის წიგნში „ლესბოსური გენია“ წერს: „საკმარისი არ არის მხოლოდ ის, რომ გვეხმარებიან, ჩვენ უნდა მოვსპოთ ისინი“. მხედველობაში მამაკაცები ჰყავს.**

მეორე ქალბატონი თავის ნაწარმოებში „მე მძულს“ აცხადებს, რომ **„მამაკაცების მიმართ სიძულვილი გზას გვიხსნის ქალების სიყვარულისკენ (და საკუთარი თავის მიმართაც) ყოველგვარ ფორმაში, რომლის მიღებაც კი შეუძლიათ“.**

როგორც პუბლიცისტი აღნიშნავს, **ორივე აქტივისტი ქალის თეზისები სრულად ეთანადება „კაცთმოძულეობის“ ახალ მიმდინარეობას, რომელიც აშშ-ში წარმოიქმნა. ახალ ფემინისტებს მამაკაცები სძულთ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ ბიოლოგიურ სქესს, რომელმაც მდედრთა სიძულვილის საწინააღმდეგოდ უნდა იხსნას ქალები „მამაკაცთა ბატონობის მარადიული უღლისგან“.**

ამრიგად, უკვე ლაპარაკია არა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე, არამედ ბრძოლაზე ძლიერი სქესის წინააღმდეგ, — ხაზს უსვამს მიმომხილველი.

ალის კოფენი, რომელიც მწვანეთა პარტიიდან პარიზის საბჭოს წევრია, წერს: **„მამაკაცები... მე აღარ ვუყურებ მათ ფილმებს, აღარ ვუსმენ მათ მუსიკას“.**

სტატიის ავტორს უკვირს, რომ ასეთი „გროტესკული და ფანტასტიკური“ ნაწარმოებები არა მხოლოდ დაიბეჭდა, არამედ მხარდაჭერაც ჰპოვა „პროგრესისტების ამორფულ წრეში“, რომლებიც, როგორც წესი, მძაფრად რეაგირებენ სექსისზმისა და რასიზმის უმნიშვნელო გამოვლენებზე. „როგორ მოხდა, რომ ამგვარი გამონათქვამები საჯაროდ არ დაგმეს გენდერული თანასწორობის მომხრეებმა?!“ — უკვირს პუბლიცისტს.

იგი ამბობს: პოლიტკორექტულობის სივრცეში ერთადერთ დასაშვებ დანაშაულად აღიარებულია ზიზღი თეთრკანიანი მამაკაცების მიმართ, რომლებიც აქტივისტებს „ყველა ჩვენი უბედურების ამოუწურავ წყაროდ წარმოუდგენიათ. ამას ეფუძნება კოფენისა და არმანჟის „გიჟური პროექტი — წარმართონ საზოგადოებრიობა კლანური ვენდეტის გზით, როცა ყველა ქალი შურს იძიებს ყველა კაცზე თუნდაც სიმბოლურად“.

მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ეს „რევანშისტული იმპულსი“, რომელიც გამოიხატა მამაკაცების მიერ შექმნილი ყველა ნაწარმოების ბოიკოტით ან ისეთი შეხვედრების ორგანიზებით, რომლებზეც დასწრება მხოლოდ ქალებისთვის იქნება დასაშვები, მთელ ქვეყანაში ვრცელდება. ასეთი „ინტერსექციული ომები“ განსაკუთრებით საზიანოა უმაღლესი განათლებისთვის — მათ გამო არ ტარდება ლექციები, იშლება სტუდენტური ასოციაციები, ბრალს დებენ და განკიცხავენ პროფესორებს, — გვაფრთხილებს მელენი.

ამ „ახალმა მაკარტიზმმა“ ღრმად გაიდგა ფესვები საფრანგეთის უნივერსიტეტებში, რომლებიც ამიერიდან ფემინისტურ და დეკოლონიურ ტაძრებად ტრანსპორტირდება.

**„შერიგების სურვილის არმქონე ეს ახალი ინკვიზიტორები ჯვაროსანთა ლაშქრის მსგავსად უტევენ მამაკაცებს, თეთრკანიანებს, საფრანგეთს. მათი მიზანია, ჩამოაყალიბონ მსოფლიო ფარულ ტოტალიტარულ სისტემად, რომელშიც თრგუნავენ და დევნიან სხვაგვარად მოაზროვნეებს, სადაც აზრის გამო ასამართლებენ, წიგნებსა და ფილმებს კრძალავენ“, — ასკვნის ავტორი.**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვის არ აძლევს ხელს საქართველოსთვის ტერიტორიების დაბრუნება? მე ვერ წარმომიდგენია, ეს ყველაფერი თუნდაც სულერთი იყოს ქართველი კაცისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ვიღაცისთვის კონკრეტული ფართობი მშობლიური მიწა კი არ არის, არამედ რაღაც მიწის ნაგლეჯი, რომლის გამოც მეზობელთან დავა დიდი უგუნურებაა.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# «ეს რომელ ტიბიკონში სწერია?»

## ანუ მე უნდა მწყინდეს, ჩემსას რომ იჩემებ, თუ შენ — ჩემსას რომ ვითხოვ?!

საპარლამენტო არჩევნების წინ ხელისუფლებამ ხალხს, ანუ ამომრჩევლებს აუწყა, რომ შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს შანსი გაუჩნდა, დაიბრუნოს 3500 ჰა მიწის ფართობი, რომელსაც ამჟამად აზერბაიჯანი თავისად მიიჩნევს. ითქვა ისიც, რომ ამ საკითხზე მუშაობა, წლებია, მიმდინარეობსო.

რატომ შემოინახა ეს ინფორმაცია ხელისუფლებამ მაინცდამაინც 2020 წლის ოქტომბრისთვის და მანამდე სიტყვაც არ დასცდენია? — აი კითხვა, რომელიც ყველას გაუჩნდა, მაგრამ ხელისუფლების მომხრეებმა „გულში დაიმარხეს", ხოლო ოპოზიციამ და მისმა მხარდამჭერებმა აიტაცეს და დავითგარეჯის თემა დილეტანტების სალაყბოდ გადააქციეს. უკვე ისმის ათასი ჭორი თუ ვარაუდი იმის შესაბამისად, თუ ვის რა აძლევს ხელს: ზოგს უნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" საერთოდ ჩამოშორდეს საქართველოს პოლიტიკას; ზოგი კი „ქართულ ოცნებას" ამუნათებს — უდანაშაულო ადამიანები დააპატიმრაო, ისინი პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ანუ რასაც უფროსობა ავალებდაო და ა.შ., ზოგიერთისთვის კი დავითგარეჯაზე მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის არწყენინებაა...

ერთი მათ თავში ჩამახედა:...

მე უნდა მწყინდეს, ჩემსას რომ იჩემებ, თუ შენ — ჩემსას რომ ვითხოვ?!

როგორც ჩანს, ასეთი ბედი გვარგუნა განგებამ (თუმცა ყველაფერს განგებას ვერ დავაბრალებთ). ისტორიამ შემოგვინახა ცნობები, ჩვენთან ჩამოსახლებული თუ შემოკედლებული უცხოელები რომ ისე გაზულუქებულან, მასპინძლის ადგილის დაკავებაც კი მოუნდომებიათ. სწორედ ერთ-ერთ მსგავს პრობლემაზე წერს ილია ჭავჭავაძე 1897 წელს საგანგაშო წერილს სათაურით „ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა". „ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო", — სომხები ასეთ ხმამაღალ განცხადებებსაც კი არ ერიდებოდნენ თურმე, რასაც ცხადია, უპასუხოდ ვერ დატოვებდა ერის მამა. „ამისთანა ქადილს და ბევრს კიდევ სხვას გულ-ღვიძლს თავისს ადგილას გავუსინჯავთ და მაშინ დავინახავთ, შიგ რა ჰყრიაო", — წერს ილია.

დღეს კი ჩვენი მეზობლებისგან გვესმის, რომ დავითგარეჯა ალბანური ძეგლია და ქართველების არასდროს ყოფილაო, ალბანელებისგან კი ჩვენ — აზერბაიჯანელებს მემკვიდრეობით გვერგოო... ამ აბსურდის დასრულება კი შესაძლებელია მხოლოდ მყარი არგუმენტების მეშვეობით, რომლებსაც თურმე მავანნი ვიღაცის დავალებითა თუ ბრძანებით გულდაგულ მალავდნენ.

ვის არ აძლევს ხელს საქართველოსთვის ტერიტორიების დაბრუნება?

მე ვერ წარმომიდგენია, ეს ყველაფერი თუნდაც სულერთი იყოს ქართველი კაცისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ვიღაცისთვის კონკრეტული ფართობი მშობლიური მიწა კი არ არის, არამედ რაღაც მიწის ნაგლეჯი, რომლის გამოც მეზობელთან დავა დიდი უგუნურებაა. ჰოდა, ვაიტელევიზიების ვაიჟურნალისტები ხან ვის ჩრიან პირში მიკროფონს და ხან ვის, ოღონდაც ვინმეს რამე წამოაცდენინონ ხელზე დასახვევი და მერე დაიწყება ეროვნებათა შორის სიძულვილზე ლაპარაკი, თუმცა „ეროვნულის დევნა და ძულების ატეხა აქ რა შუაშია?"

სწორედ ეს კითხვა დასვა ილიამ, როდესაც სომხების მიერ საქართველოს დედაქალაქის მართვის წინააღმდეგ გამოვიდა და იქვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ზოგი სომეხი აქაც მოიპოვება იმოდენად განათლებული ჭკუითა და გულით, რომ ამისთანა თავგასული მოძღვრება სწყინს და ეთაკილებაო". ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ აზერბაიჯანელ ერს ჰყავს ჭკვიანი და სამართლიანი ერის კაცები, რომლებმაც კარგად იციან, რომ სამართლიანობის სურვილი „ბუნებითვე თანდაყოლილი აქვს ყოველს სულიერს და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი სურვილი ოდესმე ხმას არ ამოიღებს და თავისს დროზე სულთამხუთავსავით კარზე არ მიადგება შემაგინებელს თავისის მკაცრის და სამართლიანის განაჩენითა".

### ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა

კარგა ხანია, რაც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა გამართეს ცხარე საუბარი სომხების თაობაზე ჩვენში. საგნად ერთმანეთთან დაჯახებისა ის გულახდილად კადნიერი მოქმედება სომხებისა შეიქმნა ჩვენში, რომ ტფილისში სომხობამ ხელთ იგდო ქალაქის თვითმართველობა და აღარავის სხვა თესლის კაცს, რომელთა საერთო რიცხვიც 53% მკვიდრთა შეადგენს, არ იკარებენ და, როგორც ჰსურთ, ისე ჰბატონობენ და ჰპატრონობენ სრულად სხვისს დედაქალაქსაო.

**ვინც იცის ყოვლად ცნობილი თვისება და თვითნება აქაურ სომხობისა, რომელიც ეჩოს უფრო ჰგავს, სულ თავისაკენ მთლელს, და არა ხერხსა, რომელსაც თავისაკენაც გამოაქვს და სხვისაკენაც გააქვს, ის ადვილად მიხვდება, რა გულთბილი და გულტკბილი პატრონი ეყოლება სხვებსა, სომხებთან ერთად მცხოვრებელსა, თუ მართლა სომხებმა დაიჩემეს სხვისი პატრონობა ტფილისში.** რომ დაიჩემეს და მორჩნენ და ამას გულახდილად იქადიან კიდეც, — ეს აღარავისთვის დამალული არ არის. ისე ხელის გულიც ადვილად დასანახავი არ არის, როგორც ეს ამბავი. ეს ყველასათვის ცხადია და თვითონ აქაური სომხობაც ამას არამც თუ უარს არა ჰყოფს, პირიქით, იქადის კიდეც „ტფილისის ლისტოკის" პირით, — ასეც უნდა იყოსო: **ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო. ამისთანა ქადილს და ბევრს კიდევ სხვას გულ-ღვიძლს თავისს ადგილას გავუსინჯავთ და მაშინ დავინახავთ, შიგ რა ჰყრია.**

ეხლა კი იმას ვიტყვით, რომ გაზეთმა „კავკაზმა" ამისთანა



«ჩაგრულია მიზეზი დევნა-ძულების ატეხისა თუ მჩაგვრელი? ამას განა დიდი ხაზი და ლარი უნდა, თუ ჭკუა ჭკუისა და გული გულის ადგილას აქვს ადამიანს და თვალებზე ხელს არ იფარებს განგებ, რომ მართალი არ დაინახოს?! როგორ არის ეს? მტაცებელი კი სიყვარულის დამთესია და ამისი გამმხილებელი კი — დევნა-ძულებისა?! ეს რომელ ტიბიკონში სწერია? მაშ გავუჩუმდეთ, ვსთქვათ, მტაცებელს იმის შიშით, რომ დევნა-ძულება ჩამოვარდება და ამის ატეხა საკადრისი არ არის?»

მდგომარეობა ტფილისის საქმეებისა მეტისმეტ უსამართლობად იცნა და გამოესარჩლა სხვა თესლის მკვიდრთა, რომელიც ტფილისში ცხოვრობს და რომელსაც სომხების წყალობით პირში ჩალა აქვთ გამოვლებული. რა თქმა უნდა, ამისთანა სარჩელს „კავკასისას" ყური არ მოუყრუეს აქაურმა სხვა რუსულმა გაზეთებმა და ასტყდა ერთი დავიდარაბა და წეწვა-გლეჯა. **ულონოთა ღონე ხომ მოგეხსენებათ, რა არის? ხავსია, რომელსაც წყალწაღებული ხელსა სჭიდებს ხოლმე, როცა სხვას ყოველს ღონეს მოკლებულია.** რომ მოპირდაპირენი ვერას გახდნენ, ერთს ლიბერალურს ფრაზას ჩაჰკიდეს ხელი და დღევანდლამდე ამასა ჰხედნიან. **ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებაო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისგან.** აი სწორად ამ გზით მოუარეს „კავკასსა" და შესწამეს, შენ დევნა და ძულება ეროვნული გინდა ჩამოაგდო ჩვენში, გინდა სომხები და ქართველები ერთმანეთს სამტროდ გადაჰკიდო და ესეთი საქციელი რა საკადრისია ეხლანდელ დროშიო. საკადრისი არ არის, მართალია, ხოლო ერთი ჩავუფიქრდეთ ამ „კავკასის" მიერ ატეხილს ამბავსა და ჩვენს თავსვე ვკითხოთ: **ეროვნულის დევნა და ძულების ატეხა აქ რა შუაშია?** სხვა არა იყოს რა, **მარტო ამ გარემოებას დავუკვირდეთ: სომეხი კადნიერად და მოურიდებლად იჩემებს ქართველის დედაქალაქს, სადაც სომეხი, სწორად რომ ვსთქვათ, ხიზანია და ქართველი — ბინადარი, ადგილის კაცი. რა ჰგონია დევნა-ძულების მოძულეთა, ეს ამბავი დიდის სიყვარულის დამთესავია?** აი, თუ სადმე დევნა-ძულებაა, მიზეზი სად არის, თუ სამართლით განსჯა სასურველია. **შემოხიზნული კაცი პატრონს ეუბნებოდეს: მე ვარ, რაცა ვარ, შენ ვინა გდიხარო. — ეს კი დევნა ძულების ამტეხი არ არის და ის კი ამტეხია, რომ დაჩაგრულმა და უმადურობით გაოცებულმა პატრონმა ხმა ამოიღოს. ეს კაცი მადლობის მაგიერ, უყურეთ, რა ოინს მიშვრებაო: სახლიდამ, საცა მე შევიხიზნე, ჩემის სისხლით შევინახე მტრისაგან და ჩემის ოფლით ვკვებე და გავაძღეო, ახლა მე მითხოვსო, თითონ უნდა ჩემს სახლში მარტო ყოფნა და მე კი გარედ მაგდებსო.**

დაუფიქრდით ამ ორს გარემოებას და გულზე ხელის დადებით გვითხარით: ამ ორს შემთხვევაში ვინ არის ამტეხი დევნა-ძულებისა? ის, რომელიც ასე ექცევა სისხლის პატრონს, თუ სახლის პატრონი, რომელსაც სხვა დანაშაული არა მიუძღვის რა, გარდა იმისა, რომ არ უნდა თავისი სახლიდამ გამოდებულ იქმნას, თავისს სახლში ხმაამოუღებელი იყოს და ამას საქვეყნოდ ჰღაღადებს და სჩივის. **ჩაგრულია მიზეზი დევნა-ძულების ატეხისა თუ მჩაგვრელი? ამას განა დიდი ხაზი და ლარი უნდა, თუ ჭკუა ჭკუისა და გული გულის ადგილას აქვს ადამიანს და თვალებზე ხელს არ იფარებს განგებ, რომ მართალი არ დაინახოს?! როგორ არის ეს? მტაცებელი კი სიყვარულის დამთესია და ამისი გამმხილებელი კი — დევნა-ძულებისა?! ეს რომელ ტიბიკონში სწერია? მაშ გავუჩუმდეთ, ვსთქვათ, მტაცებელს იმის შიშით, რომ დევნა-ძულება ჩამოვარდება და ამის ატეხა საკადრისი არ არის?** თუკი მტაცებელია სადმე, — იქ მარტო მტაცებელი არის დევნა-ძულების მიზეზი და ამის დევნა-ძულებას თხოულობს ღვთისა და კაცის კანონი და თვით ბუნება ადამიანისა.

მაშ ის უფრო საკადრისია, რომ მტაცებელმა ითარეშოს და სხვამ ყველამ პირი წყალით ავივსოთ, ან ბარაქალა ვეძახოთ? აქ საქმე მარტო იმაშია, ტყუილ-უბრალოდ ხომ არავინ არის შეწამებული, უსაბუთოდ გამოყვანილი მტაცებლად. აქ რიდი კი არ უნდა იმისი, რომ ან მტაცებელი შეგვიძულებს ჩვენ, ან ჩვენ იმას და ამიტომ უნდა ხმა გავიკმინდოთ. პირიქით, **მთელის რისხვით და წყრომით უნდა მივესიოთ მტაცებელს — სულ ერთია, ცალკე კაცი იქნება თუ რაზმად დაწყობილი კრებული, და თუ კრებულია, მით უფრო უარესი. მტაცებელს ჯერ იმითი ვძულვართ, რომ გვტაცებს, თორემ სიყვარულით ტაცება არავის გაუგონია, მერე ჩვენც იმიტომ ვდევნით და გვძულს, რომ არ გვინდობს და გვძარცვავს, თორემ სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით არავინ დახვედრია მტაცებელსა და არავის გაუსტუმრებია სახლიდამ დალოცვითა — ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცესო.** თავში კაცი თუ კრებული გვცემს — ეგ სიყვარულის რგვაა, თუ არ დაგიშლიათ, და გვემული ან სხვა ვინმე, ამ საქციელის მნახველი, ხმას იღ-

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მარტო ამ გარემოებას დავუკვირდეთ: სომეხი კადნიერად და მოურიდებლად იჩემებს ქართველის დედაქალაქს, სადაც სომეხი, სწორად რომ ვსთქვათ, ხიზანია და ქართველი — ბინადარი, ადგილის კაცი. რა ჰგონია დევნა-ძულების მოძულეთა, ეს ამბავი დიდის სიყვარულის დამთესავია?“

◀ ებს: „კაცო, რას იცემები!“ — ეს კი ძულების, დევნის ამტეხია. ეს ასეთი ლოღიკა იმისთანა აქლემია, რომ შეიძლება სომხების წინაც დაიჩოქოს და მაშინ რაღას იტყვიან სომხები? იქნება ამით მოისურვონ, სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს“ ყოველ ამაში რა საქმე აქვს, რად ესარჩლება ჩაგრულთა და დევნულთაო? ის საქმე აქვს, რაც ყოველ პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეიწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და სჩაგროს მეორე, ცალკე კაცი იქნება თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი. ეს ასე რომ არ იყოს, ჩაგრულთა სარჩლი და ქომაგობა რომ უუწმინდაესს მოვალეობად არ იყოს აღიარებული ყოველ პატიოსან და გულმართალ კაცისგან, მაშინ ხომ ეგრედ წოდებული სომეხთა საქმე ოსმალეთში არ გამოიწვევდა იმ სამართლიანს და პატივსადებს თანაგრძნობას, რომელმაც ქვეყანას, თავისს სასახელოდ, ხმა ამოაღებინა და ამ ხმის სამართლიან როხისაგან ბევრად ძლიერი ოსმალეთი ყოვლად უძლურ სომეხს შეუშინდა, შეუფრთხა. ეს ხმა რომ არ ყოფილიყო, ოსმალეთი ისე მალე მოუღებდა ბოლოს სომხობას, როგორც სვავი კურდღელსა: ყლაპად არ ეყოფოდა. **განათლებულმა და გულწმინდა სომხობამ კარგად იცოდა, რომ პატიოსანი კაცი, რომელსაც გულში უღვივის მუდამ სურვილი ჩაგრულთათვის შველისა და შეწევნისა, ბევრია ქვეყანაზე და ამ უტყუარ იმედით გაჰბედა ხსნა სომეხმა თავისის თავისა მჩაგვრელთა ხელისაგან. უამისოდ ბრძოლის ატეხა ოსმალეთში მათ მიერ უგუნურება იქნებოდა.** და თუ ამ პატიოსან კაცთა სარჩლსა თვისდა მოქმედების ქვაკუთხედად ჰგიებს სომხობა ჩვენს გარედ, ჩვენში რად უნდა უკვირდეს და იკიცხებოდეს მათ მიერვე, როცა პატიოსანი კაცი, თუნდა უცხოც, ჰხედავს მათგან სხვის ჩაგვრას და ამას გულახდილად ამხელს? გამხილება კი არ არის დევნა-ძულების ამტეხი მიზეზი, არამედ გამხილებულის ჩადენა და ქმნა არის. აქ არის სათავე დევნა-ძულებისა და მარტო საბუთიანი გამხილება არის ამ სათავის მოწყვეტის წამალი. აქ ეროვნება და სხვა ამისთანა მაღალ ფარდის სიტყვა მოსატანი არ არის.

ქურდს, ვსთქვათ, ქართველსა, რომ სომეხმა მსაჯულმა უთხრას, ქურდი ხარო, — ესეც ხომ შეიძლება განგებ გაფიცხებულმა წინდაუხედაობამ ეროვნულ ფეხზე დააყენოს და შესწამოს ეროვნულ დევნა-ძულების ატეხა. ამ გზით, ვინ იქნება იმისთანა ჭკუით გლახა, გააფრთხილოს სომეხი მსაჯული: ჰა, ქურდს ქურდად ნუ იცნობ, თორემ ეროვნულ დევნა-ძულებას ასტეხავ და მტრობას ჩამოაგდებ სომეხთა და ქართველებს შორისო. ამით, რასაკვირველია, ქურდი სიხარულით თავს დაიხსნის ხელახლად საქურდავად, მაგრამ გაქურდულს და ერთობ გაქურდვას რა პასუხს მისცემთ? ნუთუ ეს თვალწინ დასაყენებელი საგანი არ არის? და თუ არის, აქ საძიებელი მარტო ის უნდა იყოს, საბუთიანად იცნა მსაჯულმა ქურდი ქურდად თუ არა. სხვა არაფერი აქ მოსატანი არ არის და შესაწყნარებელი. გვეტყვიან, რომ აქ მთელს სომხობაზე არის ლაპარაკი და არა ცალკე კაცზე,

**«მთელის რისხვით და წყრომით უნდა მივესიოთ მტაცებელს — სულ ერთია, ცალკე კაცი იქნება თუ რაზმად დაწყობილი კრებული, და თუ კრებულია, მით უფრო უარესი. მტაცებელს ჯერ იმითი ვძულვართ, რომ გვტაცებს, თორემ სიყვარულით ტაცება არავის გაუგონია, მერე ჩვენც იმიტომ ვდევნით და გვძულს, რომ არ გვინდობს და გვძარცვავს, თორემ სიყვარულით და ლოცვა-კურთხევით არავინ დახვედრია მტაცებელსა და არავის გაუსტუმრებია სახლიდამ დალოცვითა — ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცესო»**

როგორც თქვენს მაგალითშიო. მართალია, სომხობაზე არის, მაგრამ არა მთელს სომხობაზე. სხვა სომეხთან, რომელნიც, ვინ იცის, სად არიან დასახლებულნი, ჩვენ რა ხელი გვაქვს! ღმერთმა იმათს კაცურკაცობას და ადამიანურს სულთა სწრაფვას ხელი მოუმართოს ყველგან. ჩვენ პირველნი გულითადის სიხარულით მივეგებებით ამ მართლადა სასიხარულო ამბავს. აქაურ სომხობაზე თუ ვილაპარაკებთ ან სხვანი ჰლაპარაკობენ, ეგ სულ სხვა საქმეა. **აქ მთელს ერთან საქმე არავის არა აქვს რა. ყველამ კარგად იცის, რომ არ არის ქვეყანაზე იმისთანა ერი, რომელ შორისაც კარგიც არ იყოს და ავიც.** უეჭველია, სომხებსაც ეყოლებათ იმისთანა კაცნი, რომლის წინაშე ჩვენც ქუდს მოვიხდით პატივისცემის ნიშნად. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ მარტო ჩვენს სომხობაზე, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, რაღაცა ცალკე რაზმად დაეწყო და იმისთანა მოძღვრებას ადგია, რომ თვით გონებაგახსნილ სომხებსაც კი უნდა ეთაკილებოდეს, არ მოსწონდეს. **ჩვენც გვსურს ჩვენებურ სომხების ბედნიერად ცხოვრება ჩვენშიაც, მაგრამ ისე კი, რომ სხვისი ბედნიერებაც იწამოს. იწამოს ის, რის მეოხებითაც თვითონვე ჰსურს ყოფნა ქვეყანაზე და ქვეყანაში ცხორება და, რაც თავისის თავისათვის ჰსურს, ის ისურვოს სხვებისათვისაც.** განა ესე კია საქმე ჩვენში, ესე იგი იქ, სადაც სომხები შემოხიზნულნი არიან, ჩვენის სისხლით დაცულნი მტრისაგან და ჩვენის ოფლით მაძღარნი? **აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა დინჯად მოფიქრებული, საბუთიანი და არა ღობე-ყორეს მოდება და ლიბერალურ ფრაზების ტყუილ-უბრალოდ პრანჭვა და ფანტვა.**

აქ რა ეროვნებაა მოსატანი? რა დევნა, რა ძულებაა, როცა ერთი მეორეს ამხელს — შენ ცუდსა ჰშრებიო? თუნდ ეგეც არ იყოს, ეროვნების საქმე კავკასიაში არც სომხების ხელშია, არც ქართველისაში იმ მხრით, რომ ერთიცა და მეორეც ღონებამოკლებულია. ერთმა მეორე სჩაგროს ეროვნების ფეხზე წამოყენებით, მაგის ნებას ან ერთს, ან მეორეს ვინ მისცემს? განა სომხებს შეუძლიათ, ქართველს ნება არ მისცენ თავისი რჯული, თავისი ენა, თავისი სარწმუნოება, თავისი ისტორიული სულთასწრაფა იქონიოს, ან ქართველს შეუძლია განა ყოველივე ეს ჩამოართვას სომხებსა? აქ თუ სამდურავი ისმის სომხების მიმართ, მარტო იმის თაობაზე, რომ აქაურ კრებულს სომხებისას მეტად კადნიერად დაუდვია თავისის ცხოვრების სახსრად და საგზ-



**«აი საკითხი, რომელსაც პასუხი უნდა დინჯად მოფიქრებული, საბუთიანი და არა ღობე-ყორეს მოდება და ლიბერალურ ფრაზების ტყუილ-უბრალოდ პრანჭვა და ფანტვა. აქ რა ეროვნებაა მოსატანი? რა დევნა, რა ძულებაა, როცა ერთი მეორეს ამხელს — შენ ცუდსა ჰშრებიო?»**

ლად ერთი მეტისმეტად შეუწყნარებელი მოძღვრება: ჩვენ და არავინ სხვაო. ამას ეხლა აღარა ჰმალვენ, პირიქით, საქვეყნოდ ჰყვირიან კიდეც. რა თქმა უნდა, ზოგი სომეხი აქაც მოიპოვება იმოდენად განათლებული ჭკუითა და გულით, რომ ამისთანა თავგასული მოძღვრება სწყინს და ეთაკილება. მაგრამ ჯერ ამათ იმოდენა გავლენა არა აქვთ აქაურს სომხობაში, რომ თვალი აახილებინონ და თავისიანი დააჯერონ, რომ „სულ მე და მარტო მე“ იმისთანა საბოლოვოდ მკვიდრი ნიადაგი არ არის, რომ ამაზე ფეხი მაგრად მოიკიდოს კაცმა, ერთხელაც იქნება, ფეხს მოასხლეტინებენ, თუ არა მოატეხინებენ, იმიტომ, რომ სხვასაც ცხოვრება და სიცოცხლე უნდა და ეს სურვილი სხვისა, სომხობისაგან თუ სხვა ვისგანმე შეგინებული და უარყოფილი, მეტისმეტად ძლიერია, რადგანაც ბუნებითვე თანადყოლილი აქვს ყოველს სულიერს და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი სურვილი ოდესმე ხმას არ ამოიღებს და თავისს დროზე სულთამხუთავსავით კარზე არ მიადგება შემაგინებელს თავისის მკაცრის და სამართლიანის განაჩენითა.

განა ვერავინ ჰხედავს, რა გზას ადგია აქაური სომხობა? რა თვალად აშკარად დასანახავი ერთიანი ძარღვი სჩანს იმის მოქმედებაში იმისდა მიუხედავად, რომ მათ შორის არიან იმისთანანიც, რომელთაც ძლიერ აწუხებს ამისთანა მდგომარეობა საქმეთა და ვერა გაუწყვიათ რა, რომ საქმე იმ კაცთმოყვარულ მცნებაზე დააყენონ, რომელიც ერთადერთი მოძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, შენც იცხოვრე და სხვასაც აცხოვრეო. ეს მცნება, ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა, კაცმა დროთა ხელშეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება, ამოხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ. **თუ ადამიანი თავისს თავს კაცად ჰხდის, სხვაც უნდა კაცად იგულოს, თორემ თვითვე გაიჭყლიტება და გაითელება თავისისავე მოძღვრებისაგან. დრო და ჟამი არავის შეარჩენს უსამართლობას, სხვის ჩაგვარას და თელვას.** ჩვენებურ სომხობას ეს დავიწყებული აქვს და ჩვენს გარეთ თუმცა სხვის ადამიანობას მთელის თავისის სამართლიანობის უფლებით წინ აყენებენ და თხულობენ: მეც კაცი ვარ და კაცად მიცანიო, — შენ კი, ესე იგი ჩვენში, სულ სხვას ჰქადაგობენ, — მე ვარ კაცი და სხვა არავინ მინდა ვიცნო კაცად და ადამიანადაო. ეს მხარე აქაურ სომხობისა, თითქმის საერთო მხარე, ყველას თვალწინ გვიდგა და აი აქ არის ის დამალული მშვილდი, რომელიც დაშხამულს ისარს ისვრის ძულებისას და დევნისას. **აქაურ სომხებს, თუ ყოველს ამას აქამომდე უთმობდნენ, ეხლა აღარავინ დაუთმობს. სომხობას, როგორც ერს, აქ არავინ სძულობს, არავინ სდევნის. აქ ეროვნულს მტრობას და ძულებას ადგილი არა აქვს. აქ ჰღაღადებს დათრგუნვილი უფლება ადამიანისა, რომლის მიზეზი რაზმად დაწყობილი ჩვენებური სომხობაა. ადამიანისათვის სულ ერთია, ცალკე კაცი ჰლახავს ადამიანურს უფლებას, თუ რაზმად დაწყობილი კრებული. ორგანვე სამართლიანია მდურვა და ყვედრება, თუკი დათრგუნვილ უფლების აღსადგენად ილვწიან და იბრძვიან.**

საკვირველი ეს ლვაწება და ბრძოლა კი არ არის ჭკუათმყოფელ კაცისათვის, არამედ უამისობა იქნებოდა, იმიტომ, რომ ლახვა სხვის უფლებისა, მერე ამისთანისა, რომელიც ბუნებითად მინიჭებული აქვს ყოველს ადამიანს, შეუწყნარებელია და დაუზოგველად განსაკითხავი ყოველგან და ყველასაგან. შენც იყავ და მეც მამყოფე — განა ბუნებური და სამართლიანი სურვილი არ არის? დავანებოთ ამას თავი და ერთი ვიკითხოთ: თუ აქ ვინმე ეროვნულ ნიადაგზე გამართულს ძულებასა და დევნას ჰხედავს, ვინ არის ამისი ერთადერთი მიზეზი? — აქაური სომხები და სხვა არავინ. ვინ გაიცალკევა თავი და შეიკეტა კარი, რომ სხვა არავინ გააჭაჭანოს? მარტო სომხებმა და სხვა არავინ.

შორს რომ არ წავიდეთ, ავიღოთ, მაგალითად, თუნდ სომხების მოქმედება ტფილისში. განა სომხობის სახელით არ მოიმწყვდიეს თავი ტფილისის თვითმართველობაში და სხვას კარი გამოუგულეს, აქ თქვენ ადგილი არა გაქვთო?! აბა ერთი მთელი საბჭო ჩამოთვალეთ, ვინა სხედან? თითო-ოროლას გარდა, სულ მთლად სომხები არიან. თუ აქ პროგრამმა მოქმედებისა ტფილისის ავკარგიანობაა, და უნდა იყოს კიდეც, ნუთუ სხვა თესლის კაცნი ამ საქმისა და პროგრამისათვის ხელაღებით უვარგისნი არიან, რომ არ ეღირსნენ სომხებთან ერთად ყოფნას საბჭოში. განა ცხადი არ არის, რომ აქ არ მოქმედებდა პროგრამმა და საქმე, ქალაქის კეთილდღეობის შესახები? ეს რომ ასე ყოფილიყო, მეტისმეტი თავგასულობა იქნებოდა სომხებისაგან, რომ ტფილისში სომეხს სომხის მეტი სხვა არავინ ეცნო ხეირიან კაცად ქალაქის მოვლა-პატრონობისათვის.

ამ ოთხის წლის წინად მოხდენილმა არჩევანებმა ცხადად დაგვანახვეს, რომ მარტო ერთადერთი ღირსება იყო საჭირო, რომ ხმოსნად ამორჩეული ყოფილიყო კაცი. იმას კი არ კითხულობდნენ, რა უნარის კაცი ხარ, არამედ იმას, — სომეხი ხარ თუ არაო. თუ სადმე ეჭვმისატანია ეროვნული ძულება და დევნა, ვინ გადაიტანა და ვის გადააქვს დღესაც ამ ნიადაგზე საქმე? ამისთანა ცხადი მაგალითი ეროვნულ დევნისა და ძულებისა სხვისაგან ვის გინახავთ? ვის გამოუვლია ასე თვალსაჩინოდ და მოურიდებლად პირში ჩალა სხვას ერის წარმომადგენლებისათვის ტფილისში, საცა სცხოვრებს სომეხთა ერთად 53% უწინდელ ანგარიშით და დღევანდელით უფრო ბევრად მეტი სხვა ერის მკვიდრი? ვინ შეიკეტა თავი ცალკე, ვინ გავიდა ცალკე, ვინ შემოივლო გარს ზღუდე ცალკე ეროვნებისა და სხვას არავის არც ეკარება და არც იკარებს ტფილისში? — სომხებმა და სხვამ არავინ. აი, საცა სამართალია, სად არის ეროვნული დევნა და ძულება და არა იქ საცა მარტო მხილებაა ამგვარის საქციელისა. გაგვიბატონდნენ ტფილისის თვითმართველობაში, ქალაქი ხელთ იგდეს და თითქო სიცილით გვეუბნებიან: თუ ცხონებაა, ჩვენ, სომხებიც კარგად გაცხონებთო. **ვინც იცის, რამდენად გულუხვია და ხელგაშილი აქაური სომეხი სხვის ცხონებისათვის, იმას, რასაკვირველია, არა დაუშლის რა, ამ იმედით იცხოვროს. ხოლო ძალად, თუნდ ცხონებაც იყოს, კაცს ვერაფრად ეჭაშნიკება და იმ ცხონებაზე ხომ აღარა ითქმის რა, რასაც აქაური სომხობა ჩვენდა უნებურად გვიქადის.**

19 მარტი, 1897 წელი

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სეპარატიზმის ბაცილამ ყველაზე ძლიერად საქართველო დაააავადა. დასავლეთის მიერ რუსოფობიით შენელებულმა, ფსევდოდამოუკიდებლად შემოტყუებულმა სამსალამ იოლად მოწამლა დილეტანტთა ამბიციები. ნორმალური ცხოვრებისას სპორაში შემალულმა პარაზიტებმა ნაჭუჭი გამოარღვიეს და ღრიალით დაერივნენ სოციალურ კეთილდღეობას და მოსპეს სახალხო მეურნეობა. ღვარძლმა, სიძულვილმა და უმადურობამ ქართველი ხალხი ღვთის ანაბარა დატოვა. რუსეთს უღრენდნენ და ცილისწამებით იკლებდნენ, როცა თვითონ რუსეთი იშლებოდა და იძარცვებოდა, ქაოსი მძვინვარებდა.**

# ერის უბედურებად ქცეული ეროვნული ხელისუფლება

**ქართველმა ერმა უხსოვარი დროიდან სისხლ-ცრემლით მორწყული ეკლიანი გზებით გამოატარა თავისი არსებობა და, მიუხედავად ყოფნა-არყოფნის საზარელი განსაცდელისა, ღირსეული წვლილი შეიტანა მსოფლიოს ხალხთა კულტურის საგანძურში.**



გარეშე მტერი საქართველოს ვერას დააკლებდა, მოკავშირედ რომ არ ჰყოლოდა მისი უღირსი და ვერაგი შვილების ხელისუფლებისკენ ლტოლვა.

როგორ შეიძლება წაიკითხო გარნისის ბრძოლის ისტორია და მწარე სინანულის სევდამ თვალები არ დაგიბნელოს. ურთიერთშუღლითა და ძალაუფლების ჟინით სამარცხვინოდ წაგებული ბრძოლა ქართველ ხალხს უბედურებად უქციეს. ყოველი ჩადენილი ბოროტების შედეგი მძიმე ტვირთად აწვება და მწარე სინანულად მისდევს მომდევნო თაობებს.

ამგვარმა უძღებმა შვილებმა დააქციეს და მტაცებელთა საჯიჯგნი გახადეს უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი ქართველი ერი. გაერთიანებული საქართველო ნიჭიერ, სამშობლოს ერთგულ მამულიშვილთა ხელმძღვანელობით იოლად გადალახავდა ეკლიანი გზების გადასასვლელებს.

**თუ ერის მოსპობა გინდა, ჩაუნერგე უზნეობა, გარყვნილება, სექსუალური აღვირახსნილობა, სიბილწე, უსირცხვილობა, უფროსი თაობის შეურაცხყოფა, მოხვეჭის გაუმაძღრობა; მადლიერება უმადურებით შეუცვალე და მოკეთე შეაძულე. გარყვნილი და გადაგვარებული ცხოვრება არავითარ სიბინძურეს არ დატოვებს, თავისი მყრალი ამქვეყნიურობის მოსაპირკეთებლად რომ გამოიყენოს. ევროატლანტიკური გარყვნილი დემოკრატიაც ამ გახრწნილი საზოგადოებრივი ფორმაციის გედის სიმღერას მღერის. ჯერ კი ისე დააბეჩავეს კეთილშობილი საზოგადოებრივი აზროვნება, რომ ამას ითმენს.**

ამგვარად დაიწყო ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის მორიგი განსაცდელი, რომელიც ეროვნული მოძრაობის ღრიალით შეატოვეს უცხოეთის ხუშტურებზე აყბედებულ პოლიტიკურ ცრუპენტელათა ანტიეროვნულობას. სიცრუის, აბუჩად აგდებული ეროვნულობის ქაოსში შეტოპილმა ეროვნული მოძრაობის ღრიალმა კანი გამოიცვალა და ვხედავთ და გვესმის უცხოეთის ლაქია პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველების, დასავლეთის ქარის ქროლვაზე ამტვერებული საზოგადოების ფენის ევრო-ამერიკულ სატყუარათა სამზარეულოში შენელებულ სამოთხის დემაგოგიური შეპირებებს.

**იფიქრებდა კი ლაღი ცხოვრებით განებივრებული ქართველი, ისეთი დრო მოვიდოდა, რომ ნაფერები და საამაყო სამშობლოდან გადახვეწა ხსნად ექცეოდა? რანი ვიყავით და რანიღა დავრჩით?!**

რუსეთის იმპერიაში მომხდარმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო მონარქი და ნახევრად ფეოდალური კაპიტალიზმი შეცვალა სოციალიზმით, რომლის შემდეგ კომუნიზმს გვპირდებოდნენ. შეიქმნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი საერთო ჯარით, სავალუტო სისტემით, იდეოლოგიითა და ხალხთა კეთილდღეობაზე ზრუნვის რწმენით.

**საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა სამაგალითო იყო და რესპუბლიკებში მცხოვრებნი საბჭოთა კავშირს სამშობლოდ მიიჩნევდნენ. ყოველივე ამის საფუძველი იყო რუსი ხალხი. სწორედ მათ წინააღმდეგ განაწყო უცხოეთის პროპაგანდამ ქვეყნისა და ერის მახინჯ, ჭკუამოკლე ეგოისტთა ფენა, ნორმალური ცხოვრების პირობებში მათი ნაცოდვილარი ეროვნულ მოძრაობად წოდებული ანტიეროვნული ყბედობა მხოლოდ დასაცინი რომ ხდებოდა.**

უძლიერესმა სოციალისტურმა სახელმწიფომ დაამტკიცა, რომ სოციალიზმი კაცობრიობის მომავალია, მაგრამ შემდგომში კომუნისტმა ტაკიმასხრებმა ყოველივე სასიკეთო არარაობად აქციეს და აშკარაა საბჭოთა კავშირში რესტავრირებული უაღრესად მახინჯი კაპიტალიზმი, რომელსაც ახლა სავაჭრო ეკონომიკა, ბურჟუებს — ბიზნესმენები, მიწათმფლობელებს ფერმერები უწოდეს და ამ ნიღბით თითქმის ფეოდალიზმამდე ჩაეფლენ. საშინელი რბევა და გაპარტახება განიცადა უძლიერესმა ქვეყანამ. **იდეოლოგია, რომელიც ხალხთა შორის ძმობას, მეგობრობასა და თანასწორობას ქადაგებდა, ნაცისტურმა ყოყლოჩინობამ შეცვალა და დაიწყო ერებს შორის მტრობა. ყველამ თავი ვიღაცის მიერ დაჩაგრულად ჩათვალა. ასე დაერივნენ ერთმანეთს დამოუკიდებლობის მოთხოვნით.**

სეპარატიზმის ბაცილამ ყველაზე ძლიერად საქართველო დაააავადა. დასავლეთის მიერ რუსოფობიით შენელებულმა, ფსევდოდამოუკიდებლად შემოტყუებულმა სამსალამ იოლად მოწამლა დილეტანტთა ამბიციები. ნორმალური ცხოვრებისას სპორაში შემალულმა პარაზიტებმა ნაჭუჭი გამოარღვიეს და ღრიალით დაერივნენ სოციალურ კეთილდღეობას და მოსპეს სახალხო მეურნეობა. ღვარძლმა, სიძულვილმა და უმადურობამ ქართველი ხალხი ღვთის ანაბარა დატოვა. რუსეთს უღრენდნენ და ცილისწამებით იკლებდნენ, როცა თვითონ რუსეთი იშლებოდა და იძარცვებოდა, ქაოსი მძვინვარებდა.

**უფასო სწავლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასოდ ბინების დარიგება, გარანტირებული სამუშაო და უამრავი სოციალური სიკეთე; წინაპართა ხსოვნის თაყვანისცემა; უფროსი თაობის პატივისცემა; ოჯახის სიწმინდის დაცვა; სექსუალური გაუკუღმართების, სიბილწისა და გარყვნილების სასტიკად დევნა იმპერიული და ანტიეროვნული ყოფილა და დემოკრატიის ნიღაბაფარებული სატანის კარნახით მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი არის ეროვნულად ამოძრავება?!**

**საქართველოში კი დასავლეთის მიერ მოსყიდული ყეყეჩი ცრუპენტელები ქართველი ხალხის ამ მხსნელსა და მეგობარს ემუქრებოდნენ. ეროვნული მოძრაობის უვიცი, ერის ფუჩეჩი ცრუპენტელები კი ქვეყანას იკლებდნენ, — საბჭოთა კავშირი ჩვენ დავშალეთო, რკინიგზის ლიანდაგებზე ჯდომით რომ ეგონათ რუსეთს ანგრევდნენ.**

საბჭოთა კავშირი 1953 წლიდან იშლებოდა და მას ეწირებოდა ამ ქვეყანაში მცხოვრები ხალხების კეთილდღეობა. სტალინის სიკვდილის შემდეგ უნიჭო, დემაგოგი, ავყია **ნიკიტა ხრუშჩოვის** მმართველობის პერიოდში ქვეყანამ ნელ-ნელა დაიწყო რღვევა, რომელიც დაასრულა ბედოვლათმა **გორბაჩოვმა.**

**ახლა შეერთებული შტატები დემოკრატიის ნიღბიან მსოფლიო ჟანდარმად დათარეშობს, თუ სჭირდება, სისხლის მსმელ ტირანს მონათლავს დემოკრატიისთვის თავდადებულ წმინდანად, სანამ ფხიზელი გონება არ დაეუფლება კაცობრიობას და ისე დაუმოკლებს საცეცებს, რომ საკუთარ ცხვირს მისწვდეს მხოლოდ.**

იმიტომ მოძრაობდნენ ეროვნულად, რომ ევროპელი ჯვაროსნების ხუთჯვრიანი დროშა მიეთვისებინათ და ევროკავშირის დროშა ხუთჯვრიანთან ერთად სახელმწიფო სიმბოლიკად ეფრიალებინათ?! დღეს ამაზე საღი ქართული აზროვნება მწარედ ილიმება მხოლოდ. საქართველო ქართველებისაგან იცლება. ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია; ვისაც საშუალება ეძლევა, საქართველოდან გადახვეწას ცდილობს. რა ვუწოდოთ ეროვნული მოძრაობის ამგვარ ანტიეროვნულ დამსახურებას?! — ბოროტმა სძლია კეთილსა, არსება მისი ბნელია?!

როცა ქართველი ერი აშკარა გადაგვარება-მოსპობის საფრთხის წინაშე იდგა, **დავით აღმაშენებლის** მტკიცე მარჯვენამ და გენიალურმა აზროვნებამ იხსნა. გაერთიანებული საქართველო ისევ ძალაუფლებისკენ ლტოლვით შეპყრობილმა უძღებმა ქართველებმა დააქუცმაცეს და მითვისებულ ნაწილში მეფუკებად წამოსხდნენ, შედეგად მტაცებელი მეზობლების საჯიჯგნად აციეს ოდესღაც ძლიერი და ერთიანი საქართველო.

**შემოსეული მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლასა და მეფუკეების ერთმანეთთან ძიძგილში ისე შემცირდა, დაილია და დასუსტდა ქართველი ერი, რომ გადარჩენის არავითარი იმედი აღარ არსებობდა. სწორედ ამ დროს ხსნად მოევლინა რუსეთი. კვლავ გადარჩა და გაძლიერება იწყო ქართველმა ერმა. მისმა მფარველმა ღვთაებამ მძიმე განსაცდელის ჟამს ამჟამადაც არ მიატოვა.**

სატანამ იცის, თუ ვინმეს მოსპობა უნდა, მას მფარველ მეგობარს შეაძულებს, მადლიერებას უმადურებად უქცევს და მერე დაელოდება მსხვერპლს, თავისი ფეხით როდის მიაკითხავს ჯოჯოხეთში. სატანის მაგიის მსხვერპლი საქართველო ევროპული დროშების ფრიალითა და ევროპელად გადაქცევის ღამურის ფრთების მოლოდინში მორჩილად მიაბიჯებს ჯოჯოხეთისკენ.

თუ ასე არ არის, **სად გაქრა აყვავებული ქვეყნის მძლავრი მრეწველობა?! ვინც ეს სიკეთე აგვიშენა და გაგვაძლიერა, ჩვენგან გალანძღულმა წაიღო რამე? მძლავრი თევზსაჭერი ფლოტი ვინ მოგვაჩუქა, ასე ხელაღებით ჯართად რომ გაყიდეს უძღებმა ბღენძებმა?! სად გაქრა უამრავი კვლევითი ინსტიტუტი და ლაბორატორია მეცნიერების ყველა დარგში? იმპერიამ წაიღო თუ ანტიიმპერიულმა სატანისტურმა ღრიალმა შეიწირა? სამაგიეროდ გვაქვს დიდი კითხვის ნიშნიანი ლუგარის ამერიკული ლაბორატორია.**

რა ქაღალდი დაიტევს იმ საზარელი პარტახის აღწერას, რაც მათ მიაყენეს მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, მთლიანად სახალხო მეურნეობას და ქართველი ერი ბატონყმობის უბედურებისკენ შეაბრუნეს. ისიც ქართველი იყო, ყმას შვილს რომ უყიდიდა და იმ ფულით ღრეობისას საქართველოს სადღეგრძელოს ყანწით სვამდა. ახლაც საქართველოს რომ იფიცებენ და მისი სიყვარულით მოხვეჭილი ფულით ფეშენებელურ ვილებს იშენებენ, მსახურებად და მომვლელებად გაღატაკებული ქართველები ჰყავთ; ამ გაძარცვულ და დამშეულ საქართველოში ესეც ხომ ერზე ზრუნვაა. რა ვუყოთ, რომ თვალი გაურბით და ყველას წილს ითვისებენ. მაშ როგორ! ვინც თაფლში ხელს ყოფს, ხელსაც არ ილოკავს. ამგვარი თაფლიანი ხელის მფლო- ▶

ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმიტომ მოძრაობდნენ ეროვნულად, რომ ევროპელი ჯვაროსნების ხუთჯვრიანი დროშა მიეთვისებინათ და ევროკავშირის დროშა ხუთჯვრიანთან ერთად სახელმწიფო სიმბოლიკად ეფრიალებინათ?! დღეს ამაზე საღი ქართული აზროვნება მწარედ იღიმება მხოლოდ. საქართველო ქართველებისაგან იცლება. ერის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია; ვისაც საშუალება ექლევა, საქართველოდან გადახვეწას ცდილობს. რა ვუწოდოთ ეროვნული მოძრაობის ამგვარ ანტიეროვნულ დამსახურებას?! — ბოროტმა სძლია კეთილსა, არსება მისი ბნელია?!**

**ნეონაცისტ ნაციონალთა საზარელი პარპაში ქართველმა ხალხმა «ქართული ოცნებისადმი» მხარდაჭერით დაამხო, მაგრამ მათ მიერ საქართველოსთვის მიყენებული ჭრილობების შეხორცება ვერ მოხერხდა, რადგან ევროამერიკელი მფარველები გააფთრებით იცავენ თავიანთ ძაღლიშვილებს, ესენიც ამ ჭრილობებში მატლებივით ფუთფუთებენ და შეხორცების საშუალებას არ აძლევენ. ახლა მრავალ პარტიად დაიშალნენ და მედუზა გორგონას სისხლიდან გამოჩეკილი ასპიტებივით მოდებული არიან მთელ საქართველოში და ხელისუფლების მიერ გატარებულ ყოველგვარ სასიკეთო ღონისძიებებს ეტლის ბორბლებში ჯოხივით ეჩხირებიან**



**საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა სამაგალითო იყო და რესპუბლიკებში მცხოვრებნი საბჭოთა კავშირს სამშობლოდ მიიჩნევდნენ. ყოველივე ამის საფუძველი იყო რუსი ხალხი. სწორედ მათ წინააღმდეგ განაწყო უცხოეთის პროპაგანდამ ქვეყნისა და ერის მახინჯ, ჭკუამოკლე ეგოისტთა ფენა, ნორმალური ცხოვრების პირობებში მათი ნაცოდვილარი, ეროვნულ მოძრაობად წოდებული ანტიეროვნული უბედობა მხოლოდ დასაცინი რომ ხდებოდა**

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მისი ნორმალური განვითარების საფუძველია, რომლის გასაღები რუსეთთან კეთილმეგობრობის აღდგენაა. ქვეყნის გაერთიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყველაზე მეტად რუსეთს აძლევს ხელს თუ ევროამერიკელთა გოშია კი არა, რუსეთის მეგობარი იქნება. თუ არა, ნატოს ნოტებზე მორგებულმა წკავწკავმა შეიძლება უმადურობით განაწყენებული ერთმორწმუნე, სამეგობროდ განწყობილი ქვეყანა ისეთ მტრად გვიქციოს, რომ ქართველი ერის მფარველმა ღვთაებამაც ველარ გვიშველოს**

◀ბელები მრავლად ჰყავს დასეული საქართველოს, მანამდე, სანამ თაფლს ხელსაც არ მიაყოლებენ.

პრივატიზაციით დაწყებული მიწების უცხოელებზსა და ქართველ ბელტიყლაპიებზე უთავბოლო განიავებით, იმავე უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩუქებით, სოფელში გლეხების უმიწაწყლოდ დატოვების მასალები გადაჩხრიკეთ, თუ ყველგან საქართველოს დამაქცევარმა სატანამ არ ამოყოს თავი.

უფასო სწავლება, უფასო სამედიცინო მომსახურება, უფასოდ ბინების დარიგება, გარანტირებული სამუშაო და უამრავი სოციალური სიკეთე; წინაპართა ხსოვნის თაყვანისცემა; უფროსი თაობის პატივისცემა; ოჯახის სიწმინდის დაცვა; სექსუალური გაუკუღმართების, სიბილწისა და გარყვნილების სასტიკად დევნა იმპერიული და ანტიეროვნული ყოფილა და დემოკრატიის ნიღაბაფარებული სატანის კარნახით მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი არის ეროვნულად ამოძრავება?!

ყოველგვარი სიკეთე ანტიეროვნულობისა და უბედურებისკენ რომ შეატრიალეს იმპერიულის ღრიალით, ქართულმა ენამ რაღა დააშავა, საშუალოსკოლადამთავრებულ მოსწავლეებს ქართული ენის გრამატიკაზე ელემენტარული წარმოდგენა რომ არ აქვთ და ქართული მწერლობა აბუჩად რომ არის აგდებული, ესეც იმპერიულია? იციან თუ არა, რომ მხოლოდ რუსეთის შემოსვლის შემდეგ გაიხსნა პირველი სკოლა და აქტიურად დაიწყო წერა-კითხვის სწავლება; რომ თავად-აზნაურთა ოთხმოცდაათმა პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა და განცხადებაზე ხელის მოწერის ნაცვლად ჯვარს სვამდნენ. ამჟამინდელი დამოუკიდებლობისა და მწერლობის მიმართ მართლაც იმპერიული დამოკიდებულების პირობებში გვეყოლებოდა დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და ქართული მწერლობის უამრავი მარგალიტები?!

**რა უბედურებად ექცა საქართველოს ეროვნულ მოძრაობად წოდებული დაპროგრამებული რობოტების თარეში, ამის გამკითხავი არავინაა, პირიქით — ყბადაღებული ევროატლანტიკური იმპერიული ამბიციების მონები კვლავ ლანძღვა-ცილისწამებით ესხმიან თავს ქართველი ხალხის მეგობრად და მფარველად ყოფილ რუსეთს. განა სამარცხვინო არ არის საქართველოში ევრო-ამერიკელთა საამებლად შეთხზული სიცრუის, ცილისწამების, უმადურობისა და უსირცხვილოთა თავხედობის ნაყოფი ოკუპაციის მუზეუმი?!**

ნეონაცისტ ნაციონალთა საზარელი პარპაში ქართველმა ხალხმა ქართული „ოცნებისადმი“ მხარდაჭერით დაამხო, მაგრამ მათ მიერ საქართველოსთვის მიყენებული ჭრილობების შეხორცება ვერ მოხერხდა, რადგან ევროამერიკელი მფარველები გააფთრებით იცავენ თავიანთ ძაღლიშვილებს, ესენიც ამ ჭრილობებში მატლებივით ფუთფუთებენ და შეხორცების საშუალებას არ აძლევენ. ახლა მრავალ პარტიად დაიშალნენ და მედუზა გორგონას სისხლიდან გამოჩეკილი ასპიტებივით მოდებული არიან მთელ საქართველოში და ხელისუფლების მიერ გატარებულ ყოველგვარ სასიკეთო ღონისძიებებს ეტლის ბორბლებში ჯოხივით ეჩხირებიან.

**ნეოფაშისტები ევროპაში რომ ვერ ბედავდნენ საბჭოთა მეომრების ობელისკების განადგურებას, ესენი აქ სპობდნენ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომართა ობელისკებს. ვერ მოასწრეს საქართველოს დაშლა, მაგრამ ევროატლანტიკური მფარველების მიერ განებივრებული ეს უბედურება საშუალებას არ იძლევა, ქვეყანამ შვებით ამოისუნთქოს, რაც არ აძლევთ ხელს ევროამერიკელ ბატონებს, რადგან გაერთიანებული და რუსეთის მეგობარი საქართველო ასე მონურ მორჩილებაში ველარ ეყოლებათ.**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მისი ნორმალური განვითარების საფუძველია, რომლის გასაღები რუსეთთან კეთილმეგობრობის აღდგენაა. ქვეყნის გაერთიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ყველაზე მეტად რუსეთს აძლევს ხელს, თუ, ევროამერიკელთა გოშია კი არა, რუსეთის მეგობარი იქნება. თუ არა, ნატოს ნოტებზე მორგებულმა წკავწკავმა შეიძლება უმადურობით განაწყენებული ერთმორწმუნე, სამეგობროდ განწყობილი ქვეყანა ისეთ მტრად გვიქციოს, რომ ქართველი ერის მფარველმა ღვთაებამაც ველარ გვიშველოს.

**მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ევროკავშირსა და ნატოს ველაქუცებით და რა მოგვცა ამან? — დემოკრატიად შენიღბული იმპერიული ამბიციებისადმი მონური მორჩილება!**

თუ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტი თავისი ხალხის სასიკეთოდ გაისარჯა ისე, რომ ამერიკა-ნატოს ინტერესებს ვერ მოერგო, მტრის ბრალდებით უნდა დაემხოს. კაცობრიობის ხსოვნას სამარცხვინოდ შემორჩება სერბეთის, ერაყის, ლიბიის დარბევა, **სლობოდან მილოშევიჩის, სადამ ჰუსეინის, მუამარ კადაფის** მკვლელობები. ამგვარი ბედი ელოდებოდა სირიის პრეზიდენტ **ბაშარ ასადსაც,** ვენესუელელი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტ **ნიკოლას მადუროს,** ბელარუსის პრეზიდენტად ამომრჩეველთა ხმების 80 პროცენტზე მეტით არჩეულ **ალექსანდრე ლუკაშენკოს.** აქ კი რუსეთმა შეაჩერა მათი აგრესია და მთელ კაცობრიობას ამცნო, რომ მსოფლიო ჟანდარმის დაუსჯელად პარპაშის დრო ამოიწურა.

**საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისთვის გახურებული მზადებაა ევროატლანტიკური ინტეგრაციის ფონზე. მოზღვავდა პარტიების ხვავრიელი შეპირებები. 200-ზე მეტი პარტიაა საქართველოში, ყველა ცდილობს, ბიუჯეტიდან დასაფინანსებელთა სიაში შეაღწიოს, თორემ თვითონაც და ხალხმაც კარგად იციან, რის მაქნისები არიან; სასაცილო შეპირება კი კანონით არ ისჯება.**

ყველაზე ენერგიულმა ნაციონალმა ასპიტებმა დატბორეს ეთერი. ძალაუფლება და მისკენ ლტოლვა ისე რყვნის თავქარიან ადამიანს, რომ დაუნდობელ მხეცად აქცევს. დაუსჯელობის ილუზიის ბურუსში იქნევს განუკითხაობის მახვილს ეს ქინქლა. რა ცოდვაც აწევთ ზურგზე ნაცისტ ნაციონალებს, წლების სიმრავლე ვერ გაახუნებს. ახლა სადმე მღვიმეში შემალულები მუხლმოყრით შენდობას უნდა ითხოვდნენ, მაგრამ მფარველი ბატონების ერთგული ძაღლიშვილები გაცოფებით იწევენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

მხოლოდ „ქართული ოცნებაა“, დინჯად რომ განაგრძობს საქმიანობას, მიუხედავად ზოგიერთი დაპირების შეუსრულებლობისა. რა გაეწყობა, ევრო-ამერიკელ მბრძანებლებსაც ხომ აქვთ თვიანთი ინტერესები. **ხელმოცარული თუ პარაზიტი პარტიები, ცალკეული პოლიტიკოსები და განაწყენებული ბღენძი ბატონკაცები ერთად ესხმიან თავს „ქართულ ოცნებას“ არეულობის, ქვეყნის სტაბილურობის ამღვრევის პირობებში თბილი ადგილის მონადირების იმედით.**

**ფრთხილად, საქართველო! თუ ოდესმე განსაცდელის წინაშე მდგარხარ, ახლა იმაზე საზარელი განსაცდელი უბეში გიძვრება!**

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ფრანსუა ოლანდი და მარხილი

საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ძალიან უცნაური „პერფორმანსი“ მოაწყო: პარიზის ქუჩებში ძაღლებშებმული მარხილით გაიარა... ზაფხულში.





# სახელმწიფო მეთაურების უცნაური საქციელები და ახირებები

**1957 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა ლიტლ-როკში 9 სკოლის მოსწავლის რასისტებისგან დასაცავად 1000 მედესანტე გაგზავნა. სახელმწიფო მეთაურები არც ისე იშვიათად იქცევიან უცნაურად. გთავაზობთ რამდენიმე ასეთ შემთხვევას.**



## ანგელა მერკელი და სურსათ-სანოვაგის სიყვარული

გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** ფულის უცნაური მხარჯველია, რასაც ფსიქოლოგები ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებით ხსნიან. მერკელი 35 წლის განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან შედარებით მაღაზიებში ბევრი რამის დეფიციტი იყო, ხოლო ხარისხიან საქონელსა და პროდუქტზე რიგი იდგა, რაც, როგორც ჩანს, ახლაც აწუხებს ფრაუ კანცლერს, რომელსაც სურსათ-სანოვაგის ყიდვა მანიად ექცა. ის ყიდულობს პროდუქტებსა და საყოფაცხოვრებო ქიმიას, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებს ფუფუნების საგნებსა და სამოსს. კანცლერმა აღიარა, რომ მის გარდერობში ზოგიერთი ტანსაცმელი 18 წელზე მეტი ხნისაა, მაგრამ მაინც არ ამბობს უარს მათ ჩაცმაზე.



## ჯორჯ ბუში უმცროსი და კრენდელები



უცნაურობებისა და ახირებების მხრივ რეკორდსმენია აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში-უმცროსი,** რომელიც რამდენიმეჯერ წარადგინეს შნობელის პრემიაზე (ყველაზე ბრიყვისთვის დაწესებული პრემია). ბუშების ცნობილი ოჯახის წარმომადგენლები უცნაური კულინარული მიდრეკილებებით გამოირჩევიან. **ჯორჯ ბუში-უფროსი** ორგანულად ვერ იტანდა ბროკოლის, უმცროსი ბუში კი გიჟდება ფასტფუდზე, განსაკუთრებით უყვარს პიცა-ბურგერი და მარილიანი კრენდელები, რომლებიც ერთხელ (2002 წელს) ყელში გაეჩხირა და კინაღამ დაახრჩო. კრენდელებით არ ამოიწურება ბუში-უმცროსის კაზუსები — ზოგჯერ მისი საქციელი ძალიან უცნაური იყო. მაგალითად, ავსტრალიაში ყოფნისას თითებით V-ნიშანი აჩვენა მის შესახვედრად შეკრებილ ავსტრალიელებს, რომლებისთვისაც ეს შუა თითის ჩვენების ტოლფასია; მოკრივის პოზაში ჩადგა **მუჰამედ ალისთან** შეხვედრისას, უკნიდან მიეპარა **ანგელა მერკელს** და სხვ., თუმცა ყველა უხერხული ვითარებიდან თავს იუმორით იძვრენდა და გულწრფელად აღიარებდა თავისი საქციელის უცნაურობას.



## ჯონ კეი და თმა

ახალი ზელანდიის 38-ე პრემიერმინისტრს ახირებული ჩვევა აქვს — საშინლად მოსწონს თავის თმაზე შეხება, ზოგჯერ კი დიდი სურვილი აქვს, სხვის თმასაც შეეხოს, მაგალითად, რესტორანში მიმტანს — ნაწნავზე, მაგრამ, როცა ამის გამო საყვედურობდნენ, ყველაფერს ხუმრობაში ატარებდა. კეის უცნაურობის შესახებ მას შემდეგ შეიქნა ცნობილი, რაც ერთ-ერთმა გოგონამ **ჯონ კეის** უცნაური ჩვევის შესახებ ჟურნალისტებს მოუყვა. პრემიერი იძულებული შეიქნა, ბოდიში საჯაროდ მოეხადა.



## პეტრე პოროშენკო და ალკოჰოლი

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო** არაერთხელ აღუბეჭდავთ კამერებს, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ ვითარებაში: ხან მღვდელმსახურის ქადაგებისას გაიცინებდა ხოლმე, როცა სხვები მწუხარების გამომხატველი სახეებით იდგნენ, ხან დედას აგინებდა ხელქვეითებს კულუარებში, ხანაც რიგითი მოქალაქეებისგან უარს იღებდა ხელის ჩამორთმევაზე. პოროშენკო კარგად შეზარხოშებულიც ხშირად შეუნიშნავთ, აწითლებული სახითა და გაუმართავი მეტყველებით.




## ბარაკ ობამა და სამეფო კარის ეტიკეტი

აშშ-ის 44-ე პრეზიდენტი არაერთხელ ყოფილა უცნაურ ვითარებაში. მისი გამოსვლის მომენტში ზოგჯერ ფრენდნენ ბუზები, რომლებსაც არ იგერიებდა, სამხედრო აღლუმებსა და მნიშვნელოვან ღონისძიებებზე კი ხშირად ღეჭავდა რეზინს. ყველა განაცვიფრა **ობამას** საქციელმა ლონდონში დედოფალ **ელისაბედ II-სთან** სტუმრობისას: როცა აჟღერდა დიდი ბრიტანეთის ჰიმნი, ყველა ფეხზე იდგა და ჩუმად უსმენდა, ობამამ ღვინით სავსე ბოკალი აიღო და დედოფალს მიჭახუნება შესთავაზა. ელისაბედ II-მ კი წასჩურჩულა: „ეს ხომ ჰიმნია“. ამ წაჩურჩულებამ შეაკავა ობამა, რომელიც ჰიმნის დროს სადღეგრძელოს თქმას აპირებდა.



## რონალდ რეიგანი და ასტროლოგია


ჯოან კუიგლი

აშშ-ის მე-40 პრეზიდენტს ასტროლოგიით გატაცება მანიაში გადაუვიდა. **რონალდ რეიგანი** ისე ხშირად იღებდა რჩევას პირად ასტროლოგ **ჯოან კუიგლისგან,** რომ ქალი ზოგჯერ მთავრობის გეგმებსაც კი ცვლიდა. ინაუგურაცია დილის 5 საათზე, დღეების დაყოფა უარყოფითად და დადებითად, თვითმფრინავით ფრენა ვარსკვლავების განლაგების მიხედვით — ეს ყველაფერი ნამდვილი კოშმარი იყო პრეზიდენტის გარემოცვისთვის. მოგვიანებით ჯოან კუიგლიმ გამოაქვეყნა წიგნი რეიგანთან თანამშრომლობაზე, რომელიც ბესტსელერად იქცა. აღსანიშნავია, რომ რეიგანი ერთადერთი პრეზიდენტი არ არის, რომელიც ასტროლოგის რჩევებს ითვალისწინებდა. საფრანგეთის პრეზიდენტ **ფრანსუა მიტერანსაც** ჰყავდა პირადი ასტროლოგი, რომელსაც სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებებზე დიდი გავლენა ჰქონდა.



## ვაცლავ კლაუსი და ავტოკალამი

ჩეხეთის მეორე პრეზიდენტმა **ვაცლავ კლაუსმა** ჩილეში თავის კოლეგა **სებასტიან პინიერასთან** შეხვედრისას ე.წ. საპროტოკოლო ავტოკალამი მიითვისა. ინციდენტი მოხდა, როცა მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომი პრეზიდენტები ჟურნალისტის წინაშე წარდგნენ. სანამ პინიერა ჟურნალისტებს შეკითხვებს პასუხობდა, ჩეხეთის პრეზიდენტმა გახსნა ავტოკალმის ფუტლარი, ამოიღო ავტოკალამი, ცოტა ხანს ხელში ეჭირა, შემდეგ ხელები მაგიდის ქვეშ დამალა, როგორც ჩანს, ავტოკალამი ჯიბეში ჩაიდო. ბოლოს კი ხელები ისევ მაგიდაზე დადო. ეს ყველაფერი ტელეკამერების ობიექტივში მოხვდა. ჩეხეთის პრეზიდენტის გარემოცვის განცხადებით, ვაცლავ კლაუსს უცნაური არაფერი ჩაუდენია, რადგან საწერი მოწყობილობა, რომელსაც უცხოეთში ვიზიტისას პრეზიდენტებს მიართმევენ ხოლმე, შეუძლიათ მიისაკუთრონ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ, მაგრამ იმ ავტოკალმით, რომელიც მიისაკუთრა, კლაუსს ხელი არც ერთ დოკუმენტზე არ მოუწერია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

„ფეხბურთის მეფედ“ აღიარებული პელეს ელეგანტური თამაშის მიღმა იდგა ქანცგამცლელი ვარჯიშები. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთისგან შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებითა და ნიჭით იყო დაჯილდოებული, 100 მეტრს 11 წამში გარბოდა, 2 მ-ის სიმაღლეზე ხტებოდა (პელე 173 სმ-ის სიმაღლის იყო), შესანიშნავად ურტყამდა ორივე ფეხით, იყო უნივერსალი — ნებისმიერ ამპლუაში შეეძლო თამაში, მეკარის გარდა.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პელე 80 წლისაა

ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ, მეტსახელად პელე 1940 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ბრაზილიის მინეს-ჟერაისის შტატის დასახლებულ პუნქტ ტრეს-კორასოინსში. პელე ყველაზე ცნობილი სპორტსმენი და XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელია, ერთადერთი, ვინც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 3-ჯერ მოიპოვა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.



პატარა პელეს ფეხბურთში გზა გაუკვალა მამამ — **დონდინიომ (ჟოაო რამოს დუ ნასიმენტუმ),** პროფესიონალმა ფეხბურთელმა, რომელიც ტრავმის გამო იძულებული შეიქნა, ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ყურადღება შვილზე გადაიტანა — ყველაფერი ასწავლა, რაც თვითონ იცოდა. უკვე 7 წლის პელე ბავშვთა გუნდში ჩაწერეს.

ერთ დღეს გუნდში მწვრთნელად მივიდა ბრაზილიის ნაკრების ყოფილი წევრი **ვალდემარ დე ბრიტო,** რომელმაც პატარა ედსონს რეკომენდაცია გაუწია „სანტოსში“. 16 წლის იყო, როცა ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში პირველი მატჩი ითამაშა და ბურთიც გაიტანა. პელემ „სანტოსში“ 18 წელი გაატარა — 1956-დან 1974 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში 11-ჯერ მოიგო სან-პაულუს შტატის ჩემპიონატი, 11-ჯერ მოიპოვა საუკეთესო ბომბარდირის ტიტული (1958 წელს 58 ბურთი გაიტანა და ბრაზილიის რეკორდი დაამყარა), 6-ჯერ — ბრაზილიის თასი, 2-ჯერ — ლიბერტადორესის თასი (ჩემპიონთა ლიგის ანალოგი), ერთხელ — კონტინენტთაშორისი თასი. სპეციალისტების აზრით, პელეს სუსტი წერტილი არ ჰქონდა, უპირატესობას ანიჭებდა კომბინაციებს, არასოდეს აგვიანებდა პასს და შესანიშნავად კითხულობდა თამაშს, „საერთო ძალისხმევის გარეშე ფეხბურთში გამარჯვება შეუძლებელია. ფეხბურთი — ეს არის გუნდური თამაში და არა 2-3 ვარსკვლავური მოთამაშის“, — ამბობდა პელე, რომლის უზადო ტექნიკა, ელეგანტური დრიბლინგი ყველას აღაფრთოვანებდა. **მისი ბევრი გოლი ლეგენდად იქცა, როგორც 1991 წელს სტადიონ „მარაკანაზე“ „ფლუმინენსეს“ კარში გატანილი ბურთი — როცა პელემ თავისი საჯარიმო მოედნიდან დაიწყო მოწინააღმდეგის კარისკენ მოძრაობა და მოატყუა მეტოქის ყველა ფეხბურთელი და ბურთი გაიტანა. ამ გოლს „საუკუნის გოლი“ უწოდეს.**

„ფეხბურთის მეფედ“ აღიარებული პელეს ელეგანტური თამაშის მიღმა იდგა ქანცგამცლელი ვარჯიშები. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთისგან შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებითა და ნიჭით იყო დაჯილდოებული — 100 მეტრს 11 წამში გარბოდა, 2 მ-ის სიმაღლეზე ხტებოდა (პელე 173 სმ-ის სიმაღლის იყო), შესანიშნავად ურტყამდა ორივე ფეხით, იყო უნივერსალი — ნებისმიერ ამპლუაში შეეძლო თამაში, მეკარის გარდა.

1958 წელს პელემ პირველად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, რომელიც შვედეთში გაიმართა. 18 წლის პელეს წვლილი უდიდესი იყო ბრაზილიის პირველად გაჩემპიონებაში, მეოთხედფინალურ მატჩში უელსთან სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, ნახევარფინალში ფრანგებს 3 ბურთი გაუტანა, ხოლო ფინალში ტურნირის მასპინძელ შვედებს — 2.

1962 და 1966 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში პელემ ტრავმის გამო ვერ შეძლო, სრულად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები. 1962 წელს ბრაზილიამ **გარინჩას, ამარილდოს, ვავას, ზიტოსა** და სხვების შესანიშნავი თამაშით მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის ტიტული, 1966წელს კი ქვეჯგუფიდან ვერ გავიდა.

1970 წელს მექსიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატი ტრიუმფალური იყო პელესა და მთლიანად ბრაზილიის ნაკრებისთვის, რომელსაც უძლიერეს გუნდად მიიჩნევენ ფეხბურთის ისტორიაში. ბრაზილიელ ფეხბურთელებს, რომლებმაც მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა, ჟიულ რიმეს თასი სამუდამოდ გადაეცათ, პელე კი მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ბრაზილიის ნაკრების მაისურით პელეს ანგარიშზე 12 გოლია 14 მატჩში.





სულ კი ბრაზილიის ნაკრების მაისურით (92 მატჩი) პელემ 77 ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგეების კარში. „სანტოსის“ შემდეგ პელემ 3 წლის განმავლობაში ითამაშა ამერიკულ საფეხბურთო კლუბ „კოსმოსში“, რომელთანაც დიდშემოსავლიანი კონტრაქტი გააფორმა.

1977 წლის 1 ოქტომბერს პელემ თავისი ბოლო, ფეხბურთთან გამოსათხოვარი მატჩი ითამაშა საყვარელ კლუბ „სანტოსის“ წინააღმდეგ. სტატისტოსებმა გამოთვალეს, რომ პელემ კარიერაში 1289 ბურთი გაიტანა, 92-ჯერ გაიტანა 3 ბურთი, 30-ჯერ — 4, 6 მატჩში 5 ბურთი გაიტანა, ერთხელ კი „ბოტაფიგუსთან“ — 8.



გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი. 1965 წ.

კარიერის დასრულების შემდეგ პელემ სამსახიობო ნიჭი გამოავლინა და რამდენიმე ფილმში ითამაშა, ავტობიოგრაფიული წიგნიც გამოსცა ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის. ამ წიგნის გამო წერა-კითხვის უცოდინარმა ათასობით ბრაზილიელმა ბიჭმა ისწავლა კითხვა. 1999 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა პელე ასწლეულის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა, მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი ოლიმპიურ თამაშებში არ მონაწილეობდა; ფიფამ კი XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მიანიჭა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





## მიღწევები:

* ბრაზილიის თასის მფლობელი: 1961, 1962, 1963, 1964, 1965;
* პაულასტას ლიგის ჩემპიონი: 1958, 1960, 1961, 1962, 1964, 1965, 1967, 1968, 1969, 1973;
* ტურნირ რიო-სან-პულუს გამარჯვებული: 1959, 1963, 1964;
* ლიბერტადორესის თასი: 1962, 1963;
* საკონტინენტთაშორისი თასი: 1962, 1963;
* აშშ-ის (NASL) ჩემპიონი: 1977;
* მსოფლიო ჩემპიონი: 1958 1962, 1970;
* ერთადერთი სამგზის მსოფლიო ჩემიონი;
* 1363 მატჩში გაიტანა 1289 ბურთი.
* ჟურნალ World Soccer-ის ვერსიით, XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი;
* საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით, ასწლეულის საუკეთესო სპორტსმენი.
* ფიფას ვერსიით, XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი.

# უნიკალური პროექტი — დიდ სამამულო ომს ქართული ინტერნეტგვერდი მიეძღვნა

**ქართულ ინტერნეტსივრცეში გაჩნდა ქართულენოვანი რესურსი, რომელიც დიდი სამამულო ომისადმი (1941-1945 წწ.) არის მიძღვნილი. ამის შესახებ შეკრებილ სამუშაო ჯგუფსა და საზოგადოების წარმომადგენლებს პროექტის ინიციატორმა, პოლიტოლოგმა გულბაათ რცხილაძემ აცნობა 17 ოქტომბერს.**

ინტერნეტგვერდს ეწოდება „დიდი სამამულო“ (didisamamulo.ge). გვერდზე არის რამდენიმე რუბრიკა, რომელთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ალფაბეტის მიხედვით დალაგებული „დიდი სამამულო ომის ცნობარი“. აქ თავმოყრილი იქნება ენციკლოპედიური ცნობები სამამულო და მეორე მსოფლიო ომის შესახებ, ცალკეული ბრძოლები, მოვლენები, პიროვნებები, მათ შორის, პირველად იქნებიან წარმოდგენილნი საბჭოთა კავშირის გმირები საქართველოდან, თავიანთი ბიოგრაფიული ცნობებითა და ჩადენილი გმირობების აღწერით.

ვებგვერდზე, საარქივო მასალებთან ერთად, ასევე გამოქვეყნდება სიახლეები — ყველაფერი, რაც დიდი სამამულო ომის ხსოვნასა და ომის ისტორიას უკავშირდება.

**პროექტის ავტორი მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღონ ომში მონაწილე თავიანთი წინაპრების ბიოგრაფიული მონაცემებისა და ფოტოგრაფიების განთავსებაში ვებგვერდის შესაბამის რუბრიკაში („ჩემი მამაცი წინაპარი“). ეს იქნება დიდი სახალხო მოძრაობა, რომელიც უკვდავყოფს გმირების ხსოვნას.**

**გულბაათ რცხილაძემ** განაცხადა: **„საიტი უკვე მზად არის, იგი გავუშვით ამა წლის 9 მაისის წინ — სატესტო რეჟიმში რამდენიმე მასალა გამოვაქვეყნეთ. ამჟამად გვერდმა უკვე მიიღო ფორმა, განსაზღვრულია ძირითადი რუბრიკები. მასალები გამოქვეყნდება ენციკლოპედიური მონაცემების საფუძველზე; ყველაზე პრეტენზიულმა მეცნიერმაც კი უნდა აღიაროს, რომ ჩვენთან გამოქვეყნებული მასალები უტყუარია. ეს ყველაფერი დიდ სამამულო ომში საქართველოსა და ქართველების როლზე აქცენტირებით მოხდება“.**

პროექტის ავტორის თქმით, შეკრებილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც სოციალურ ქსელებში ამ რესურსის პოპულარიზაციაზე მუშაობს, ვინაიდან მხოლოდ ვებგვერდის შექმნა საკმარისი არ არის, საჭიროა მისი პოპულარიზაცია.



„ჩვენ ამ პროექტს ვახორციელებთ ქართულ ენაზე, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, იგრძნონ, რომ დიდი სამამულო ომი არ არის მხოლოდ საბჭოთა წარსული. სამწუხაროდ, ჩვენთან ხდება აზრის კულტივირება, რომ ეს ომი იყო ორ ბოროტებას – ფაშიზმსა და კომუნიზმს — შორის ბრძოლა. გარდა ამისა, ქართველმა ახალგაზრდებმა არ იციან რუსული ენა, ამიტომ მათთვის დიდი სამამულო ომის ფენომენი დიდწილად გაუგებარია“, — დაასკვნა **გულბაათ რცხილაძემ.**

მრგვალი მაგიდის ფარგლებში, აგრეთვე, განიხილეს აქტუალური საკითხები უსაფრთხოების პრობლემებზე, მონაწილეებმა გაიხსენეს 1990 წლის პარიზის ქარტია, რომელიც ცივი ომის დასასრულს მოასწავებდა, მაგრამ შემდგომი მოვლენების შედეგად ვითარება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის კვლავ დაიძაბა.

მრგვალი მაგიდის მონაწილეებს ვოლგოგრადიდან მიესალმა ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი **ვიტალი არკოვი.** მას მიზნად აქვს დასახული, განახორციელოს პროექტი, რომელიც სტალინგრადის გრანდიოზულ ბრძოლაში ქართველების წვლილსა და ბედ-იღბალს შეისწავლის. ეს პროექტი კიდევ უფრო გაამდიდრებს საქართველოს ისტორიას აქამდე უცნობი მასალებით.




**პროექტის ავტორი მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღოს ომში მონაწილე თავიანთი წინაპრების ბიოგრაფიული მონაცემებისა და ფოტოგრაფიების განთავსებაში ვებგვერდის შესაბამის რუბრიკაში («ჩემი მამაცი წინაპარი»). ეს იქნება დიდი სახალხო მოძრაობა, რომელიც უკვდავყოფს გმირების ხსოვნას**

ge.news-front.info

# საჩუქარი ქართველი მკითხველისთვის — ჰეგელის «ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე»

**გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექციები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაუღალავმა მკვლევარმა, გერმანული ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.**

ლექციების ავტორი, დიდი გერმანელი მოაზროვნე ჰეგელი რელიგიის ფილოსოფიას ასე მოიხსენიებს: „უმაღლესი ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია“.

„ლექციების“ მიზანია, გაარკვიოს რელიგიის ცნება და მისი განვითარების პროცესი — როგორ აღმოცენდება რელიგია, რა გზით აღწევს სუბსტანციური სული ხალხის ცნობიერებას. ჰეგელის მიზანია, აჩვენოს, რომ, თუმცა არსებობს რწმენის სხვადასხვა ფორმები, რელიგიის უმაღლესი ფორმა არის ქრისტიანობა. ესაა აბსოლუტური რელიგია, რომელშიც რელიგიის ცნება სრულყოფილადაა წარმოდგენილი, ანუ ღმერთი აღარაა რაღაც მიღმური, უცნობი, ის ეცხადება ცნობიერებას, ის თვითცნობიერებაა, რომელსაც საგნად თავისი თავი აქვს.

**„სამეცნიერო წიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება, მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და ლაკონურ ენაზე“.**




ჰეგელის ნაშრომს ახლავს მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია ჰეგელის ფილოსოფიის არაერთი საინტერესო საკითხი. საკუთრივ თარგმანი **ვიქტორ რცხილაძეს** შესრულებული აქვს ზედმიწევნით, ავტორის ურთულესი ენისა და სტილის მკაცრი დაცვით. ამასთანავე, მთარგმნელს მოხმობილი აქვს მე-20 საუკუნის ფრანგი ჰეგელიანელის — **ერიკ ვეილის** ციტატა: **„სამეცნიერო წიგნი არ ექვემდებარება ვულგარიზაციას; არ შეიძლება, მისი კითხვა შევამსუბუქოთ თანმიმდევრული და დეტალური კომენტარების მეშვეობით, არ შეიძლება მისი ტექსტის თარგმნა უფრო „ნათელ“ და ლაკონურ ენაზე“.**

**წიგნი იყიდება თბილისში, მაღაზია „ლატერნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის №N16-ში.**

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894